კონსერვატორებმა პარტიის წესდების პრეზენტაცია გამართეს A3

ყველაზე დიდი რესური A8

მაინც რა ღირს ჯანმრთელობა B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი, 2004 წელი. №280 (829)

ფასი 50 თეთრი


# პარლამენტი და მთავრობა კანონპროექტებით პინგ-პონგს თამაშობენ



გიგა ბოკერია მთავრობას ულტიმატუმს უყენებს - ან გაიზიარებს პარლამენტის შენიშვნებს, ან იურიდიული კომიტეტი საფინანსო ამნისტიის ალტერნატიულ კანონპროექტს წარადგენს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

*"ფინანსური ამნისტია", როგორც ჩანს, სულაც არ წარმოადგენს ხელისუფლების სტრატეგიულ მიდგომას ან კონცეპტუალურ ხედვას. მისი მიზანი, ეტყობა, უფრო ის არის, რომ შევარდნაძის გარემომცველი ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების ბედი გადაწყვიტოს - ვინ ციხეში ჩაჯდეს, ვის კი დანაშაული ეპატიოს და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა შეუნარჩუნდეს. ეს არც ისე იოლია: წინა ხელისუფლების პროტეჟეებს "პატრონები" ახალ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდათ და ამიტომ, მათთვის სამოთხეში ან ჯოჯოხეთში "საგზურის გამოწერა" ჭიანურდება.*

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები უკვე ღიად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მთავრობას არ სურს, "ფინანსურ ამნისტიასთან" დაკავშირებით მათ მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება. წამყვანი ფრაქციის ლიდერი მაია ნადირაძე პირდაპირ აცხადებს, რომ სანამ უმრავლესობის მოსაზრებები არ იქნება გაზიარებული, პარლამენტი კანონპროექტის განხილვას არ დაიწყებს.

კიდევ უფრო რადიკალურია გიგა ბოკერია, რომელიც მთავრობას ულტიმატუმის ენაზე ელაპარაკება: **"თუ შევჯერდებით, ხომ კარგი, თუ არა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ალტერნატიულ კანონპროექტს წარმოადგენს."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# უკრაინა რევოლუციის ზღვარზე იმყოფება

**კიევში თბილისური ისტორია მეორდება: ცესკო სამთავრობო კანდიდატს გამარჯვებულად აცხადებს, ოპოზიცია კი მასობრივი არეულობებით იმუქრება**

ოთხშაბათს საღამოს უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ოქმი ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შესახებ, რომლის თანახმადაც, ხმათა უმრავლესობა პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მიიღო. ცესკო-ს მონაცემებით, იანუკოვიჩს ხმა ამომრჩეველთა 49,46 პროცენტმა მისცა, ხოლო ოპოზიციის კანდიდატ ვიქტორ იუშენკოს - 46,61პროცენტმა. ეს განცხადება თბილისის დროით 19 საათსა და 20 წუთზე გაკეთდა.

ცესკო-ს თავმჯდომარემ სერგეი კივალოვმა ასევე წაიკითხა კომისიის ოქმიც, რომლის თანახმადაც უკრაინის პრეზიდენტად იანუკოვიჩი გამოცხადდა. ოქმს კომისიის 11 წევრმა მოაწერა ხელი, ორი წინააღმდეგი იყო, ხოლო ოპოზიციის ერთმა წევრმა, ანდრეი მაგერამ სხდომა დატოვა.

სულ 21 ნოემბერს გამართული არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა 30 მლნ. 297 ათას 195 ადამიანმა მიიღო. ამჯერად ამომრჩეველთა აქტივობა გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და ამა წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულ პირველ ტურშიც კი. ამასთან, იანუკოვიჩს 14 მლნ. 966 ათას 336 ადამიანმა, ხოლო იუშენკოს - 14 მლნ. 154 ათას 153 ადამიანმა მისცა ხმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დასკვნითი ოქმის წაკითხვისთანავე იანუკოვიჩის მომხრეები ფეხზე წამოდგნენ და გამარჯვებულის სახელის სკანდირება დაიწყეს. რაც შეეხება იუშენკოს მომხრეებს, ისინი ცესკო-ს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და მოწინააღმდეგე მხარეს გონიერებისაკენ მოუწოდებდნენ.

გაგრძელება A5 გვერდზე


იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად 124,80 ლარი.


## პოლიტიკა

### გაერო ქართველ დევნილთა უფლებების დაცვას აპირებს



გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარიატი რამდენიმე კვირაში ჩაატარებს დევნილთა საფუძვლიან რეგისტრაციას, რაც არა მარტო დევნილების რაოდენობრივ აღწერას, არამედ მათი ყოფა-ცხოვრების და მისწრაფებების შესწავლასაც გულისხმობს.

A2

## ეკონომიკა

### ლარის გამყარება კანონზომიერია?



ეროვნულ ბანკში ირწმუნებიან, რომ ლარის გამყარება არა ხელოვნურად, არამედ კანონზომიერად ხდება.

A4

## საზოგადოება

### რეფორმების ათი წელიწადი



გარდა არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემისა, ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიების არარსებობისა, გენდერულ თანასწორობას საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირების დაბალი ხარისხი უშლის ხელს.

A6


გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

იურიდიული ოფისი „ბაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


## ამინდი

| | 25/11 | 26/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | 9 |
| ქუთაისი | 11 | 12 |
| ბათუმი | 8 | 9 |
| სოხუმი | 7 | 4 |
| ფოთი | 9 | 10 |
| თელავი | 4 | 7 |
| ზუგდიდი | 11 | 11 |
| გორი | 4 | 6 |
| ახმეტა | 6 | 7 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3380 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3373 |
| რუბლი | 0.0626 |

## სამოქალაქო სექტორი კანონშემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ერთვება

თამარ მჭედლიშვილი

*საქართველოში ძალზე ცოტა ადამიანმა თუ იცის, კონკრეტულად, რა შინაარსის კანონპროექტები განიხილება პარლამენტში და რამდენად იმოქმედებს ამ კანონების მიღება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე. მედიის მიერ პარლამენტში გაშუქებული მოვლენები, ძირითადად, პოლიტიკურ დებატებს თუ ურთიერთდაპირისპირებებს ეხება. ხოლო თავად სადავო კანონპროექტების შინაარსის თაობაზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია ვრცელდება.*

გუშინ, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ინიციატივით, გაიმართა პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც განახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი", ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, და რომლის სახელწოდებაა "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში".

პროექტი მიზნად ისახავს პოლიტიკის საჯაროობის პრინციპების სამართლებრივ დონეზე განმტკიცებას, საზოგადოების წინაშე საჯარო მოხელეთა ადმინისტრაციული ანგარიშვალდებულების დამკვიდრებას და უკანონო ინტერესების პრევენციის ხელშეწყობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## უქმნის თუ არა საფრთხეს ლარის გამყარება ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას


გიორგი ჩქარეული
ფინანსური მენეჯმენტისა და კომპანიათა მართვის დამოუკიდებელი კონსულტანტი.


უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში ჩვენ მოწმენი გავხდით ქართული ეროვნული ვალუტის გამყარებისა უმნიშვნელოვანეს მსოფლიო და რეგიონულ ვალუტებთან - ამერიკულ დოლართან, ევროსთან, რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთან მიმართებით. წლევანდელი წლის დასაწყისიდან ეს გამყარება შეადგენს არანაკლებ 15 პროცენტისა, რაც მსოფლიო განზომილებათა მიხედვით ძალიან დიდი ნახტომია ასეთი პერიოდისათვის. რამდენადაც ჩვენს ფინანსურ სისტემაში ვალუტის კურსი თავისთავად არ ყალიბდება, არამედ საქართველოს ეროვნული ბანკის უშუალო კონტროლქვეშ იმყოფება, აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ ლარის გამყარება - ეს არის ახალი პოლიტიკა, რომელიც გეგმაზომიერად ხორციელდება. დღესდღეობით ჩვენ გვაქვს ოფიციალურ პირთა, პირველ რიგში, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის ზოგიერთი განმარტება. ირწმუნებიან, რომ ლარის გამყარება შეუმჩნეველია მოსახლეობისთვის და უმტკივნეულოა ექსპორტიორებისთვის, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ანგარიშს დოლარებში აწარმოებენ. ლარის კუსის ამაღლების მიზეზად ასახელებენ მასზე მოთხოვნილების მნიშვნელოვან ზრდას (რაც გამოწვეულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციით), მოსახლეობის მიერ უარის თქმას იმაზე, რომ ბანკებში თავიანთი დანაზოგები დოლარებში შეინახონ და ლარებში შენახვისათვის უპირატესობის მინიჭებას და სხვ.

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 დემოგრაფია

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 თვალსაზრისი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## გაფიცვა სამშობიაროში

ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლის თანამშრომლები გაიფიცნენ. ისინი სამშობიაროს ხელმძღვანელს ერთპიროვნულ მმართველობაში ადანაშაულებენ და დირექტორის არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. თავად სამშობიაროს ხელმძღვანელი დალი გაბიძაშვილი აცხადებს, რომ, 200-ლარიან ვაუჩერებთან დაკავშირებით მის მიერ გამკაცრებული კონტროლის გამო, თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი უპირისპირდება. თავის მხრივ, მედპერსონალის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გაფიცვას რეალური შედეგების მიღებამდე არ შეწყვეტენ. "ჩვენ გვინდა, სამშობიარომ ნორმალური ფუნქციონირება გააგრძელოს, მისი ხელმძღვანელის თანამდებობა კი არჩევითი გახდეს," - მოითხოვენ ისინი.

*ინტერ-პრესი*

## "იუნესკოს" სპეციალური ჯგუფი იერუსალიმში

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის დაზიანებული ფრესკის მდგომარეობის შესასწავლად "იუნესკო" იერუსალიმში სპეციალურ ჯგუფს მიავლენს. აღნიშნული გადაწყვეტილება "იუნესკო"-ს კულტურის სამმართველოს დირექტორმა მგომეზულუ გადიმ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს მიიღო. შეხვედრაზე სტუმარი ასევე კონფლიქტის ზონებში არსებული ქართული კულტურული ძეგლების მდგომარეობით დაინტერესდა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს სამაჩაბლოს ნაწილს და აფხაზეთის ტერიტორიას, სეპარატისტები კი ყველანაირად ცდილობენ, წაშალონ კულტურულ ძეგლებზე არსებული ქართული კვალი. მგომეზულუს განცხადებით, "იუნესკო" საქართველოში გაერო-ს წარმომადგენლობასთან ერთად აუცილებლად გამონახავს გზებს, რომ კონფლიქტის ზონებში ქართული კულტურული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად სპეციალური ჯგუფები გაიგზავნოს. "უახლოეს ხანებში "იუნესკო"-ს ეგიდით თბილისში გაიმართება რეგიონული კონფერენცია "ახალი ინიციატივები და საპარლამენტო საქმიანობა", რაც ხელს შეუწყობს იუნესკო-ს და საქართველოს პარლამენტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას," - დასძენს იგი.

*ინტერ-პრესი*

## მიღება საქართველოს საპატრიარქოში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ საპატრიარქოში მსოფლიოს ავტოკეფალური ეკლესიების წარმომადგენლები მიიღო. შეხვედრაზე უწმინდესმა სტუმრებს საქართველოში ქრისტიანობის მიღებისა და გავრცელების ისტორიული ფაქტები უამბო. უწმინდესის განცხადებით, საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ეკლესიაა, თვით ქვეყანა კი - უძველესი კულტურის მქონე. პატრიარქმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ოდითგანვე მჭიდრო კავშირები ჰქონდა სხვა ქვეყნების მართლმადიდებელ ეკლესიებთან. მისივე განცხადებით, ეკლესიას ძალზედ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. "მხოლოდ წარსულით არ უნდა ვიცხოვროთ. ეკლესიამ უნდა იფიქროს, რა შეიძლება, გაკეთდეს დღეს და მომავალში. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხს კეთილისა და ბოროტის გარჩევაში," - ბრძანა მან. მსოფლიოს ავტოკეფალური ეკლესიების წარმომადგენლები თბილისში 21 ნოემბერს ჩამოვიდნენ. 15 ქვეყნის დელეგატი საქართველოში ქრისტიანობის 20-საუკუნოვანი ისტორიისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრო და, ქართველებთან ერთად, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კურთხევა და გიორგობის დღესასწაული იზეიმა. გუშინვე, სტუმრების პატივსაცემად, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კონცერტი გაიმართა.

*ინტერ-პრესი*

## მშენებლობებთან დაკავშირებით დაქერები გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს გენერალური ინსპექციისა და კორუფციასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის "არქმშენინსპექციის" ყოფილი სპეციალისტი შოთა დოლიძე. სამართალდამცველთა მტკიცებით, დოლიძემ საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდში მოქალაქე მარეხ კუპატაძეს პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე წარმოებულ მშენებლობასთან დაკავშირებით, 2002 წლის 20 დეკემბერს, 2003 წლის 15 იანვარს და იმავე წლის მარტში, ქრთამის სახით, თავდაპირველად 1000 ლარი გამოართვა, შემდეგ - 800 ლარი და 200 აშშ დოლარი. ხოლო მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, მიუხედავად იმისა, რომ დოლიძე უკვე თანამდებობიდან გათავისუფლებული იყო, დაზარალებულ კუპატაძეს დამატებით კიდევ 500 აშშ დოლარი გამოსძალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქმე აღძრულია თბილისის ისან-სამგორის რაიონულ პროკურატურაში. ამ ეტაპზე კუპატაძე ექვმიტანილია ქრთამის გამოძალვასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

*მედია-ნიუსი*

## თსუ არჩევნებისთვის ემზადება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, უნივერსიტეტის გაზეთში მალე კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები დაიბეჭდება. "თუ პარლამენტი კანონპროექტს "უმაღლესი განათლების შესახებ" 13 დეკემბრამდე მიიღებს და ის ძალაში გამოქვეყნებისთანავე შევა, მაშინ არჩევნები ახალი კანონის მიხედვით წარიმართება, თუ არადა, უნივერსიტეტის წესდებით," - აცხადებს თსუ-ს სწავლული მდივანი ემილ კოპალიანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ "უნივერსიტეტის" რედაქციაში აცხადებენ, რომ რექტორობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს გამოსაქვეყნებლად 25 ნოემბრისთვის ელოდებიან. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე დღეისთვის წარდგენილია ექვსი კანდიდატი: არქიტექტურის პროფესორი, თსუ პრორექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე, გეოგრაფია-გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე, ფსიქოლოგი გუგული მაღრაძე, ფიზიკის პროფესორი ლერი ქურდაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ქურდიანი და ეკონომისტი, პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი. რექტორის არჩევნები 13 დეკემბრისთვის არის დანიშნული.

*მედია-ნიუსი*

## ულიმიტო ინტერნეტი "მაგთისგან"

"მაგთიკომმა" მომხმარებელს კიდევ ერთი მაღალტექნოლოგიური სერვისის სიახლე შესთავაზა - "მაგთინეტი - ულიმიტო ინტერნეტი". "მაგთიკომის" ახალი სერვისი "მაგთინეტი" საშუალებას აძლევს მომხმარებელს ნებისმიერი ადგილიდან, სადაც დამონტაჟებულია Wi-Fi ტექნოლოგია, ისარგებლოთ ულიმიტო ინტერნეტით, შეხვიდეთ თქვენი ოფისის ქსელში და მართოთ ბიზნეს-საქმიანობა. "მაგთინეტის" ქსელით სარგებლობა შესაძლებელია ყველა იმ პორტატული კომპიუტერით, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტის მქონე Wi-Fi ქსელის მოწყობილობით. ყველგან, სადაც დამონტაჟებულია Wi-Fi ტექნოლოგია, თქვენ კომპიუტერული კავშირის სრული თავისუფლება გენიჭებათ. ამ ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრივილეგია მისი მაღალი სიჩქარეა.

*მედია-ნიუსი*

## მხილებული გამგებელი

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ზუგდიდის რაიონის ყოფილმა გამგებელმა, ნუგზარ ანთელავამ 2003 წლის 1 დეკემბერს კანონის უხეში დარღვევით გასცა განკარგულება შპს " ზუგდიდკონსერვის" თანამშრომლებისთვის მშენებარე 9-სართულიანი სახლის უკანონოდ გაყიდვის თაობაზე.

*მედია-ნიუსი*

# სამოქალაქო სექტორი კანონშემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ერთვება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს, "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა" და კომიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც მოხდება პარლამენტიდან ინფორმაციების გამოწვევა ყველა იმ კანონპროექტის თაობაზე, რომელიც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშია შესული.

პროექტის ავტორები სამი მთავარი მიმართულებით იმუშავებენ. ესენია: საქართველოს პარლამენტიდან საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მიღება, ამ კანონპროექტებზე ექსპერტული ანალიზის მომზადება, საკანონმდებლო პროცესების გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პარლამენტის და არასამთავრობო სექტორის ახალი პროექტი სამოქალაქო საზოგადოებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.*

სწორედ ამ მიზნით, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარის, ვაჟა სალამაძის თქმით, პროექტის ფარგლებში შეიქმნება დემოკრატიის განვითარების, ადამიანის უფლებათა დაცვის, კანონშემოქმედებითი საქმიანობის სფეროში გამოცდილი ექსპერტ-იურისტების ჯგუფი, რომლებიც, სხვადასხვა სფეროების მიხედვით, მოამზადებენ საექსპერტო დასკვნებს საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.

როგორც ვაჟა სალამაძე აცხადებს, **"ექსპერტთა ანალიზი უნდა მოიცავდეს დასკვნებს კანონპროექტების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ასევე საერთაშორისო მიდგომებთან შესაბამისობასა თუ ანტიკორუფციული მიზანშეწონილობის შესახებ".**

კანონპროექტები გამოქვეყნდება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, საზოგადოება მაქსიმალურად იქნება ინფორმირებული ამ კანონპროექტების შინაარსის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები გამოქვეყნდება "24 საათის" ფურცლებზეც.

გარდა ამისა, ყოველ კონკრეტულ საკანონმდებლო ინიციატივაზე მომზადებული ანალიზი და დასკვნები სისტემატურად გავრცელდება მეილინგ-ლისტის საშუალებით. ინფორმაცია გაეგზავნებათ დაინტერესებულ მხარეებს, დედაქალაქსა და რეგიონებში მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს, ექსპერტებს, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს.

თავის მხრივ, როგორც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი აცხადებს, "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" მიერ მომზადებული ექსპერტული დასკვნები აუცილებლად ეცნობება პარლამენტის წევრებს. ექსპერტებს კი საშუალება მიეცემათ, საკუთარი პოზიცია გამოთქვან კომიტეტის სხდომებზე ამა თუ იმ კონკრეტული კანონპროექტის განხილვისას.

# პარლამენტი და მთავრობა კანონპროექტებით პინგ-პონგს თამაშობენ

პირველი გვერდიდან

აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმას არც პარლამენტის თავმჯდომარე ერიდება. იგი ღიად საყვედურობს მთავრობას, რომ "ფინანსური ამნისტიის" შესახებ კანონპროექტი პარლამენტში უცვლელად დაბრუნდა და ფრაქციის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები არ იქნა გათვალისწინებული.

**"თუ მთავრობაში ვინმეს ჰგონია, რომ რასაც პარლამენტში შემოიტანს, ყველაფერი უცვლელად და უსიტყვოდ გავა, ძალიან ცდება,** - მეტი წინდახედულობის გამოჩენას ურჩევს ბურჯანაძე აღმასრულებელ ხელისუფლებას, - **თუ მთავრობას უნდა, რომ კანონპროექტი ჩავარდეს, პარლამენტსაც ექნება არგუმენტები, თუ რატომ მოხდა ასე."**

სანამ საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა "ფინანსური ამნისტიის" შესახებ კანონპროექტით ერთმანეთს პინგ-პონგს ეთამაშებიან, "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მოთმინებას კარგავს. მისი მტკიცებით, ვიდრე პარლამენტი ამნისტიას მიიღებს, მაკონტროლებელი ორგანოები "დროს უქმად არ კარგავენ" და მეწარმეებს "წეწავენ". საჩხერეს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელბახიანი კი დეპუტატებს მოუწოდებს, საერთოდ შეწყდეს კანონპროექტის განხილვა, რადგან, **"რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, საზოგადოებაში ის მაინც უკმაყოფილებას გამოიწვევს".**

"ფინანსურ ამნისტიას" პარლამენტი დღევანდელ პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთხელ შეეჭიდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი კანონპროექტი კომიტეტიდან პლენარულ სხდომამდე ვერ "აღწევს". დღის წესრიგით გუშინ გათვალისწინებული იყო "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვის დაწყება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი კლერკის შეცდომის გამო, დეპუტატებს კანონპროექტის ძველი ვარიანტი ჰქონიათ დარიგებული. პლენარულ სხდომაზე მიწვეული განათლების მინისტრის, კახა ლომაიას თხოვნის მიუხედავად, განხილვა დღეისთვის გადაიდო.

მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვის შეყოვნება საკანონმდებლო ორგანოს ცაიტნოტში აყენებს. ამიტომ, ნინო ბურჯანაძე არ გამორიცხავს, რომ მომავალ კვირაში რიგგარეშე სხდომები გაიმართება.

პარლამენტი რომ "დროში ვერ ეტევა", ეს თავად დეპუტატების ბრალია. კვორუმის მოგროვება და სხდომის დროულად დაწყება აქამდეც ჭირდა, გიორგობის დღესასწაულისა და "ვარდების რევოლუციის" წლისთავის აღნიშვნის შემდეგ კი პარლამენტარებს მით უფრო გაუჭირდათ ბალიშიდან თავის წამოწევა - გუშინდელი პლენარული სხდომა 13 საათზე დაიწყო.

**"რამდენიმე დეპუტატი გაღვიძებას რომ ვერ ახერხებს, ამის გამო პარლამენტის მუშაობა არ უნდა ფერხდებოდეს,"** - მოითხოვს ნინო ბურჯანაძე. იმაში, რომ სახელისუფლებო ფრაქციის წევრები სამსახურში არ ცხადდებიან, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი სულაც არ გრძნობს თავს დამნაშავედ.

**"არ შემიძლია 130 დეპუტატის გრაფიკი და დღის რეჟიმი ვიცოდე, თავად მე კი მხოლოდ ერთი ხმა მაქვს,"** - აცხადებს მაია ნადირაძე.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარეც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **"უმრავლესობის ზოგიერთი წევრის გამო საყვედურების მოსმენას არ აპირებს".**

# გაერო ქართველ დევნილთა უფლებების დაცვას აპირებს

### გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი რამდენიმე კვირაში დევნილების რეგისტრაციას დაიწყებს

ვერიკო თევზაძე

*გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის რუდოლფუს ლუბერსის პრესკონფერენცია, მისი ავადმყოფობის გამო, ჩაიშალა. მასმედიას კომისარიატის წარმომადგენლები - ევროპის ბიუროს დირექტორი რეიმონდ ჰოლი და ლუბერსის პირადი მრჩეველი ბარტინ ლექტერი შეხვდნენ. მათ განაცხადეს, რომ გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარიატი რამდენიმე კვირაში ჩაატარებს დევნილთა საფუძვლიან რეგისტრაციას, რაც არა მარტო დევნილების რაოდენობრივ აღწერას, არამედ მათი ყოფა-ცხოვრების და მისწრაფებების შესწავლასაც გულისხმობს. რეიმონდ ჰოლის თქმით, თუ აქამდე გაერო-ს უმაღლესი კომისარიატი დევნილებს მხოლოდ ჰუმანიტარულ დახმარებას უწევდა, მომავალში ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვას და საამისოდ შესაბამისი მექანიზმების შექმნას აპირებს.*




იური ლობოდინის ფოტო

*გაეროს კომისარიატი ლტოლვილთა რეგისტრაციას იწყებს.*

ავად გახდომამდე ლეფერსი და მისი თანმხლები პირები ცხინვალში დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდნენ. **"გადაადგილებული პირები საკმაოდ რთულ პრობლემებს აწყდებიან. შეიძლება, ასჯერ წაიკითხო რეგიონზე, მაგრამ მის შესახებ უფრო მეტს იგებ თუნდაც ერთი საათით სტუმრობისას,"** - განაცხადა რეიმონდ ჰოლმა. მისი თქმით, გაერო-ს უმაღლესი კომისარიატი, სპეციალური პროგრამის ფარგლებში, ამ ადამიანებს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

რუდოლფუს ლუბერსი პირველად იმყოფება სამხრეთ კავკასიაში. მისი შეხვედრები საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებთან გამიზნული იყო იმისთვის, რათა გარკვეულიყო, რისი გაკეთება შეუძლიათ ერთობლივად საქართველოს ხელისუფლებას და გაერო-ს დევნილთა უმაღლეს კომისარიატს საქართველოში მცხოვრები დევნილების დასახმარებლად. **"შეიძლება ახალი, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა,"** - განაცხადა გუშინ ბატონმა ჰოლმა. თუმცა, მან მხოლოდ მოსალოდნელ რეგისტრაციაზე ისაუბრა და დასძინა, რომ როცა რეგისტრაცია ჩატარდება, როცა გაირკვევა დევნილთა ცხოვრების პირობები, მათი მისწრაფებები და მოთხოვნები ხელისუფლებისადმი, სწორედ ამის საფუძველზე გადაწყდება მომდევნო ეტაპის ღონისძიებები. ჰოლის განმარტებით, რეგისტრაციის დროს ისიც კი დაფიქსირდება, ამა თუ იმ დევნილს შინ დაბრუნება ურჩევნია თუ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენა. რეგისტრაცია რამდენიმე კვირაში უნდა დაიწყოს. უკვე არსებობს დონორი, როემლიც ამ ღონისძიებას დააფინანსებს.

ჰოლის თქმით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აფხაზეთიდან დევნილებს, დაცული უნდა იყოს იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც გალში დაბრუნდნენ.

ვიდრე საქართველოს ხელისუფლებასა და გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივ სამოქმედო გეგმებზე ისაუბრებდა, ჰოლმა შენიშნა: **"სამწუხაროდ, გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, არ არსებობს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საშუალება."**

მასმედიამ ჰოლს პანკისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებზე დაუსვა შეკითხვები. **"ხშირად, როგორც ხალხი, ასევე მთავრობები, ჩეჩენ ლტოლვილებს ტერორისტებთან აიგივებენ. გაერო-ს უმაღლეს კომისარიატს დაუშვებლად მიაჩნია, რამდენიმე ადამიანის გამო, მთელ ერს მიაკრა ტერორისტის იარლიყი,"** - განაცხადა გუშინ რეიმონდ ჰოლმა. მან მადლიერებით მოიხსენია საქართველო ჩეჩენი ლტოლვილებისათვის გაწეული თანადგომის გამო, და იქვე დასძინა, რომ პანკისში მცხოვრები ჩეჩნების ლტოლვა "მესამე ქვეყნისაკენ" მხოლოდ და მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ისინი რუსეთის საზღვართან ახლოს იმყოფებიან, რის გამოც თავს დაუცველად გრძნობენ.

## მოკლედ

### ბათუმელი "კმარელები" კობა ხაბაზის წინააღმდეგ

"ვისთვისაც კმარა, შემოუერთდით კმარას" - ამ ლოზუნგით ბათუმელმა "კმარელებმა" ერას მოედანზე კარავი გაშალეს და კობა ხაბაზის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყეს.

"კმარელები" უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მათ ზურგს უკან აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მამარდაშვილი და, ამავდროულად, ფრაქცია "ნაციონალების" ლიდერი კახა მიქელაძე დგანან. მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში "კმარელები" უვადო შიმშილობით იმუქრებიან. **ინტერ-პრესი**

### ქართველი მუსიკოსები და პარლამენტარები კიევში გაემგზავრნენ

"წვიმის მუსიკოსების" ჯგუფი, ხუთი ქართველი პარლამენტარი, პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გიგი უგულავა და თბილისის მერიის კულტურის განყოფილების უფროსი დავით ოქიტაშვილი გუშინ დილით სპეციალური ავიარეისით კიევში გაფრინდნენ, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებაში უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად.

"წვიმის მუსიკოსების" ჯგუფი, რომელიც გასულ წელს "ვარდების რევოლუციის" დროს პარლამენტის შენობის წინ გამოდიოდა, მხარს უჭერდა და ამხნევებდა იქ შეგროვილ ხალხს.

როგორც ჟურნალისტებს მუსიკოსებმა განუცხადეს, ისინი კიევში არა პრეზიდენტობის რომელიმე კონკრეტული კანდიდატის, არამედ უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ჩადიან. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დღეს მოსკოვის გამზირზე მდებარე ჯავშან-სატანკო ქარხანა გადაეცა, რომელიც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა. შესაბამის ხელშეკრულებას დღეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ანდრეი პოპოვმა მოაწერეს ხელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს მარგარეტა ბონივერს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში არსებულ სიტუაციაზე და იტალია-საქართველოს ეკონომიკური, სამრეწველო და ფინანსური თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გუშინვე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიასაც შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარგარიტა ბონივერი მიიღო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოწერა ერთობლივ დეკლარაციას "იტალიის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში საკონსულტაციო ფორუმის შექმნის შესახებ". დეკლარაცია ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გარღმავებას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი ბაგაფში შეწუხებულია რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან საზღვრის მოსალოდნელი ჩაკეტვით, რის შესახებ კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრ ტკაჩოვმა განაცხადა. როგორც ბაგაფშმა ჟურნალისტებს განუცხადა, აფხაზეთში არაფერი ხდება ისეთი, რაც რუსულ მხარეს რუსეთ-აფხაზეთის საზღვარის ჩაკეტვას აიძულებს. ბაგაფშის თქმით, სოხუმი კრასნოდარის მხარის მადლობელია აფხაზეთისთვის გაწეული დახმარების გამო, მაგრამ აფხაზეთის პრეზიდენტი აფხაზმა ხალხმა უნდა აირჩიოს. "სამწუხაროა, რომ ალექსანდრ ტკაჩოვი ასეთ განცხადებებს აკეთებს," - დასძინა ბაგაფშმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** გუშინ ბათუმს საქართველო-ევროპარლამენტის თანამშრომლობის კომიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ვიზიტის მიზანს "ბათუმური რევოლუციის" შემდეგ აჭარაში არსებული ვითარების შესწავლა წარმოადგენს. ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, აჭარის უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერებს ნაზი მიქელაძეს და მალხაზ სიორიძეს ხვდებიან. დელეგაცია ბათუმში ორ დღეს დაჰყოფს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის ენრიკო სიმონიანის ოჯახში შეიჭრა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ოთხი პირი, რა დროსაც სიმონიანმა "მაკაროვის" სისტემის ტაბელური პისტოლეტიდან გასროლით მოკლა ორი თავდამსხმელი, ხოლო ორი ბოროტმოქმედი მიიმალა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატი "აკმ" მჭიდით, 20 ვაზნით, უნომრო ავტომატი "ყარაბაღი" მჭიდით და ოთხი ვაზნით. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო
**FM 107,4**

### „პარლამენტის წინ გახსნილი მემორიალი სერიოზული კულტურული რევოლუციის ნიშანია"

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

**წამყვანები** ლელა ჯიბლაძე, გაგა გობრონიძე, გიორგი ბაბალაშვილი
**სტუმარი** გია ბუღაძე სამხატვრო აკადემიის რექტორი

გადაცემა მიეძღვნა „ვარდების რევოლუციის" წლისთავს




**გია ბუღაძე:**

ამინდმა ხელი არ შეგვიწყო, მაგრამ მგონი არც იყო საჭირო ძალიან პომპეზური ყოველივე რევოლუციის წლისთავის აღნიშვნა. გვეთხრა კიდევაც განგებამ, რომ მოდით უფრო მშვიდად და წყნარად შევხვდეთ წლისთავს და უფრო ანგარიში უნდა ჩავაბაროთ ვიდრე ვიზეიმოთ.

მე განათლების სფეროში რეფორმის მომხრე ვარ და მინდა ვთქვა, რომ თუკი რამე საქართველოში სერიოზული ხდება ხდება განათლების სფეროში და ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული.

კულტურის თვალსაზრისითაც გარკვეული ცვლილებებისკენ ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ეს არ არის ისეთი ცვლილებები როგორიც გვინდა.

პირადად ჩემი აზრით პარლამენტის წინ გახსნილი მემორიალი სერიოზული კულტურული რევოლუციის ნიშანია. საზოგადოებას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ აქ უნდა აღმართულიყო მონუმენტი ქალი ხანჯლით, კაცი ხმლით ან რაიმე ამის მაგვარი მომპეზურ-სენტიმენტალური, პატრიოტული ან რელიგიური ნიშნით. იქ არაფერი ამის მსგავსი არ არის და ეს ძალიან კარგია.

## კონსერვატორებმა პარტიის წესდების პრეზენტაცია გამართეს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ახლად დაფუძნებული პოლიტიკური ორგანიზაციის - კონსერვატიული პარტიის ლიდერებმა, პარლამენტარებმა კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა პარტიის წესდების პრეზენტაცია მოაწყვეს.

როგორც ჩვენთან საუბარში ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, მათი პარტიის წესდება ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მხარდაჭერითა და მასთან აქტიური კონსულტაციების შედეგად მომზადდა. მისივე თქმით, კონსერვატიული პარტიის სახით, საქართველოში ახალი, ევროპული ტიპის პარტიული ორგანიზაცია ჩამოყალიბდება.

საკმაოდ საინტერესოა თავად პარტიის შიდასტრუქტურა. როგორც ზვიად ძიძიგური აცხადებს, საქართველოში ამჟამად მხოლოდ ერთ ლიდერზე ორიენტირებული პარტიები არსებობს, კონსერვატიულ პარტიას კი ერთი ლიდერი არ ეყოლება და თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება ნებისმიერ მსურველს ექნება.

მისი თქმით, კონსერვატორები უარს აცხადებენ ბიზნესმენების ფინანსურ მხარდაჭერაზე და პარტიის სახსრებს მხოლოდ საწევრო გადასახადებით შეაგროვებენ. **"პოლიტიკური კომიტეტის წევრები ვალდებულნი არიან, პარტიას ყოველთვიურად, საწევრო გადასახადის სახით, 200 ლარი შესწირონ, სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარეები - 50-100-ლარიან საწევროს, რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები კი 5-10 ლარს გადაიხდიან. ის პირები, რომლებსაც საწევროს გადახდის საშუალება არ ექნებათ, წევრებად არ მიიღებიან და მათ ასოცირებული წევრების სტატუსი ექნებათ. ამასთან, ასეთ პირებს პარტიულ თანამდებობებზე არ აირჩევენ,"** - ამბობს ძიძიგური

და კიდევ: უახლოესი სამი თვის განმავლობაში კონსერვატიული პარტია საქართველოს მასშტაბით რაიონული და სამხარეო ორგანიზაციების დაფუძნებას გეგმავს, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულზე პარტიის პირველი დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება.

*24 საათი*

# უქმნის თუ არა საფრთხეს ლარის გამყარება ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას

პირველი გვერდიდან

ჩვენ არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ ეროვნული ბანკის კომპეტენტურობაში, მაგრამ მაინც შევნიშნავთ, რომ ამ განმარტებათაგან ზოგიერთი ფრიად საკამათოდ გვეჩვენება, განსაკუთრებით იმის მტკიცება, რომ ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლება თითქოს უმტკივნეულო იყოს ჩვენი ბიზნესისა და მოსახლეობისათვის (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ყველაზე მეტად კი ბიზნესმენებსაც და უბრალო ადამიანებსაც აშინებთ ის, რომ მათთვის შეუძლებელი ხდება წინასწარ განჭვრიტონ ლარის კურსის კავშირი ძირითადი ვალუტების კურსებთან, ინფლაციასთან და სხვა მაჩვენებლებთან: ფინანსური ხელისუფალნი არ იძლევიან არც მიზნობრივ ორიენტირებს ვალუტის კურსის შესახებ და არც გასაგებად ჩამოყალიბებულ სავალუტო პოლიტიკას. ეს გაურკვევლობა ემატება დღევანდელი საქართველოს სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რისკებს, რაც ხელს არ უწყობს პირდაპირი ინვესტიციების შემოტანას ჩვენს ეკონომიკაში.

ვისთვის არის ხელსაყრელი ძლიერი ლარი, რა დგას ამის უკან და როგორი იქნება ასეთი პოლიტიკის შედეგები საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობისათვის? სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ჩვენი ეს სტატია.

### მოგებულები და წაგებულები

იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ ის საკითხები, რომლებიც ვალუტების კურსებთან არის დაკავშირებული, საჭიროა განვმარტოთ ზოგიერთი ძირითადი ეკონომიკური დებულება. ლარი - ეს ჩვენი საშინაო ვალუტაა და ქვეყნის შიგნით ყველა შემოსავლისა და გასავლის გაანგარიშება ( ხელფასები, პენსიები, კომუნალური ხარჯები, აგრეთვე ყოველგვარი საქონლის ყიდვა, მათ შორის იმპორტულისა ) ლარებში ხდება. იმ საქონლისა და მომსახურების ძირითადი ნაწილი, რომლითაც ჩვენი მოსახლეობა სარგებლობს, საქართველოში რომ იწარმოებოდეს, მაშინ ლარის კურსის შეცვლა ჩვენ არც კი შეგვეხებოდა. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ძალიან ფართოდ არის ჩაბმული მსოფლიო ვაჭრობაში იმის გამო, რომ ჩვენ არ გვყოფნის ენერგორესურსები, რაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოგვდგამს, როდესაც ჩამოყალიბდა დარგთა დისპროპორციული განვითარება, და, რა თქმა უნდა, იმ ეკონომიკური ნგრევის გამო, რაც ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში განიცადა. დღესდღეობით იმპორტისაგან დამოკიდებულება საქართველოში კოლოსალურია (იხ. ჩემი სტატია ამავე "24 საათის" 24 ივლისის ნომერში): ჩვენ შემოგვაქვს ენერგომატარებლები, სამომხმარებლო საქონელი, კვების პროდუქტები და ბევრი სხვა რამ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი კი დღესდღეობით ძალზე სუსტია და ამიტომ უზარმაზარი დეფიციტი გვაქვს საგარეო ვაჭრობაში. ყოველივე ეს ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას უაღრესად დამოკიდებულს ხდის ჩვენი ძირითადი ეკონომიკური პარტნიორებისაგან - რუსეთისაგან, თურქეთისაგან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, უკრაინისა და აზერბაიჯანისაგან. და აქ ეროვნული ვალუტის კურსი ამ ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით პირველხარისხოვან როლს ასრულებს.

უფრო ზედმიწევნითი ანალიზისათვის ქვემოთ განვიხილოთ ლარის კურსის 15 პროცენტით ამაღლების გავლენა ჩვენს ქვეყანაში არსებულ ძირითად ეკონომიკურ ჯგუფებზე.

ცალ-ცალკე შევეხოთ ასეთი სავალუტო პოლიტიკის მოკლევადიან და გრძელვადიან ეფექტებს.

**იმპორტიორები.** ეს ჯგუფი საქონელს საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით ყიდულობს და ჩვენს ქვეყანაში მას ლარებში ყიდის. ეჭვგარეშეა, რომ იმპორტიორებისათვის ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლება უაღრესად მომგებიანია, რადგან, საქონელს დოლარებში ან რუბლებში რომ ყიდულობენ, ისინი მას ამავე ფასად ყიდიან ლარებში და ლარის კურსის გაზრდით მიღებულ მთელ მოგებას საკუთარ ჯიბეში იდებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლარებში გამონაგარიშებული შესყიდვითი ფასები დაბლა იწევს, ხოლო გასაყიდი ფასები შეიძლება უცვლელად იქნეს დატოვებული. ხანგრძლივი პერსპექტივით ეს გამოიწვევს იმპორტიორი კომპანიების ფინანსურ და პოლიტიკურ გაძლიერებას და იმპორტის მოცულობათა გადიდებას.

იმპორტის დიდი ნაკადი იმ ქვეყნებიდან, სადაც შრომისნაყოფიერება მაღალია ან სამუშაო ძალის ღირებულება დაბალია (აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, თურქეთი ) ჩვენი ქვეყნის შიდაწარმოებას არაკონკურენტუნარიანს ხდის.

ცოტა კიდევ დავაცადოთ და თურქეთიდან თვით ხილეულის შემოტანაც კი უფრო იაფი დაგვიჯდება, ვიდრე მისი საქართველოში მოყვანა, ხოლო ევროპიდან ხორცისა და ქათმების შემოტანა უკვე დღეს გაცილებით უფრო იაფი ჯდება (იმ ბიზნესმენების თქმით, რომლებიც იმპორტს ეწევიან). ამის შედეგად ქართველი მომხმარებლები გადაიხდიან უცხოელი მუშების გასამრჯელოს და არა საქართველოში სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

**ექსპორტიორები.** ამ ჯგუფისათვის სიტუაცია, სამწუხაროდ, სულ სხვა ხასიათს იღებს. ექსპორტიორები პროდუქციას ქვეყნის შიგნით აწარმოებენ და, მაშასადამე მთელი ხარჯების გაწევა ლარებში უხდებათ. შემდგომ კი ისინი თავიანთ პროდუქციას ქვეყნის გარეთ უცხოურ ვალუტაში ყიდიან. რადგანაც ექსპორტიორები საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობენ, მათ არ შეუძლიათ, თავიანთი პროდუქციის ფასები 15 პროცენტით გაზარდონ მხოლოდ იმის გამო, რომ ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ლარის კურსი ასე შეეცვალა. ამიტომ მათ მიერ გაწეული ხარჯები იგივე რჩება, ხოლო გასაყიდი ფასები ლარებში ოცი პროცენტით მცირდება, რასაც შეუძლია ჩვენი ექსპორტი, საზოგადოდ, არარენტაბელური გახადოს.

თუ სავალუტო კურსების მიმართ სიტუაცია არ შეიცვალა, ანუ ლარის კურსი კიდევ უფრო გამყარდა, მაშინ ქართველ ექსპორტიორებს მეტად არასახარბიელო ბედი ელით - დროთა განმავლობაში მათი მომგებიანობა შემცირდება, შესაბამისად გაუარესდება მათი ფინანსური მდგომარეობა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე მათი გავლენა. ამის შედეგად საქართველოს ისედაც სუსტი საექსპორტო პოტენციალი კიდევ უფრო შემცირდება, ხოლო საგარეო ვაჭრობის დეფიციტი (იმპორტისა და ექსპორტის დონეთა შორის შეუსაბამობა) კიდევ უფრო გაიზრდება.

**მოსახლეობა**. ერთი შეხედვით, მოსახლეობამ, რომელიც საქონელს მოიხმარს და მომსახურებით სარგებლობს იმპორტის დიდი ხვედრითი წილის პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლებით მხოლოდ უნდა მოიგოს, რადგან ახლა მას ერთი ლარით უფრო მეტის ყიდვა შეუძლია. ხოლო თუ საქმის ვითარებას უფრო ახლოს გავეცნობით, სიტუაცია არც ისე სახარბიელო აღმოჩნდება - ფასები სწრაფად მართლაცდა არ იზრდება, მაგრამ ისინი, საშუალო ანგარიშით, არც დაბლა იწევენ (თუმცა ცალკეული იმპორტიორები ამცირებენ ფასებს), ამიტომ მოსახლეობას შეიძლებოდა თითქოს "არც ეგრძნო" ლარის კურსის მომატება, როგორც ხელისუფლება ირწმუნება, ორი გარემოება რომ არა. ჯერ ერთი, ტრადიციულად სსრ კავშირის დარღვევის შემდეგ ჩვენი მოსახლეობა, რომელსაც თუნდაც მცირეოდენი დანაზოგი მოეპოვება, მას აშშ-ს დოლარებში ინახავს. ამჟამადაც ეს დანაზოგები დღითი დღე უფასურდება, რაც ბევრში სასოწარკვეთილებას იწვევს. მეორე, მრავალი ჩვენი თანამემამულე მნიშვნელოვან დახმარებას ღებულობს თავისი ნათესავებისაგან, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობენ, და ეს სახსრებიც ძირითადად უცხოურ ვალუტაში არის ნომინირებული. გამოდის, რომ ხელისუფლებამ ბევრს წაართვა საარსებო სახსრების 15 პროცენტი, ეს კი უკვე მოგვაგონებს იმ მძარცველურ ფულად რეფორმებს, რომლებიც სსრ კავშირმა თავისი არსებობის დასასრულს განახორციელა. ჩემი აზრით, ამის გაკეთება სათანადო ახსნა-განმარტებათა გარეშე არ შეიძლება ისეთ გაღატაკებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, თანაც იმის იმედით, რომ ამას მოსახლეობა ვერ შენიშნავს.

**საფინანსო ინსტიტუტები.** ბანკებისა და საინვესტიციო კომპანიებისათვის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციების ეფექტიანობა, ამასთან მნიშვნელოვანია ის, თუ რომელი ვალუტის სახით აქვთ მათ ნავარაუდევი უკუგების მიღება. ეს მარტივად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ. ვთქვათ, საქართველოს ბანკები თავიანთ გაანგარიშებებს ახდენენ ლარებში, ხოლო უცხოური ბანკები და ინვესტორები - დოლარებში. თავდაპირველად განვიხილოთ ქართული ბანკები. მიმდინარე წლის 1-ლი ივლისისათვის მათ მიერ გაცემული კრედიტების 88 პროცენტი გაცემულ იქნა უცხოური ვალუტის სახით და ისინი ასეთ პროპორციას უკვე რამდენიმე წელია, ინარჩუნებენ (ეროვნული ბანკის მონაცემები). ეს კრედიტები წარმოადგენენ საქართველოს ბანკების ძირითად ნაწილს. ლარის კურსის ამაღლებამ ჩვენ მიგვიყვანა მთელი ამ კრედიტების პროპორციულად შემცირებამდე, ე. ი. ლარებში ბანკების შენატანთა ეფექტიანობა 15 პროცენტით შემცირდა, თუმცა დოლარებში მათ არაფერი დაუკარგავთ. მოგების ასეთმა სერიოზულმა დანაკარგებმა შეიძლება, ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ბანკების საერთო ფინანსურ სტაბილურობაზე და ასეთი სავალუტო პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი დეფოლტამდე მიიყვანოს.

იმ უცხოელი პირდაპირი ინვესტორების შეხედულებით, რომლებიც ფულს დოლარებში ან ევროებში ანგარიშობენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში ფინანსურ ოპერაციათა ღირებულება. მაგალითად, ამ ინვესტორთაგან იმათ, ვინც პრივატიზაციის შედეგად საწარმოს იყიდის, მოუხდებათ საგრძნობლად მეტი სახსრები გაილონ მათი ამუშავებისთვის, ვიდრე ეს მოუხდებოდათ ერთი წლის წინათ, რადგან ხარჯვითი ნაწილის გამონაგარიშება ლარებში მოუწევთ. ხოლო თუ ეს საწარმო ექსპორტზეც არის ორიენტირებული, მაშინ მისი შესყიდვა შეიძლება, საერთოდ უაზრო აღმოჩნდეს. იბადება კითხვა: ესმის კი ხელისუფლებას თუ რას სჩადის ლარის კურსის გამყარების დაშვებით უშუალოდ პრივატიზაციის წინ?

**სახელმწიფო.** სახელმწიფო სტრუქტურები ეკონომიკაში რამდენადმე განსხვავებულ როლებს ასრულებენ. ჯერ ერთი, ისინი თავადაც ეკონომიკური სუბიექტები არიან და ფართო შესყიდვით ოპერაციებს ეწევიან. მეორე, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები ფისკალურ ფუნქციას ასრულებენ იმით, რომ ახდენენ ბიუჯეტის შევსებას საგადასახადო შემოსავლებით. მესამე, სახელმწიფო სტრუქტურები მომსახურებას უწევენ საქართველოს სუვერენულ ვალს უცხოეთის სახელმწიფოების წინაშე და სხვა დავალიანებებს, მაგალითად, ენერგომატარებლებისათვის. სახელმწიფო ამ თვალსაზრისით ჰგავს იმ კომპანიას, რომლის საშემოსავლო ნაწილი გამოიხატება ლარებში (გადასახადება, ბაჟები და აქციზები), ხოლო ხარჯების არცთუ მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში (ენერგომატარებლებისა და ხორბლის შესყიდვა, გადასახადები კრედიტებისა და ვალებისათვის).

სავსებით გასაგებია, რომ სახელმწიფოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციისათვის ლარის კურსის ამაღლება დიდად ხელსაყრელია. შესაძლებელია იმპორტული საქონლის უფრო იაფად შესყიდვა და მომსახურებაზეც ნაკლები ხარჯების გაღება, აგრეთვე ვალების უფრო სწრაფად გასტუმრება. იმპორტის სტიმულირებამ უნდა გაადიდოს აქციზების, საბაჟო გადასახადების და იმპორტიორთა მოგების გადასახადების თანხები, ე. ი. შეივსოს ბიუჯეტი. ერთი სიტყვით, მთავრობისათვის მოკლევადიანი პერსპექტივით ყველაფერი ხელსაყრელად ეწყობა. სწორედ ამაშია, ჩემი აზრით, ლარის კურსის ამაღლების ნამდვილი მიზეზები, რომლებსაც შეიძლება კიდევ დაემატოს ინფლაციის დაბალი დონის შესახებ მსოფლიო სავალუტო ფონდის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესრულება (და გადაჭარბებით შესრულებაც). თქვენ ეს არაფერს მოგაგონებთ?

სამწუხაროდ, სავსებით დავიწყებულია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდა და ამის შესაბამისად მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლება. რატომღაც თურქეთი, რომლის განვითარების მაჩვენებლები (GDP/capita) საქართველოსთან შედარებით 4-ჯერ მაღალია, უკვე მრავალი წელია, ინარჩუნებს ლირის დაბალ კურსს და გამუდმებით ეწევა მის დევალვაციას დოლართან და ევროსთან მიმართებით. ამით თურქეთის ხელისუფლება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მიზანს აღწევს: 1) მოსახლეობა მოიხმარს ადგილობრივ საქონელს და ხელს უწყობს საკუთარ წარმოებას, რადგან იმპორტი ძალიან ძვირია; 2) თურქეთის საქონელი ძალზე იაფია სხვა ქვეყნებში და ამიტომ ექსპორტი დღითი დღე იზრდება; 3) უცხოელი ტურისტები სიამოვნებით მიემგზავრებიან თურქეთში, რადგან ამ ქვეყანაში შეიძლება იაფად დაისვენო და იქ მილიარდობით დოლარს ტოვებენ. ასევე იქცევა ბევრი სხვა ქვეყანაც, და სწორედ ამიტომაც არის მზარდი.

### დროა, განგაშის ზარებს შემოვკრათ

ეკონომიკის კურსებში ვალუტისა თუ აქციების ზრდის მსგავს სიტუაციებს უწოდებენ თამაშს, რომლის შედეგიც ნულის ტოლია (zero-sum game), რამდენადაც ერთი მხარის მოგება მეორე მხარის წაგებას უდრის. ჩვენ მიერ ზემოთ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, მოკლევადიანი პერსპექტივით მოგებული რჩებიან იმპორტიორები და სახელმწიფო სტრუქტურები, ხოლო წაგებული - მთელი დანარჩენი ბიზნესი (შიდამწარმოებლები და ექსპორტიორები), საბანკო სექტორი და მოსახლეობა. ფაქტობრივად, ამ ჯგუფების ხარჯზე ხდება მთავრობის მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა - საგარეო ვალების გადახდა, შესყიდვები, გადასახადების აკრეფა.

ხანგრძლივი პერსპექტივით კი წაგებული კიდევ უფრო მეტნი არიან - სუსტდება შიდა წარმოება და ექსპორტი. იზრდება უმუშევრობა, კიდევ უფრო ძლიერდება ჩვენი დამოკიდებულება იმპორტზე და, მაშასადამე, სხვა ქვეყნებზე, პირველ რიგში, რუსეთზე და თურქეთზე. მცდარმა სავალუტო პოლიტიკამ არაერთი ქვეყანა დალუპა, მაგალითად ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ეკონომიკურად გაცილებით უფრო ძლიერი ქვეყნები ეროვნული ვალუტის უგუნური მართვის შედეგად კრიზისში აღმოჩნდნენ.

პირადად მე აუცილებლად მიმაჩნია ლარის დევალვაცია, რაც ქართულ ბიზნესს საშუალებას მისცემდა ფეხზე დამდგარიყო, შეექმნა მრავალი სამუშაო ადგილი, გამოეშვა უფრო მეტი საექსპორტო საქონელი და ჩვენს ქვეყანაში მოეზიდა ინვესტორები. ყოველივე ამაში მას მთავრობაც უნდა ეხმარებოდეს და არა ხელს უშლიდეს. საჭიროდ მიმაჩნია, რომ ლარის დევალვაცია ხდებოდეს დოლარის მიმართ ამ უკანასკნელის ინფლაციის პარალელურად, რათა ცხოვრების ღირებულება დოლარებში უცვლელი რჩებოდეს, ხოლო ხალხი არ კარგავდეს თავის დანაზოგებს.

მე არ ვაპირებ რჩევა-დარიგებები მივცე საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალისტებს იმის შესახებ, თუ უკეთესად როგორ უნდა მართონ სავალუტო კურსი - ნებისმიერ ცენტრალურ ბანკს საამისოდ მოეპოვება ფინანსურ ინსტრუმენტთა დიდი რაოდენობა. ჩემი სურვილია, მათ თავიდან აიცილონ ცდუნება - გადაწყვიტონ თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი, გადაუდებელი ამოცანები ისეთი მძლავრადმოქმედი საშუალებებით, როგორიცაა სავალუტო პოლიტიკა. ეკონომიკისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდა უნდა იყოს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის პირველი პრიორიტეტი, რომლის ძირითადი დებულებები უნდა წარედგინოს საზოგადოებასა და სპეციალისტებს, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში კეთდება.

და თუ ნამდვილად აუცილებელია, რომ ქვეყნისათვის გაღებულ იქნეს გარკვეული მსხვერპლი თავისი მოქალაქეების ცხოვრებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაშინ ამის შესახებ პირდაპირ უნდა ვილაპარაკოთ. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება დღეს საქართველო და გაგებით ვეკიდებით ხელისუფლების გარკვეულ ნაბიჯებს, თუ ისინი გამართლებულია და სათანადოდ გააცნეს საზოგადოებას, მაგრამ ნამდვილი დემოკრატია სწორედ იმით განსხვავდება "მართული დემოკრატიისაგან", რომ ხელისუფლება განმარტავს თავის პოლიტიკას და აღწევს მის მხარდაჭერას, იგი არ ცდილობს, დაუმალოს ხალხს ნეგატიური მოვლენები. საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არის თავისუფალი პრესა და ტელევიზია, რომლებიც საშუალებას აძლევენ ხელისუფლებასა და საზოგადოებას აწარმოონ დიალოგი. იმედი მინდა ვიქონიო, რომ ასეთი დიალოგი აუცილებლად გაიმართება ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ეროვნული ბანკის პოზიცია
იხილეთ A4 გვერდზე

# საქართველო რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს

საქართველოს ელექტროსისტემაში დღეს დილით მომხდარი ავარიის გამო თბილისის მოსახლეობის 40 პროცენტს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. როგორც გუშინ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებდნენ, ქსნის ქვესადგურში 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები გამოირთო, რამაც აღმოსავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგება შეაფერხა. ავარიის გამო თბილისის სრულად დატვირთვას 100 მეგავატი სიმძლავრე აკლდა, რამაც დედაქალაქის მნიშვნელოვანი შეზღუდვა გამოიწვია. ქსნის ქვესადგურიდან 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით იმერეთიდან "ქართლი-2"-ის მეშვეობით აღმოსავლეთ საქართველოში გადმოტანილი ელექტროენერგია ნაწილდება.

გუშინვე, შექმნილი მძიმე ენერგეტიკული მდგომარეობის გამო, გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება გუშინ ღამიდან რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყების შესახებ. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით "კავკასიონი" საქართველოში 95 მეგავატი ელექტრონერგია შემოვა.

დენის იმპორტის დაწყება, როგორც აღვნიშნეთ, მას შემდეგ გადაწყდა, რაც 23 ნოემბერს ძლიერმა ქარმა ქვეყნის ელექტროსისტემა სერიოზულად დააზიანა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩამოყრილია სადენები, გამორთულია ქვესადგურები და ენერგობლოკები. განსაკუთრებით რთული ვითარებაა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, მთლიანად გათიშულია ქალაქი მცხეთა, გუდაური, ყაზბეგი, აგრეთვე, სოფლები: დიღომი, ნაფეტვრები, ლისი, მუხრანი, გლდანი, ფასანაური, საგურამო.

ამჟამად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომელსაც "საქართველოს ელექტროსისტემა" და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ასრულებს.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ინფორმაციით, დენს ის რეგიონები მიიღებენ, სადაც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებელი შედარებით უკეთესია. გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას 1 კილოვატ-საათი ელექტროენერგია 2,6 აშშ ცენტი დაუჯდება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ორდღიანი საქმიანი ვიზიტით ფრანკფურტში იმყოფებოდა, სადაც ევროპის ფინანსური კონგრესი გაიმართა. ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ზაზა გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ევროპის ფინანსურ კონგრესში საქართველოს მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ კონგრესში, ტრადიციულად, მონაწილეობენ მსოფლიოს წამყვანი საფინანსო წრეები და ცენტრალური ბანკები. ევროპის ფინანსურ კონგრესზე იმსჯელეს ევროზონის გაფართოებაზე, ევროკავშირის ქვეყნებს გარეთ ევროს როლსა და საბანკო ზედამხედველობასა და რეგულირების საკითხებზე. **მედია-ნიუსი**

# ლარის გამყარება კანონზომიერია?

ბოლო პერიოდში ლარი კვლავ გამყარდა. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ოთხშაბათის ვაჭრობაზე ეროვნული ვალუტის კურსმა ერთ აშშ დოლართან მიმართებაში კვლავ 1,78 ლარი შეადგინა. შიდა სავალუტო ბაზარზე, შუადღის მდგომარეობით, 1 აშშ დოლარის ყიდვა-გაყიდვის კურსები, შესაბამისად, 1,78 და 1,79 ლარს გაუტოლდა. ეროვნულმა ბანკმა 25 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსები: 1 ევრო - 2,3380 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0,0626 ლარი, 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი - 3,3373 ლარი.

გუშინ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვაჭრობაში მონაწილეობდა 5 კომერციული ბანკი და - ეროვნული ბანკი. ბრუნვის საერთო მოცულობამ 1 455 000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან ეროვნულმა ბანკმა 835 000 აშშ დოლარი შეიძინა, რაც ნიშნავს, რომ ლარზე რეალური მოთხოვნა კვლავ სერიოზულად აღემატებოდა დოლარზე მოთხოვნას და ბაზარზე ლარის უმეტესი ნაწილი ისევ ეროვნულმა ბანკმა გაიტანა.

საინტერესოა, რომ ლარის ამჟამინდელი გამყარების გამო ექსპერტები აღარ ხმაურობენ, ეროვნული ბანკი კი კვლავ, ტრადიციისამებრ, ირწმუნება, რომ პროცესი კანონზომიერია:

**"ბოლო დროს ლარის გამყარება არა ხელოვნურად არამედ კანონზომიერად ხდება,"** - აცხადებს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ზაზა გაჩეჩილაძე.

**"ლარის გამყარება ლოგიკურია, რყევა იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ დოლარის კურსი 2.00-დან 1.80-მდე ჩამოვიდოდა. რაც შეეხება იმაზე საუბარს, რომ ლარი ხელოვნურად ინარჩუნებს სიმყარეს, აბსურდია, რადგან ერთი თვის განმავლობაში კურსის "დაჭერა" შეუძლებელია. ლარის გამყარება ობიექტური მიზეზით მოხდა, თუნდაც ის, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი დასრულების სტადიაშია და სერიოზული მასა შემოდის ინვესტიციების სახით. ამასთან გამკაცრდა ფისკალური პოლიტიკა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისთვის სჭირდებათ ლარი. და ბოლოს, როგორც წესი, წლის ბოლოს, ბიუჯეტის შესრულებისას ლარი მყარდება,"** - განაცხადა ზაზა გაჩეჩილაძემ.



იური ლობოდინის ფოტო

*ეროვნულ ბანკში ირწმუნებიან, რომ ლარის გამყარება არა ხელოვნურად, არამედ კანონზომიერად ხდება.*

თუმცა, დღეს ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს შეინარჩუნებს ლარი ამ მაჩვენებელს, რადგან, როგორც ცნობილია, ბიუჯეტს დარჩენილ ერთ თვეში საკმაოდ დიდი ხარჯი აქვს გასაწევი. ექსპერტთა განმარტებით, თუ ბიუჯეტის ხარჯები შესრულდა, ანუ თუ ხაზინამ ანგარიშზე მყოფი თანხა ბრუნვაში გამოუშვა, ეროვნული ვალუტა ერთ "ნახტომს" კიდევ გააკეთებს. ამ ნახტომის ზომა კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორად წარმართავს უახლოეს დღეებში ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი საფინანსო პოლიტიკას.

*24 საათი*

# რუსეთის განცხადებები დოლარს "აღიზიანებს"

## ამერიკის ეკონომიკა კი ევროპული ეკონომიკის თავსატეხია

*დოლარი სტაბილურად განაგრძობს ვარდნას. გუშინ ევროს კურსმა მორიგ რეკორდულ მაჩვენებელს 1,3169 დოლარს მიაღწია. დღეს მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ვალუტისათვის მომგებიანი სუსტად ყოფნაა - ასე ხომ ამერიკელები თავის შიდა ეკონომიკურ პრობლემებს წყვეტენ.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ დოლარის კურსი ევროს მიმართ მორიგ რეკორდულ მინიმუმამდე დაეცა, ამერიკული ვალუტის გაყიდვები ForEx-ის ბაზარზე კი განუხრელად იზრდება. გუშინდელი დილიდან მოყოლებული, ევრო 1,3128 დოლარამდე გაძვირდა.

ამასთან, დოლარი, ევროს გარდა, სხვა ვალუტების მიმართაც ეცემა. დღეს რუბლის კურსმა ბოლო ოთხი წლის მაქსიმუმს მიაღწია. უფრო შთამბეჭდავი სიტუაციაა შვეიცარული ფრანკის შემთხვევაში, სადაც ვალუტამ დოლარის მიმართ ბოლო ცხრა წლის რეკორდს მიაღწია. მიმდინარე თვეს ევროს კურსმა ამერიკული დოლარის მიმართ რეკორდი მეშვიდედ დაამყარა.

ბაზარზე თვლიან, რომ ევროს მიმართ დოლარის კურსის მორიგი დაცემა რუსეთის ცენტრალური ბანკის ალექსეი ულიუკაევის განცხადებამ გამოიწვია ცენტრალური ბანკის ოქროს-სავალუტო რეზერვის სტრუქტურაში ევროს წილის შესაძლო გადახედვასთან დაკავშირებით. თუმცა, დოლარის კურსის ვარდნის და ევროს გაძლიერების ძირითად მიზეზად კვლავ აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის და სავაჭრო ბალანსის დეფიციტი რჩება.

დაზუსტებით თქმა, როდემდე გაგრძელდება ამერიკული ვალუტის ვარდნა, ძნელია. რუსი ეკონომისტის ვლადიმერ ტიხომიროვის თქმით, **"ამ ეტაპზე სუსტი დოლარი, ამერიკელებისთვის ბიუჯეტის შემოსავლების შეკვეცის ერთადერთი გამოსავალია."** მეტიც, ანალიტიკოსების განცხადებით, ბუშის ადმინისტრაციის შიდა პოლიტიკა დიდ ხარჯებს გულისხმობს და ნაკლებად სავარაუდოა, უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით სიტუაცია კარდინალურად შეიცვალოს.

თუმცა, მიუხედავად დღევანდელი პრობლემებისა, გრძელვადიან პერსპექტივაში ანალიტიკოსები კუშს ისევ დოლარზე ჩამოდიან. ტიხომიროვის თქმით, სიტუაცია, როცა ინვესტორი ფუნდამენტალურად სუსტი ვალუტისკენ გარბის, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ამასთან, **"დღეს ამერიკის ეკონომიკა ყველაზე მოგებულ სიტუაციაშია. უახლოეს პერიოდში ამ ურთიერთობებში ძირეულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ,"** - განაცხადა მან.

# კაპიტალის ბაზრის განვითარება - პრიორიტეტული ამოცანა

ლევან სურგულაძე
*დირექტორი, ფინანსური რისკის კონტროლი*
*UBS Investment Bank*
*(შვეიცარიის გაერთიანებული ბანკი) ნიუ იორკი*

*წერილში გამოთქმული მოსაზრებები, შეიძლება, არ ემთხვეოდეს შვეიცარიის გაერთიანებული ბანკის, მისი დირექტორების, თანამშრომლების ან მასთან ასოცირებული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას, ამ წერილის ავტორის მხოლოდ პირად შეხედულებებს ემყარება და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რაიმე საინვესტიციო რჩევას ზოგადად ან რომელიმე კონკრეტული პროდუქტის ან მეთოდიკის მიმართ.*

ათ წელზე მეტია, რაც სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული ეკონომიკურ-ფინანსური სისტემა ლიკვიდირებულია. ახალი, დასავლური ტიპის, საბაზრო პრინციპებზე დამყარებული სისტემის ამუშავება კი მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება ყოფილი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

საქართველოში ეს პროცესი, მიუხედავად გაწეული მნიშვნელოვანი რეფორმატორული სამუშაოებისა, ნელა და მტკივნეულად მიმდინარეობს. დასავლური, აგრეთვე, განვითარებადი აზიური და სამხრეთ ამერიკული ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, რომ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი წინაპირობა ეფექტური კაპიტალის ბაზრის განვითარებაა. ემპირიული და თეორიული გამოკვლევებით დასტურდება, რომ განვითარებული კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ აღმავლობას. კაპიტალის ბაზრის ძირითადი ეკონომიკური ფუნქციაა გამოთავისუფლებული შიდა ფულადი სახსრების მობილიზაცია და მათი ისევ ეკონომიკაში ოპტიმალური დაბრუნება; აგრეთვე, უცხოური პორტფოლიო ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკაში მათი ოპტიმალური გადანაწილება. აქვე დავაზუსტებთ, რომ პირდაპირი ინვესტიციისას, ინვესტორს შემოაქვს კომპანიაში კაპიტალი და, უმეტეს შემთხვევებში, მონაწილეობს მის საქმიანობაში. პორტფოლიო ინვესტიციის დროს, ინვესტორი ყიდულობს კომპანიის წილს ან იძლევა კრედიტს - შესაბამისად, მისი წილობრივი ან საკრედიტო ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით და, როგორც წესი, კომპანიის საქმიანობაში არ ერევა.

მიუხედავად განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ეს თემა როგორც ფართო, ისე დარგობრივ პრესაში სათანადო ყურადღების მიღმა რჩებოდა. წერილში გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობაზე, პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზებზე. ამ საკითხების ფართო პრესაში განხილვა, ჩვენი აზრით, დროულია და მოტივირებულია შემდეგი გარემოებებით. საქართველოში დაიწყო დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომლის ეკონომიკურ საფუძველსაც საბაზრო დემოკრატია უნდა წარმოადგენდეს. ჯანსაღ და ეფექტურ კაპიტალის ბაზარს კი ისეთივე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისათვის, როგორც გულსისხლძარღვთა სისტემას ცოცხალი ორგანიზმისათვის. შედარება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირდაპირია. კაპიტალის ბაზრის პოტენციური მონაწილეები ფართო საზოგადოების წარმომადგენლები არიან, რომელთა ინფორმირებულობაც გადამწყვეტი ფაქტორია ბაზრის განვითარებისათვის. მათ მუდმივად უნდა მიეწოდებოდეთ პოპულარული ინფორმაცია კაპიტალის ბაზრის, საინვესტიციო პროდუქტების და შესაბამისი ფინანსური რისკების, რისკისა და მოგების ურთიერთკავშირის და არსებული საინვესტიციო მომსახურების შესახებ. ქვემოთ გაშუქებული ზოგიერთი საკითხი შეიძლება საინტერესო იყოს სახელმწიფო და შესაბამისი ინდუსტრიის მართვის ინსტიტუტებისთვისაც.

### კაპიტალის ბაზარი და მისი მნიშვნელობა ეკონომიკისათვის

კაპიტალის ბაზარი შუამავალია ინვესტორსა და კაპიტალის მომხმარებელს შორის. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები და ეკონომიკური სუბიექტების ფულადი დანაზოგები, ინვესტიციების სახით, ისევ ეკონომიკაში ბრუნდება, სწორედ კაპიტალის ბაზრის საშუალებით. კაპიტალის ბაზრის გლობალიზაციის შემთხვევაში კი საუბარია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ინვესტიციებზე.

კაპიტალის ბაზარი საშუამავლო ფუნქციებს კომერციული და საინვესტიციო ბანკების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის და სხვა ფინანსური ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებს. ინვესტიციები ეკონომიკაში წილობრივი და საკრედიტო ფორმებით ხდება. განვითარებული კაპიტალის ბაზარი უზრუნველყოფს არსებული (თუნდაც, მწირი) საინვესტიციო სახსრების მობილურობას და მათ ოპტიმალურ გადანაწილებას ეკონომიკაში. ხშირად ამბობენ, მაგალითად, რომ "სახელმწიფომ უნდა განავითაროს" ესა თუ ის ეკონომიკური სექტორი. მართლაც, სახელმწიფომ შეიძლება აწარმოოს წამახალისებელი პოლიტიკა, ამა თუ იმ სექტორის გასავითარებლად, მაგრამ: ეფექტური კაპიტალის ბაზარი არის ის ბუნებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო სახსრების ავტომატურად მიმართვას იმ სექტორებში, სადაც ეს ეკონომიკურად ყველაზე მიზანშეწონილია.

საქართველოში ერთადერთი გზა, მოქალაქის მცირე დანაზოგის ეკონომიკაში მოხვედრისა, საბანკო დეპოზიტია. საზოგადოდ, ეს არ არის ერთადერთი შესაძლო და ყოველთვის ყველაზე ოპტიმალური გზა. მაგალითად, როგორ მიიღოს წარმატებულმა ბიზნესმა, რომელსაც გაფართოება სურს, ვთქვათ, 10 მილიონი ლარის გრძელვადიანი დაფინანსება? ასეთი დაფინანსება ბანკიდან რომც მოხერხდეს, სესხის სიძვირის გამო, მიზანშეწონილი არ იქნება და უარყოფითად იმოქმედებს ბიზნესის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ინვესტორი მოხარული იქნებოდა თავისი დანაზოგის, მაგალითად, 100 ლარის ინვესტირება მოეხდინა ამ ბიზნესში სესხის ან წილობრივი სახით. ამასთან, არც 10000 ასეთი ინვესტორის არსებობაა წარმოუდგენელი. სამწუხაროდ, შესაბამისი საშუამავლო მექანიზმი - ფასიანი ქაღალდების ბაზარი - საქართველოში განვითარებული არ არის. ამასთან, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების ბუნებრივი წინაპირობა, როდესაც მოკლევადიან კრედიტებზე სპეციალიზებული საბანკო სისტემა ბიზნესის გრძელვადიან კრედიტებზე მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებს, ჩვენი აზრით, უკვე მიღწეულია.

კაპიტალის ბაზრის მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია, მრავალმხრივი და გამჭვირვალე ინფორმაციის საფუძველზე, წილობრივი და საკრედიტო ფასების ფორმირება და მათი შემდგომი რეგულირებაა.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც, საინვესტიციო სახსრების ნაკლებობაა, რადგანაც საშუალო შემოსავლის და ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგების დონე დაბალია. ეს კი მუხრუჭია ეკონომიკის განვითარებისათვის. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, კაპიტალის ბაზარი გლობალურ საშუამავლო ფუნქციებსაც ასრულებს. ერთი ქვეყნის ეკონომიკის რომელიმე სექტორში გამოთავისუფლებული ფულადი რესურსები შეიძლება ინვესტირებული იქნეს სხვა ქვეყნის ეკონომიკაში, თუ ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია. ასე რომ, ეფექტური კაპიტალის ბაზარი უზრუნველყოფს უცხოური პორტფოლიო ინვესტიციების მოზიდვას და მის ინექციას ქვეყნის ეკონომიკაში. განუვითარებელი საშუამავლო მექანიზმები (კაპიტალის ბაზარი) კი გადაულახავი ბარიერია უცხოური პორტფოლიო ინვესტიციებისათვის. საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინება ლიმიტირებულია საერთაშორისო სამთავრობო და ფინანსური ორგანიზაციების დახმარებებით და სესხებით, და იშვიათად - პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და კომერციული სესხებით. უცხოური პორტფოლიო ინვესტიციები საქართველოში არ ხორციელდება ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, რაც დიდი დანაკლისია ქვეყნის ეკონომიკისათვის. რამეთუ, მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, პორტფოლიო ინვესტიციების საერთო მოცულობა გაცილებით მაღალია, ვიდრე პირდაპირი ინვესტიციებისა. გლობალურ კაპიტალის ბაზართან ინტეგრაცია ასევე უშვებს ქართული საინვესტიციო კაპიტალის რომელიმე უცხოურ ეკონომიკაში მოხვედრის შესაძლებლობებს.

1980-იანი წლების დასაწყისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო ინდუსტრიის დერეგულაციამ საინვესტიციო ფონდების უპრეცედენტო ზრდა გამოიწვია. ეს, ნაწილობრივ, ფედერალური მთავრობის მიერ წარმოებული წამახალისებელი საგადასახადო პოლიტიკით იყო გამოწვეული. 1996 წელს, საინვესტიციო ფონდების აქტივები გაუტოლდა საბანკო დეპოზიტებს და სამ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. მოხდა საბანკო დეპოზიტებზე არსებული დანაზოგების მასიური გადატანა ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიაში. ამჟამად, ამერიკულ და სხვა დასავლურ საინვესტიციო ფონდებს თითქმის სრული თავისუფლება აქვთ აწარმოონ პორტფოლიო ინვესტიციები განვითარებად კაპიტალის ბაზრებზე. ამისათვის მათი მოტივირება ორგვარია - შედარებით მაღალი მოგების ალბათობა და საინვესტიციო პორტფოლიოში საბაზრო, საკრედიტო და სხვა ტიპის ფინანსური რისკების ეფექტური დივერსიფიკაცია. არსებობს ათასზე მეტი სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდი, რომლებიც აწარმოებენ ინვესტიციებს, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. ასე რომ, თუ საქართველოს ექნება გამართული ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მნიშვნელოვანი უცხოური პორტფოლიო ინვესტიციების იმედი შეიძლება ვიქონიოთ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებლობას სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც განაპირობებენ. მაშინ, როცა ბანკებზე ორიენტირებულ კაპიტალის ბაზარზე ფინანსური რისკი მთლიანად ბანკებშია კონცენტრირებული, განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს შეუწყობს რისკის ეფექტურ გადანაწილებას ბაზრის სხვადასხვა მონაწილეებზე, რომელთაც სურთ და ძალუძთ ამ რისკის შესაბამისი რაოდენობით აღება და მისი შემდგომი მენეჯმენტი. ასეთ შემთხვევაში, ფინანსური სისტემა გაცილებით მდგრადი ხდება სისტემური ფინანსური კატაკლიზმების მიმართ. ამრიგად, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეფექტური ფინანსური რისკის მენეჯმენტის და დივერსიფიცირებული ინვესტიციების საშუალებას იძლევა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი, აგრეთვე, ინსტრუმენტულია სამთავრობო ვალის ეფექტურ მენეჯმენტში, პრივატიზაციის პოლიტიკის განხორციელებისას და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საუკეთესო მსაჯულია. იგი ასევე ხელს უწყობს ფისკალურ დეცენტრალიზაციას, სახელმწიფო ფინანსურ დისციპლინას და ფასების ბუნებრივ დარეგულირებას. განვითარებული ბაზარი განაპირობებს ინფრასტრუქტურული ინსტიტუტების - საინვესტიციო ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების, საინვესტიციო ფონდების, საბროკერო და საკონსულტაციო კომპანიების შექმნას და უძრავ ქონებაზე საკრედიტო ბაზრის ფორმირებას. განვითარებული ბაზარი ხელს უწყობს როგორც სამთავრობო, ასევე კომპანიების, ბანკების და მსხვილი პროექტების ეფექტურ დაფინანსებას, აგრეთვე, ეფექტური კორპორატიული მართვის მექანიზმების ჩამოყალიბებას. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეხმარება კომერციულ ბანკებს, მიიღონ საჭირო ლიკვიდურობა გრძელვადიანი საკრედიტო პორტფოლიოების სექიურიტიზაციის (sequritization) გზით. დაბოლოს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება გამოიწვევს შესაბამისი ინდუსტრიის განვითარებას და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას, აგრეთვე, უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო მასების ფინანსურ განათლებას, ინფორმირებულობას და მათ საინვესტიციო აქტიურობას.

ფინანსური დანაზოგების გაზრდა არ იქნება კაპიტალის ბაზრის განვითარების პირდაპირი შედეგი. თუმცა, ეს უკანასკნელი უდავო წინაპირობაა ეკონომიკური აღმავლობისა, რომლის პირდაპირი შედეგიც იქნება ეკონომიკური სუბიექტების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ამასთან, საქართველოს აქვს კარგი შანსი, რომ, თუ სრულყოფილი კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბება მოხერხდება, რეგიონალური ბაზრის ცენტრი გახდეს. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობებს და მასშტაბებს.

### კაპიტალის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, კაპიტალის ბაზრის ფორმირება ნულიდან დაიწყო, გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელ, განსაკუთრებით არასახარბიელო პირობებში - გადაგვარებული და რეპრესიული ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობები, არაადეკვატური სამართლებრივი სისტემა, ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია, აგრეთვე, რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია და შიდა კონფლიქტები.

დღევანდელი საქართველოს კაპიტალის ბაზარი მთლიანად საბანკო სისტემაზეა ორიენტირებული. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც უფრო პირდაპირი გზაა საინვესტიციო სახსრების მობილიზაციისა მათი ეკონომიკაში ინექციისათვის, მიუხედავად შესრულებული დიდი მოცულობის საკანონმდებლო და ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოებისა, ჯერ კიდევ ძალზე სუსტია. კაპტალის ბაზრის ასეთი მკვეთრად ცალმხრივი სტრუქტურის პირობებში ქვეყნის ეკონომიკა დიდხანს ვერ მიაღწევს განვითარების სრულფასოვან ტემპებს. ამასთან, აზიისა და რუსეთის ცნობილი ფინანსური კრიზისების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ბანკებზე ცენტრირებული ფინანსური სისტემა გაცილებით დიდი სისტემური რისკის ქვეშაა. რამეთუ, სრულფასოვანი კაპიტალის ბაზარი მგრძნობიარეა მოახლოებული ფინანსური თუ ეკონომიკური კრიზისების მიმართ და შესაბამის წინასწარი შეტყობინების სიგნალებს იძლევა.

დასავლურ კაპიტალის ბაზრებზე განვითარებულია როგორც საბანკო სისტემა ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარი. როგორც წესი, მათი ფუნქციები ნაკლებად გადაიკვეთება. კომერციული ბანკები, ძირითადად, მცირე ბიზნესს ემსახურებიან. საშუალო და დიდი ბიზნესის დაფინანსება ფასიანი ქაღალდების ბაზრის საშუალებით ხდება. საქართველოში, პატარა კომპანიამ სულ რაღაც 50,000 ლარი ადვილად შეიძლება ბანკში ისესხოს, მაშინ როცა, მაგალითად, 10-მილიონიან დაფინანსებას შედარებით დიდი კომპანია მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ან პირდაპირი უცხოური ინვესტიციის საშუალებით თუ მოახერხებდა.

სრულყოფილი კაპიტალის ბაზრის არარსებობა განაპირობებს კრედიტებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. სახაზინო ვალდებულებებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები მკვეთრად ზღუდავს ისედაც სუსტ საკრედიტო ბაზარს. რამეთუ, ბანკების საკრედიტო პორტფოლიოებში ბიზნეს სესხების ნაწილს მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებები ჩაენაცვლნენ.

გერმანიაში, შვეიცარიაში, იაპონიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, განვითარებულია როგორც საბანკო, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრები, თუმცა ორიენტაცია ბანკებზეა გაკეთებული. კაპიტალის მიწოდებას სესხის სახით ნებისმიერი სიდიდის ბიზნესისათვის ძლიერი და გავლენიანი ბანკები ახორციელებენ. ხშირია ბანკების წილობრივი მონაწილეობაც. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდი ბრიტანეთში ფასიანი ქაღალდების ბაზრები დომინირებენ. ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში და ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ფინანსური სისტემები ევოლუციის დაახლოებით იგივე ფაზაში არიან, როგორშიც საქართველოს ფინანსური სისტემაა. დღევანდელ ანალიზში ხშირად მივმართავთ ამ ქვეყნების მაგალითებს.

90-იანი წლების ბოლოდან დღემდე ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში კაპიტალის ბაზრის ფორმირებისათვის. ეს შეეხება როგორც საბანკო სისტემას, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარს. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, თვითრეგულირებადი საზედამხედველო და მაკონტროლებელი ინფრასტრუქტურა. დაარსდა საფონდო ბირჟა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით და ცენტრალური დეპოზიტორი. თუმცა, გასაკეთებელი ბევრი დარჩა, როგორც ამას მოწმობს ძალიან დაბალი სავაჭრო აქტივობა, როგორც პირველად, ისე მეორად ბაზრებზე. ცხადია, შეუძლებელია ერთ საგაზეთო წერილში ჩამოყალიბდეს სრული სამოქმედო გეგმა და რეცეპტები. რაც შეეხება საბანკო სისტემას, შესაბამისი (ერთობ პოზიტიური) შეფასება და რეკომენდაციები წარმოდგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2003 წლის ანალიზში.



# უკრაინა რევოლუციის ზღვარზე იმყოფება

პირველი გვერდიდან

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, ჯერ კიდევ თბილისის დროით 16 საათზე, დახურულ რეჟიმში უნდა დაწყებულიყო. თუმცა, თავად ცესკოში, ისევე როგორც მთელ უკრაინულ საზოგადოებაში, განხეთქილება დაიწყო. როგორც ცესკო-ს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ზოია კაზანჟიმ განაცხადა, სხდომა იმის გამო ჭიანურდებოდა, რომ "კომისიის ორ წევრზე მეტმა დასკვნით ოქმზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა".

უნდა აღინიშნოს, რომ ცესკოს მიერ გაკეთებული განცხადება ჯერ კიდევ "წინასწარ ხასიათს" ატარებს, რადგან კანონის მიხედვით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალური შედეგები არჩევნების დღიდან 15 დღე-ღამის შემდეგ უნდა გამოაქვეყნოს.



ცესკო-ს მიერ გაკეთებული განცხადება ჯერ კიდევ "წინასწარ ხასიათს" ატარებს, რადგან კანონის მიხედვით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალური შედეგები არჩევნების დღიდან 15 დღე-ღამის შემდეგ უნდა გამოაქვეყნოს.

ცესკო-ს შენობასთან შეკრებილმა იანუკოვიჩის მომხრეებმა, თავიანთი კანდიდატის გამარჯვების შესახებ ინფორმაციის გაგებისათანავე, ცესკო-ს მიმდებარე ტერიტორიაზე კოცონი დაანთეს და გამარჯვების აღსანიშნავად შამპანურის ბოთლების გახსნა დაიწყეს. რაც შეეხება იუშენკოს მომხრეებს, რომლებიც ასევე დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ ცესკო-ს შენობასთან, ისინი "განბა!" (სირცხვილი) სკანდირებდნენ

ცესკო-ს სხდომათა დარბაზიდან გამოსვლისას "ნაშა უკრაინას" დეპუტატებსა და საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის წარმომადგენლებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, რომელიც სტეპან ხმარამ წამოიწყო. იგი ჟურნალისტებისაგან ცესკო-ში იანუკოვიჩის ოფიციალური წარმომადგენლის სტეპან გავრიშის ჩამოშორებას შეეცადა, რომელიც აცხადებდა, რომ "ყველაფერი პოლიტიკური ლოგიკის კანონების შესაბამისად დასრულდა". ინციდენტში მონაწილეობა 10 ადამიანმა მიიღო, რომელთა შორის გახლდნენ გრიგორი სურკისი (უსდკ), პიოტრ პოროშენკო ("ნაშა უკრაინა"), ოლეგ ცარევი (ფრაქცია "უკრაინის რეგიონები") და სხვები.

მას შემდეგ, რაც უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვება გამოაცხადა, კიევში თავისუფლების მოედანზე მომიტინგე ვიქტორ იუშენკოს მომხრეები ცესკო-ს მიმართულებით დაიძრნენ. მათ ინსტიტუტის ქუჩის სავალი ნაწილი დაფარეს და სკანდირებდნენ "იუშენკო", "სირცხვილი ცესკოს", "ჩვენ ბევრნი ვართ, ვერ დაგვამარცხებთ".

დეპუტატმა ნიკოლაი ტომენკომ სცენიდან განაცხადა, რომ მაიდანი "უკრაინული დემოკრატიის უკანასკნელი საყრდენია. ეს მთელი უკრაინაა და ჩვენ მას არ დავთმობთ". ფრაქცია "ნაშა უკრაინა"-ს წევრის პიოტრ პოროშენკოს თქმით კი, "ამჯერად ქუჩა ილაპარაკებს". მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე პრობლემის სამართლებრივი გზით მოგვარების შანსები ამოიწურა.

პოროშენკომ ასევე განაცხადა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონი დაარღვია და იუშენკოს მომხრეების საჩივრების განხილვაზე უარი განაცხადა. "ამგვარი ქმედებებით ცესკო-მ სახელმწიფო შეთქმულების პასუხისმგებლობა პრაქტიკულად თავის თავზე აიღო", - აღნიშნა მან და იქვე დაამატა, რომ ოთხშაბათს ცესკო-ს სიტუაციის დარეგულირება შეეძლო, თუმცა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უკრაინის ოპოზიცია მასობრივი უწესრიგობებით იმუქრება. "უკრაინაში კრიზისული მდგომარეობის დარეგულირების კანონიერი და მშვიდობიანი შესაძლებლობები მაშინ ამოიწურა, როდესაც არჩევნების ყალბი და ფალსიფიცირებული შედეგები გამოქვეყნდა," - განაცხადეს იუშენკოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა იური კლიუჩკოვსკიმ და ვიქტორ ზვარიჩმა. "ამჯერად, საბოლოო სიტყვა ქუჩას ეკუთვნის და მილიონობით ადამიანი, რომელთაც კანონიერი გამარჯვება წაართვეს, ამ სიტყვას იტყვის," - ირწმუნებოდნენ ისინი.

იმავდროულად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კიევის ცენტრის მიმართულებით, სადაც თავისუფლების მოედანზე ათეულობით ათასი ადამიანი იყო შეკრებილი, ტანკების კოლონა დაიძრა. საუბარი იყო, აგრეთვე, უცხო ქვეყნის (სავარაუდოდ, რუსეთის) შეიარაღებული ძალების კონცენტრირებაზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ ოთხშაბათს, ცესკო-ს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ორივე კანდიდატის საარჩევნო შტაბებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. თუმცა, იანუკოვიჩის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელმა სერგეი ტიგიპკომ აღნიშნა, "მოლაპარაკებების მსვლელობისას გაკეთებული ნაბიჯების აფიშირება არ მოხდება".

გუშინვე იანუკოვიჩის შტაბმა მოლაპარაკებებისათვის ოპონენტებს 5 წინადადება შესთავაზა, რაც გულისხმობდა, რომ ხელისუფლება პოლიტიკური რეფორმის ჩატარების მომხრეა, მიღებულ უნდა იქნეს კანონები ოპოზიციისა და მასმედიისათვის ალტერნატიული აზრების მიწოდების თაობაზე. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის შტაბის წარმომადგენლებმა იუშენკოს მომხრეებს ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსის ერთობლივად ჩამოყალიბება და 21-24 ნოემბრის მოვლენების მონაწილეების "ამნისტიის" უზრუნველყოფა შესთავაზეს.

რაც შეეხება იუშენკოს, მან თავისუფლების მოედანზე გამოსვლისას განაცხადა, რომ თუ ცესკო-ს შემადგენლობა შეიცვლებოდა, ის მეორე ტურის ხელმეორედ ჩატარების წინააღმდეგი არ იქნებოდა. მისი აზრით, ეს ნაბიჯი სამოქალაქო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საფუძველი გახდებოდა. უფრო ადრე კი ოპოზიციური კანდიდატის მომხრეები აცხადებდნენ, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ ძალაუფლების გადაცემის თაობაზე შეიძლებოდა წარმართულიყო და პრეზიდენტ კუჩმას "იუშენკოსათვის ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემისაკენ" მოუწოდებდნენ.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გუშინ დილის 10 საათზე ვიქტორ იანუკოვიჩმა ჩვეულებრივად დაიწყო მინისტრთა საბჭოს სხდომა და სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობა დაავალა. მან იქვე დაამატა, რომ მზად იყო, მარცხი ეღიარებინა, მხოლოდ "კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე". "თუ მე მეტყვიან, რომ კანონით ვალდებული ვარ, რამე ვაღიარო, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს ვაღიარებ," - განაცხადა მან.

# გაერო და აშშ უკრაინაში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებული არიან

გუშინ გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფრედ ეკჰარდმა ჟურნალისტებთან ბრიფინგზე განაცხადა, რომ კოფი ანანი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.

მისი თქმით, გაერო არ არის უფლებამოსილი, უკრაინაში არჩევნების მსვლელობას რაიმე კომენტარი გაუკეთოს, თუმცაღა, გენერალური მდივანი მიიჩნევს, რომ მოცემული ჩიხიდან თავის დასაღწევად სანდო და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესს დიდი მნიშვნელობა აქვს.

კოფი ანანმა მხარეებს თავშეკავებულობისაკენ და დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებისაკენ მოუწოდა, რაც უკრაინაში დემოკრატიის გამყარებისა და ერის მთლიანობისათვის არის აუცილებელი.

გუშინვე, უკრაინის ცესკო-ს მიერ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ აშშ-ს ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვების ლეგიტიმურად ცნობა არ შეუძლია.

პაუელი დაიმუქრა, რომ, თუ უკრაინის ხელისუფლება არჩევნებთან დაკავშირებული მდგომარეობის გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ ზომებს არ მიიღებს, მაშინ ამას შეიძლება, სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

სახელმწიფო მდივანმა ქვეყნის ხელისუფლებას ასევე მოუწოდა, რომ კიევში საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებისგან თავი მაქსიმალურად შეიკავოს.

# ძველ საიდუმლო დოკუმენტებს ფარდა ეხდება

## აშშ-მ ვენესუელაში ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების შესახებ ყველაფერი იცოდა

2002 წლის აპრილში ვენესუელის პრეზიდენტის ჩამოგდების მცდელობასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაცია ახლახანს გამჟღავნდა. "ბოსტონ გლოუბ"-ის თანახმად, აშშ ფლობდა ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის ჩამოგდებისათვის მომზადებული შეთქმულების შესახებ ინფორმაციას. ამასვე ადასტურებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცოტა ხნის წინ აღმოჩენილი დოკუმენტები. ვენესუელის ოფიციალურ პირთა განცხადებით, აშშ-მ ისინი არ გააფრთხილა ჩავესის წინააღმდეგ მომზადებული შეთქმულების თაობაზე. "ეჭვგარეშეა, რომ ეს დოკუმენტები ბუშის იმდროინდელი ადმინისტრაციის ათობით წევრს გადაეცა, რაც მათ ინფორმირებულობაზე მეტყველებს," - მიიჩნევს "ეროვნული უშიშროების არქივის" უფროსი, ანალიტიკოსი პიტერ კორნაბლიუ. თუმცა, მისივე თქმით, გამოაშკარავებული დოკუმენტები ვერ ჩაითვლება იმის დამადასტურებლად, რომ აშშ შეთქმულებაში მონაწილეობდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლის განცხადებით, სამმართველო არანაირად არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნულთან. იგი უბრალოდ აგროვებდა ინფორმაციას ვენესუელაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. "ცენტრალური სადაზვერვო სამსახური უბრალოდ თავის მოვალეობას ასრულებდა, აანალიზებდა მიმდინარე პროცესებს და შემდეგ უკვე დამუშავებულ მასალას აწვდიდა პოლიტიკურ წრეებს," - განაცხადა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენელმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა. მისი თქმით, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ჩავესისთვის შეთქმულების შესახებ ინფორმაცია რომ მიეწოდებინა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად იქნებოდა შეფასებული. მის სიტყვებს ასევე ადასტურებს გამოაშკარავებული დოკუმენტებიც. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც გადატრიალებამდე ხუთიოდე დღით ადრეა შედგენილი, ნათქვამია, რომ "მუდმივმა გაფრთხილებამ იმის შესახებ, რომ აშშ არ აპირებს ჩავესის ჩამოგდებისაკენ რომელიმე ანტიკონსტიტუციური ნაბიჯის მხარდაჭერას, სავარაუდოდ, აიძულა შეთქმულების მონაწილენი, უარი ეთქვათ თავიანთი გეგმის შესრულებაზე".

თეთრი სახლისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები, ჯერჯერობით თავს იკავებენ საჯარო განხილვის თემად ქცეული დოკუმენტის კომენტირებისაგან. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ბუშის ადმინისტრაცია უარყოფდა როგორც შეთქმულებაში მონაწილეობას, ასევე მისი მზადების შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ფაქტსაც.

# უშიშროების ძალებისა და არმიის ადგილი რევოლუციურ ვითარებაში

**არმია თავს იკავებს ჩარევისაგან, სამართალდამცავ სტრუქტურებს კი, ჯერჯერობით, უკრაინის ხელისუფლება აკონტროლებს**

ვითარება უკრაინაში უკიდურესად დაიძაბა მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომიასიამ არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა. ოფიციალურად გაცხადებული შედეგებით, ვიქტორ იანუკოვიჩმა ხმათა 49.46 პროცენტი აიღო, ხოლო ოპოზიციონერმა ვიქტორ იუშენკომ მხოლოდ 46.61 პროცენტი.

საპრეზიდენტო ფიცის დადების შემდეგ იუშენკომ სამხედროებსა და სამართალდამცველებს მიმართა, არ გამოეყენებინათ იარაღი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იუშენკოს მომხრეთა ჯგუფი მაშინვე შეუდგა "ძალოვან სტრუქტურებთან" ფარული მოლაპარაკებების წარმოებას, რათა მათი მხრიდან ღია მხარდაჭერა თუ არა, სულ მცირე ნეიტრალური დამოკიდებულება მაინც მოეპოვებინათ. სამხედრო წრეების საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, უკრაინის არმიის ოფიცრები აუღებელი ხელფასებით, საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებული პრობლემებისა და ახალი იარაღის შესაძენად არასაკმარისი ფინანსური რესურსების პირობებში, კუჩმასადმი დიდი ერთგულებით არ გამოირჩევიან. განსხვავებულადაა საქმე თავდაცვის მინისტრთან ალექსანდრ კუზმუკთან. იგი ლეონიდ კუჩმამ გადადგომის შემდეგ თანამდებობაზე დააბრუნა. კუზმუკის გადადგომა კი ერთ-ერთი სწავლების დროს უკრაინული რაკეტის მიერ ისრაელის სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტმა გამოიწვია. ამ ნაბიჯით კუჩმამ ერთგული ქვეშევრდომით სამხედრო უწყების ყოფილი ხელმძღვანელის ევგენი მარჩუკის ჩანაცვლება შეძლო, რომელსაც დიდად არც ენდობოდა.



სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არ აწევენ ხელს.

"სამხედროებს არ მოსწონთ, როდესაც მათ იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში რთავენ, რომელიც მათ კომპეტენციაში არ შედის. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არ აწევენ ხელს, თუმცა შესაძლოა, მათ შორის გამონაკლისებიც აღმოჩნდნენ," - მიიჩნევს პარლამენტის უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი დეპუტატი მანჩულენკო. მისი თქმით, ძალოვან სტრუქტურებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიქტორ მედვედჩუკი მფარველობს, რომელიც ვიქტორ იუშენკომ ხმების გაყალბებაში მონაწილეობის მიღებაში დაადანაშაულა. ოფიციალურად ცნობილი მონაცემების გარდა, კიევში ვრცელდებოდა დაუდასტურებელი ინფორმაცია დედაქალაქში რუსული სპეცრაზმის შემოსვლის შესახებაც. ამას ცოტა მოგვიანებით უკრაინული ვებგვერდის "ლიგა.ნეტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაემატა, კერძოდ ის, რომ ბატალიონი "დნესტრი" (დნესტრისპირეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო ფორმირებების შერეული ჯგუფი) 350 კაცის შემადგენლობით კიევში სრულ სამხედრო მზადყოფნაშია მოყვანილი. ეს ინფორმაცია უკრაინულ საინფორმაციო სამსახურს დეპუტატთა ჯგუფმა "სოლიდარობამ" მიაწოდა. ამ მოვლენას კი "სოლიდარობის" დეპუტატები ერთსულოვნად აფასებენ მეზობელი სახელმწიფოს ინტერვენციად.

*24 საათი*

# საფრანგეთ-ლიბიის ურთიერთობებში დათბობის ერა იწყება

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ოფიციალური ვიზიტით ლიბიაში გაემგზავრა. ჩრდილოაფრიკულ სახელმწიფოში 1951 წლიდან ეს საფრანგეთის სახელმწიფო მეთაურის პირველი ვიზიტია, რომლის მიზანია ნავთობით მდიდარ ლიბიასთან ურთიერთობების გაღრმავება. მას შემდეგ, რაც ლიბიის მეთაურმა უარი განაცხადა მასობრივი განადგურების იარაღის საწარმოებელ სამუშაოებზე, საფრანგეთი ამ ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელების მომხრე გახდა. საფრანგეთისა და ლიბიის ურთიერთობების აღდგენის უკანასკნელი ბარიერი მიმდინარე წლის იანვარში დაიძლია, როდესაც ტრიპოლი დათანხმდა იმ ადამიანების ნათესავებისათვის გადაეხადა კომპენსაცია, რომლებიც 1989 წელს ნიგერიაში ფრანგული თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაიღუპნენ. ჟაკ შირაკთან ერთად ლიბიაში მეწარმეთა დელეგაციაც ჩავიდა. ისინი მომგებიანი კონტრაქტების გაფორმებას ვარაუდობენ იმ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკასაც სავარაუდოდ, ახლო მომავალში ლიბერალიზაცია ელის.



*1951 წლიდან ჩრდილოაფრიკულ სახელმწიფოში ეს საფრანგეთის სახელმწიფო მეთაურის პირველი ვიზიტია.*

გარდა ამისა, საფრანგეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი ლიბიის ლიდერის, პოლკოვნიკ მოამარ კადაფის საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებასაც ნიშნავს.

ლიბიის მეთაური ჟაკ შირაკამდე სხვა ევროპელმა ლიდერებმაც მოინახულეს. მიმდინარე წლის დასაწყისში ტრიპოლიში ჯერ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ჩავიდა, შემდეგ კი გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის ვიზიტიც შედგა. ლიბიას სანქციები და იარაღის გაყიდვასთან დაკავშირებით დაწესებული ემბარგო ევროკავშირმა მას შემდეგ მოუხსნა, რაც პოლკოვნიკმა კადაფიმ ტერორიზმი ოფიციალურად გააკრიტიკა და მასობრივი განადგურების იარაღზე სამუშაოების შეწყვეტასაც დათანხმდა.

ლიბიიდან საფრანგეთის პრეზიდენტი უაგადუგუში (ბურკინაფასოში) გაემგზავრება, სადაც ფრანკოფილური ქვეყნების სამიტი გაიმართება.

*ბიბისი*

## ორი სიტყვით

**ავღანეთი.** ზაბულის პროვინციაში ავღანეთის ნაციონალური არმიისა და პოლიციის მიერ ჩატარებული ერთობლივი ოპერაციის შედეგად ავღანური მოძრაობის "თალიბების" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მოლა გადირი დააკავეს. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ქალაქ შინკაის მუნიციპალიტეტის მეთაურმა ვაზირ მოჰამადმა გაავრცელა. მისივე თქმით, ოპერაციის მსვლელობისას სამალავიც აღმოაჩინეს, სადაც დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ინახებოდა. ავღანეთის პოლიცია მოლა გადირის დაკითხვის შედეგად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას ვარაუდობს. მას ზაბულში თალიბების რეჟიმის ჩამოგდების შემდეგ დივერსიული ქმედებების ინკრიმინირებული დანაშაულის მუხლი მიესადაგება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის საარჩევნო უმაღლესმა კომისარიატმა იმ პარტიათა სია დაამტკიცა, რომლებიც 2005 წლის იანვრის საყოველთაო არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. აღნიშნული სიის თანახმად, კანდიდატთა წარდგენის უფლება 156 პოლიტიკურ ორგანიზაციას აქვს. მათ რიცხვში შედიან ერაყის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის აიად ალავის ერაყის ეროვნული თანხმობის პარტია, "ერაყული პარტია" პრეზიდენტ ღაზი ალ-იავარის მეთაურობით და ერაყის ისლამური პარტია, რომელიც სუნიტთა რიგ ჯგუფებს აერთიანებს. სულ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის 212 პარტია იბრძოდა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ფილიპინები.** ფილიპინებზე ტროპიკული ციკლონის "მუიფა"-ს მოქმედების მსხვერპლთა რაოდენობა 79-მდე გაიზარდა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 86 ადამიანი, ძირითადად მეთევზეები. ტაიფუნმა, რომლის სახელწოდებაც ჩინურად "ქლიავის ფერებს" ნიშნავს, 11 000 საცხოვრებელი სახლი გაანადგურა, ხოლო 23 000 სერიოზულად დააზიანა. ტაიფუნს თან მოჰყვა, ქარიშხალი, კოკისპირული წვიმა, რამაც წყალდიდობა გამოიწვია. ქარიშხალმა ფესვებიანად მოთხარა ხეები და დაწყვიტა ელექტროსადენები. სტიქიური უბედურების ზონიდან ევაკუირებულია უკვე დაახლოებით 250 000 მცხოვრები. სტიქიის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი მილიონობით აშშ დოლარად ფასდება. ადგილობრივი მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციის თანახმად, მაუიფი ფილიპინებიდან ვიეტნამის ნაპირებისაკენ ინაცვლებს, ავრორას პროვინციას კი უკვე ქარიშხალი ვიოლეტა უახლოვდება. ფილიპინების არქიპელაგს ყოველწლიურად 17-დან 20-მდე ტაიფუნი ატყდება ხოლმე თავს. **24 საათი**

■ ■ ■

**უკრაინა.** ევროკომისიამ უკრაინის ხელისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების სრული გადახედვა მოსთხოვა. ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუმ დღეს განაცხადა, რომ ოფიციალური კიევის მიერ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას შეიძლება, "ნეგატიური შედეგები" მოჰყვეს და უარყოფითად აისახოს უკრაინის და ევროკავშირის პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობაზე. ცნობილი ამერიკელი პოლიტილოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის აზრით, უკრაინაში მიმდინარე კრიზისის მთავარი მიზეზი ისაა, რომ რუსეთის და უკრაინის ხელმძღვანელობებს არ სურთ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება. მეტიც, როგორც ბჟეზინსკი გაზეთ "ლა სტამპასთვის" მიცემულ ინტერვიუში ამტკიცებს, მათ სურთ, უკრაინა მეორე ბელორუსიად აქციონ. მისივე თქმით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გადამწყვეტია არა მარტო უკრაინელებისთვის, არამედ რუსეთისთვისაც. თუ დემოკრატიის და პროსახელისუფლებო ძალების კონფლიქტები უკრაინაში მეორეთა სასარგებლოდ გადაწყდა, მოსკოვში მმართველობის უფრო მკაცრი, დესპოტური კურსის მომხრეები გააქტიურდებიან. ამასთან, ბჟეზინსკიმ აღნიშნა, რომ ოპოზიციური ძალების გამარჯვებისთვის პოლიტიკურ პროცესებში აშშ-ის და ევროკავშირის ჩარევაა აუცილებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ლატვია.** ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრეიბერგმა ახალი პრემიერ-მინისტრი დანიშნა. აღნიშნული პოსტი "სახალხო პარტიიდან" აიგარ კალვიტისმა დაიკავა. დღეიდან კალვიტისი უხელმძღვანელებს ახალი მთავრობის ფორმირების პროცესს. 38 წლის აიგარ კალვიტისს ეკონომიკური პროფილის განათლება აქვს მიღებული (გახლავთ ეკონომიკის მაგისტრი), დაოჯახებულია, ჰყავს სამი შვილი. თავისუფლად ფლობს ლატვიურ, რუსულ და ინგლისურ ენებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ "ნაციონალური პარტია"-მ გამოიწვია ლატვიის ყოფილი ხელისუფლების გადადგომა, როდესაც 2005 წლის ბიუჯეტს არ დაუჭირა მხარი. **რიანოვოსტი**

# რეფორმების ათი წელიწადი

## რა გააკეთა საქართველომ გენდერული დემოკრატიის დამკვიდრებისათვის

*მომავალი წლის სექტემბერში ათი წელი სრულდება პეკინის ასამბლეის შემდეგ. კონფერენციაზე მიღებულ დეკალარაციას ქალთა მდგომარების გაუმჯობესების შესახებ მსოფლიოს 180 სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც შეუერთდა. შესაბამისად, პოლიტიკური პასუხისმგებლობაც აიღო, რათა, პეკინის კონფერენციაზე მიღებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გარკვეული რეფორმები გაეტარებინა საქართველოში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 10 წლის თავზე პეკინის პლატფორმის წევრი ქვეყნების მთავრობები ერთმანეთს ანგარიშს ჩააბარებენ. თუ საქართველომ დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, წარმატებული რეფორმები ვერ განახორციელა - ეს მნიშვნელოვნად გადადებს ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს. რა გააკეთა საქართველომ ამ ათი წლის განმავლობაში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?*

მადი სერებრიაკოვა

საქართველოს დასავლეთის მხარდაჭერა ყოველთვის სჭირდებოდა. ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებად, ის ამ დახმარებას იღებდა კიდეც. თუმცა, სანაცვლოდ, საქართველო უხვად და უშურველად აწერდა ხელს გარკვეულ დოკუმენტებს, იღებდა დეკლარაციებს, ხდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზეციების წევრი. ეს ყველაფერი ერთი მიზეზით კეთდებოდა - დასავლეთი ჩვენგან მის პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურასთან შესაბამისობას და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებთან დაახლოვებას მოითხოვს. მომავალ სექტემბერს ჟენევაში კიდევ ერთი კონფერენცია შედგება. მისთვის პეკინის პლატფორმის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობა სპეციალურ ანგარიშს ამზადებს, რათა მსოფლიოს გენდერული დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში საკუთარი წარმატებები და წარუმატებლობები აჩვენოს. პლატფორმის წევრი ქვეყნებიდან, სახელმწიფო ანგარიშის გარდა, წარმოდგენილი იქნება კიდევ ე.წ. "ჩრდილოვანი" ანგარიშები, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები წარადგენენ. "ჩრდილოვანი" ანგარიშის მიზანი მარტივია - რევიზია გაუწიონ საკუთარი მთავრობის მიღწევებს და ფაქტების შელამაზებისა და ზოგჯერ სავსებით აშკარა სიცრუისგან დაიცვან ისინი.

გენდერული დემოკრატია ბევრისთვის (მათ შორის, ხელისუფლების წევრთა გარკვეული ნაწილისთვის) უცხო სიტყვათა ნაკრებად რჩება. ის ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას გულისხმობს. პეკინის აღნიშნული დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა მოიცავდა კონკრეტული რეფორმების სისტემას, რომელიც თითოეულ ქვეყანაში გენდერული დემოკრატიის დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს. მათ შორის იყო: ხელისუფლებაში გენდერული პოლიტიკის მაკონტროლებელი ორგანოების შექმნა, ქალთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ხელისუფლებაში და გადაწყვეტილების მიღების ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა და ა.შ.

1998 წელს, ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, პრეზიდენტმა ბრძანებაც გასცა, რომელიც ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნულ სამოქმედო გეგმას მოიცავდა. თუმცა ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა. სინამდვილეში კი, საქართველოში ქალთა მდგომარეობას პოლიტიკური ძალთა გადანაწილება და ხელისუფალთა პირადი დამოკიდებულება განსაზღვრავს.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*გარდა არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემისა, ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიების არარსებობისა, გენდერულ თანასწორობას საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირების დაბალი ხარისხი უშლის ხელს.*

ახალმა პრეზიდენტმა, ხელისუფლებაში მოსვლისა და ახალი საკადრო პოლიტიკის გატარების პირველივე დღეებში განაცხადა, რომ მიესალმება მთავრობაში პროფესიონალი ქალების მოსვლას. ეს უკანასკნელნი მთავრობაში მართლაც მომრავლდნენ (ქალები მინისტრთა კაბინეტის 20 პროცენტს წარმოადგენენ). გაიზარდა ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (დაახლოებით 10 პროცენტი). თუმცა, ყველამ ვიცით, რომ ეს სწორი გენდერული პოლიტიკის შედეგი კი არა, უბრალო შემთხვევითობაა. სინამდვილეში, არჩევნების დროს არც ერთი პოლიტიკური პარტია გენდერული სტრატეგიით არ ამაყობდა (მათ უმეტესობას ეს უკანასკნელი ან არ გააჩნდა, ანდა თავადაც არ იცოდა ამის შესახებ).

ამ ცოტა ხნის წინათ, უკრაინაში კიევში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, რომელიც პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას და გენდერული დემოკრატიის დამკვიდრებაში არასამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობას განიხილავდა. მისი ორგანიზატორი ლიბერალური საზოგადოების ინსტიტუტი იყო. ფინანსურ დახმარებას მას უკრაინის ქალთა ფონდი და სოროსის ფონდის პროგრამა "აღმოსავლეთი-აღმოსავლეთი" უწევდა. კონფერენციაში ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ღონისძიება, გარკვეულად, ჟენევის ასამბლეისთვის მზადებას უკავშირდებოდა. მისი მიზანი თითოეულ ქვეყანაში გატარებული და გაუტარებელი რეფორმებისა და სახელმწიფო და "ჩრდილოვანი" ანგარიშების შეფასება წარმოადგენდა. მონაწილეებმა სპეციალური ანგარიში და რეკომენდაციებიც მოამზადეს ხელისუფლებისთვის. ეს უკანასკნელი ჩვენი მთავრობის წევრებსაც გადაეცემათ - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების არაოფიციალური და მოკრძალებული ინიციატივის სახით.

დამკვიდრდა, რომ ამგვარ კონფერენციებსა და სემინარებში უმეტესად ქალები იღებენ მონაწილეობას: **"რატომღაც ჰგონიათ, რომ გენდერი მხოლოდ ქალების საქმეა,** - აღნიშნავს ბელორუსის წარმომადგენელი რაისა სინელნიკოვა, - **მართალია, გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას, ძირითადად, ქალების უფლებებზე გვიწევს მსჯელობა, იმიტომ, რომ ნებისმიერ ასპარეზზე ქალები აშკარად ნაკლები უპირატესობებით სარგებლობენ. თუმცა, მამაკაცებსაც აქვთ თავისი პრობლემები: ბელორუსში, მაგალითად, სიკვდილით დასჯა მხოლოდ მამაკაცებზე ვრცელდება, მამაკაცები უფრო გვიან სარგებლობენ სახელმწიფო პენსიით, თუმცა სიცოცხლის ხანგრძლივობით ქალებს ჩამორჩებიან და ა.შ. კარგი იქნება, თუ მამაკაცებიც იბრძოლებენ ჩვენთან ერთად და საკუთარ უფლებებს დაიცავენ."**

კიევში გამართულ კონფერენციასა და სემინარში 15 ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის უკრაინის, რუსეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სერბიის, ხორვატიის, ბულგარეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, მოლდოვის, საქართველოს და ა.შ. საქართველოს გენდერული კვლევების ცენტრი "ტრანზიცია" წარმოადგენდა. კონფერენციის მუშაობაში აქტიურად იყო ჩართული უკრაინის ოჯახის, ახალგაზრდობის და ბავშვთა საკითხების სამინისტროც. სემინარზე ოთხი სექცია მუშაობდა. მათ შორის: ქალთა მონაწილეობა ეკონომიურ პროცესებში, ქალთა მონაწილეობა ძალაუფლებისა და გადაწვეტილების მიღების ორგანოებში, ტრეფიკინგი და ოჯახური ძალადობა და გენდერული პოლიტიკის ინსტიტუციონალური მექნიზმები. თითოეული სექცია ცალკეული ქვეყნის ანგარიშებს ისმენდა და მათ საფუძველზე რეკომენდაციებსა და სამოქმედო გეგმას ადგენდა.

თითეულ ქვეყანას თავისი სპეციფიკა გააჩნია. თუმცა, კმაყოფილების საფუძველს მაინც არც ერთი მაგალითი არ იძლეოდა. თითქმის ყოველ წარმოდგენილ ქვეყანაში მოსახლეობაში ქალთა რაოდენობის მაჩვენებელი 50 პროცენტზე მეტია, თუმცა ხელისუფლებაში, მაკონტროლებელ ორგანოებში, ეკონომიკურ სტრუქტურებში ქალები 20-30 პროცენტსაც ძლივს აღწევენ. თანაც ეს მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისების შემთხვევაში.

მართალია, საქართველო უკანასკნელ ადგილზე არ არის, მაგრამ ვერც პირველობით დაიკვეხნის. ყოველგვარ დემოკრატიულ და ჰუმანისტურ იდეალებს რომ თავი დავანებოთ, ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის დასავლეთთან მომავალ ინტეგრაციას ძლიერ შეუშლის ხელს: **"იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ორმაგი სტანდარტებით ვცხოვრობთ. ერთი მხრივ, სახელმწიფო ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების დეკლარირებას ახდენს, მეორე მხრივ, კი ეს უფლებები ქაღალდზე რჩება და, სავარაუდოდ, მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების თვალის ასახვევად იქმნება. სინამდვილეში ქალები ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებლით აკონტროლებენ საკუთარ ქვეყნებს, მძვინვარებს ტრეფიკინგი, არავინ იცავს ოჯახური ძალადობას მსხვერპლთ და ა.შ,"** - აღინიშნა სემინარისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, გარდა არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემისა, ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიების არარსებობისა, გენდერულ თანასწორობას საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირების დაბალი ხარისხი უშლის ხელს. არც ხელისუფლება და არც არასამთავრობო სტრუქტურები არ აწარმოებენ გენდერულად სეგრეგირებულ სტატისტიკას ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ. თუ ასეთი სტატისტიკა არსებობს, იგი ძალიან იშვითად აღწევს საზოგადოების ყურამდე. საერთოდაც, ეს თითქოს არავის პრობლემა არ არის, ვიდრე ძალადობა საკუთარ კარზე არ მოგვიკაკუნებს. მიუხედავად ამისა, დასავლეთის მხარდაჭერას ველოდებით. დასავლეთი კი ჩვენგან ანგარიშს მოითხოვს.

*პოზიცია*

# უმაღლესი განათლება რეფორმას საჭიროებს

საქართველოს უმაღლეს განათლებაში სერიოზული რეფორმაა გათვალისწინებული. იგი არა მარტო პროფესორ-მასწავლებლებში, არამედ მთელ საზოგადოებაში შიშსა და შეშფოთებას იწვევს. მიუხედავად ამისა, ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ რეფორმა აუცილებელია და მის გარეშე ჩვენი უმაღლესი განათლება ვერ იქნება სრულყოფილი, კორუფციული ელემენტებისაგან გაწმენდილი, კონკურენტუნარიანი და მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების სისტემასთან მიახლოებული. თანამედროვე ეტაპზე განათლება ქვეყანათა ზრდის საკვანძო ფაქტორია. ამის გამო ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა უნდა ავაგოთ მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპის კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და მომავალზე ორიენტაციით. ამაში კი განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ.

კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ სერიოზული ვნებათაღელვის საგანი გახდა. მას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. ინტერესთა სხვადასხვაობა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მორიგი დაპირისპირების მიზეზი გახდა და ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს უწევს სამსახურს. დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად საჭიროა კომპრომისი, რომლის ფასი იქნება საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად ალორძინებული მეცნიერება და თვისებრივად ახალი საგანმანათლებლო სისტემა. ჩვენ უნდა შევძლოთ ცვლილებების ეფექტიანი მართვა. საჭიროა პროფესორ-მასწავლებელთა ფსიქოლოგიური მომზადება ახალ პირობებში სამუშაოდ. რეფორმა არ უნდა გახდეს მათი საქმიანობის დასასრულად".

უმაღლესი განათლების კანონპროექტის ავკარგიანობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად შემდეგ მომენტებს ეყრდნობა:

- კანონპროექტის ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური ხასიათი, ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების გაუთვალისწინებლობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის შეზღუდვა;

- აკადემიური პერსონალისათვის ასაკობრივი ზღვრის დადგენა;

ერთიანი ეროვნული გამოცდის შემოღება;

- კათედრის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის უგულებელყოფა.

ჩვენი აზრით, კანონპროექტის ყურადღებით გაცნობის შემთხვევაში კეთილმოსურნე ოპონენტი მასში ანტიეროვნულ და ანტიმართლმადიდებლურ ელემენტებს ვერ მოძებნის, რადგან უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებად მიჩნეულია:

ა) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლების გარანტია;

ბ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების/პროფესიონალების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება;

გ) საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

დ) ქვეყნის განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, მეცნიერული კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-თანამშრომელთა მობილობის სტიმულირება და მათი თავისუფალი გადაადგილების პირობების შექმნა.

შესაბამისად, ძირითადი მიზნები მხოლოდ უმაღლესი განათლების სრულყოფაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, აღნიშნულია, რომ ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას (მუხლი 3.2ვ). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტონომიის აღიარების მიუხედავად, მთელი რიგი მუხლები მის შეზღუდვაზე იყო გამიზნული. კანონპროექტის ახალ ვარიანტში მთელი რიგი ცვლილებებია შეტანილი და საკითხი ძირითადად დარეგულირდა, მაგრამ იგი არ შეეხო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სტრუქტურას. კანონპროექტით სავალდებულოა მართვის ორგანოები: სენატი, აკადემიური საბჭო, რექტორი, კანცლერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ჩვენი აზრით, აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციების გამიჯვნა ძალიან კარგია, მაგრამ ასეთი სტრუქტურა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებისთვისაა მისაღები. ჩვენს პირობებში იგი გაართულებს მართვის ფუნქციებს და ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს. შესაბამისად, კანონპროექტში უნდა განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სტრუქტურის შერჩევის თავისუფლება. ამ დებულების მიზანშეწონილობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კანონპროექტში ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურა მხოლოდ გარკვეული ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან ერთად, თუ აღნიშნული სტრუქტურა აუცილებელია ბოლონიის პროცესის თანახმად, მაშინ იგი შეიძლება, გარდამავალ დებულებებში შევიტანოთ.

ერთიანი ეროვნული გამოცდის შემოღება კანონპროექტის ბევრი მოწინააღმდეგეების მიერ ანტიეროვნულ გარემოებადაა მიჩნეული. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არაარგუმენტირებულია. მისაღები გამოცდების გატანა უმაღლესი სასწავლებლის გარეთ მისასალმებელია, რადგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ურთულესი პრობლემები. გარდა ამისა, ერთიანი ეროვნული გამოცდის პრაქტიკა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში უკვე აპრობირებულია და რამდენადაც ცნობილია, წარმატებით მუშაობს.

აკადემიური პერსონალის ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით კანონპროექტის ახალ ვარიანტში ცვლილებებია შეტანილი. შესაბამისი მუხლების ამოქმედება 2009-2010 სასწავლო წლიდანაა გათვალისწინებული და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იმ პერიოდისათვის ემირიტუსის წოდების მინიჭება, პენსიის ოდენობიდან გამომდინარე, ჩვენი პროფესორებისათვის სრულიად მისაღები და საპატიო იქნება.

კანონპროექტის ოპონენტთა განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია კათედრის უგულებელყოფის საკითხმა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საკითხიც პრობლემატური არ ყოფილა. კერძოდ, **კანონპროექტის 26/1 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სტრუქტურული ერთეულია ფაკულტეტი.**

**ფაკულტეტი შედგება (ახალი ვარიანტის ამ მუხლში მცირე კორექტივებია შეტანილი. კერძოდ, ნათქვამია, რომ ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს") სასწავლო-კვლევითი (კათედრა, ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულებისაგან. ხოლო 27 დ მუხლის თანახმად, ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სტრუქტურას.** შესაბამისად, თუ კანონპროექტის თანახმად ფაკულტეტის სტრუქტურაში გათვალისწინებულია კათედრის არსებობა, ხოლო ფაკულტეტის სტრუქტურას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რატომაა აკრძალული კათედრის არსებობა?! უთუოდ მისასალმებელია ფაკულტეტის უფლებამოსილებათა გაფართოება, (ფინანსური დამოუკიდებლობა, სტრუქტურის დამტკიცება, სადისერტაციო საბჭოების შექმნა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირება და სხვა), თუ ის რეალურად განხორციელდება და არ ჩამოეკიდება ისევ რექტორატს.

რა თქმა უნდა, კანონპროექტი ხარვეზებისა და უზუსტობისაგან არაა დაზღვეული, მაგრამ საჯარო განხილვებისა და კონსტრუქციული წინადადებების საფუძველზე იგი იხვეწება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება. ჩვენ ვემხრობით კანონპროექტის ახალ, გამოქვეყნებულ ვარიანტს და ვფიქრობთ, რომ იგი, უდავოდ, ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების სისტემის მოწესრიგებას.

*ლარისა ყორღანაშვილი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატი, წარდგენილია საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტიდან*


### ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შ.პ.ს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე

**აუცილებელი მოთხოვნები:**

ა) ასაკი - 24 წლამდე;

ბ) განათლება - უმაღლესი;

გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლების მქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,**

ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ 30 ნოემბრამდე.

ფაქსი: 94-18-94.

ელ-ფოსტა: hr@arti.ge



### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ...............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ...............................................

საკონტაქტო ტელეფონი ...............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge



გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს [illegible] სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# გიორგი სანაიას მკვლელობა ისევ ბურუსში ეხვევა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*სასამართლო პროცესის ოთხჯერ გადადების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ, გუშინ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხის განხილვა. საბოლოო პასუხს უზენაესი სასამართლო სანაიას მეუღლისა და მსჯავრდებულ გრიგოლ ხურცილავას ადვოკატის მიერ ცალ-ცალკე შეტანილ საკასაციო საჩივრებზე ერთი კვირის თავზე იტყვის. სწორედ ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი, მიიღებს თუ არა გენერალური პროკურატურის მიერ რამდენიმე თვის წინ გაგზავნილ მესიჯს უზენაესი სასამართლო მხედველობაში.*



*"ვისაც როგორ უნდა, ისე ატრიალებს ამ საქმეს, ახლა ვიღაცას სხვანაირად დასჭირდა რაღაცა," - განუცხადა საკასაციო პალატას გრიგოლ ხურცილავამ.*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

შეგახსენებთ, რომ საოლქო სასამართლოში გრიგოლ ხურცილავასთვის მეორედ გამოტანილი განაჩენისა და მკვლელობის მოტივის დასახელების შემდეგ, გენერალურმა პროკურატურამ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. თუმცა, მოვლენები ამჯერად, როგორც ჩანს, სხვაგვარად განვითარდება.

საქმე ისაა, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა პაატა ჯაველიძემ გუშინდელ სასამართლო სხდომაზე, ყველასთვის მოულოდნელად, მართლმსაჯულების მიერ დადგენილი მკვლელობის (სექსუალური ძალადობის) მოტივის გაუქმება მოითხოვა. **"მკვლელი ნამდვილად გრიგოლ ხურცილავაა, მაგრამ საქმის მასალებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დადგენილი მკვლელობის მოტივი უტყუარად არ შეიძლება, ჩაითვალოს. დასაშვებია, ნამდვილად დასახელებული მოტივის გამო მოხდა მკვლელობა, მაგრამ არც სხვა მოტივია გამორიცხული,"** - ასეთი გახლავთ გენერალური პროკურატურის პოზიცია. მართალია, საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილ მკვლელობის მოტივს სახელმწიფო ბრალმდებელი ამჯერად უკვე აღარ ცნობს დადასტურებულად, თუმცა საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნების აუცილებლობას მაინც ვერ ხედავს, რადგან მიიჩნევს, რომ გამოძიება ობიექტურად, სამართლიანად და კვალიფიციურად ჩატარდა. **"საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნების წინააღმდეგი ვარ, რადგან საქმის მასალებით მკვლელობის ნამდვილი მოტივის დადგენა უპერსპექტივოა. ხელახალი გამოძიება მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი საქმეში ახლადაღმოჩენილი გარემოებები გამოჩნდება,"** - აცხადებს სახელმწიფო ბრალმდებელი და მისი უწყების მიმართ დაზარალებულის მიერ წაყენებულ ბრალდებებს - რომ სანაიას მკვლელობის საქმე, პრაქტიკულად, გამოძიებული არ არის - კატეგორიულად უარყოფს.

გენერალური პროკურატურის ეს პოზიცია, თავისთავად ბევრ ეჭვს ბადებს, რადგან სწორედ პროკურატურა იყო ის უწყება, რომელიც სანაიას მკვლელობის დღიდან მკვლელობის მოტივად სწორედ იმ ვერსიას ავითარებდა, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულებამ, სწორედ პროკურატურისვე მტკიცებულებებითა და მოთხოვნით აღიარა.

თუ პროკურატურა მკვლელობის ადრე დასახელებულ მოტივს არ იზიარებს, გაუგებარია, რატომ არ გაასაჩივრა თავად ბრალდების მხარემ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას სექსუალური შეურაცხყოფისთვის ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის თავისუფლების 13 წლით აღკვეთა მიესაჯა. რატომ გაახსენდა პროკურატურას სანაიას მკვლელობის მოტივი ახლა, ხურცილავასთვის მეორედ გამოტანილი განაჩენიდან კარგა ხნის შემდეგ, ან რას გულისხმობს სახელმწიფო ბრალმდებელი ახლადაღმოჩენილ გარემოებაში, რომლის საფუძველზეც გახდება შესაძლებელი საქმის ახლიდან გამოძიება?

ერთი სიტყვით, გენერალურმა პროკურატურამ საკუთარი, სრულიად ახალი, მოულოდნელი პოზიციით, გუშინ საბოლოოდ დაადასტურა, რომ სხვადასხვა ინსტანციის ორ სასამართლოში განხილვისა და გრიგოლ ხურცილავასთვის ორჯერ გამოტანილი განაჩენის მიუხედავად, საქმეში, რომელსაც გიორგი სანაიას მკვლელობა ჰქვია, ყველა დეტალი ბუნდოვანია.

**"სამწუხაროა, რომ პროკურატურა გამოძიების დროს დაშვებულ კანონდარღვევებს არ აღიარებს. თუკი აღიარებს, რომ მკვლელობის მოტივი უეჭველად არსებობდა, მაგრამ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მისი დადგენა შეუძლებელია, თუკი სახელმწიფო, ამ შემთხვევაში - პროკურატურა აღიარებს, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი არ დგინდება, ეს დასტურია იმისა, რომ საქმე გამოძიებული არ არის. მკვლელობა უმოტივოდ არ ხდება. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გიორგია სანაია შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლია. სწორედ ამ მკვლელობის შემკვეთია დასადგენი. პროცესუალური ნორმების დარღვევისა და ნივთმტკიცებულებების გაყალბების გამო, საქმე აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ხელახალ გამოძიებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა მოხდა სინამდვილეში, კვლავ გასაიდუმლოებული დარჩება,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გიორგი სანაიას მეუღლემ ხათუნა ჩხაიძემ.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ხურცილავას და მისი ინტერესების დამცველს, გენერალური პროკურატურის გუშინდელი პოზიცია მათთვისაც გაუგებარი და მოულოდნელი აღმოჩნდა.

**"ვისაც როგორ უნდა, ისე ატრიალებს ამ საქმეს, ახლა ვიღაცას სხვანაირად დასჭირდა რაღაცა,"** - განუცხადა საკასაციო პალატას გრიგოლ ხურცილავამ. ადვოკატი დავით დადიანი ეთანხმება გარდაცვლილის მეუღლის მოთხოვნას და აცხადებს, რომ მკვლელობის მოტივი აუცილებლად უნდა დადგინდეს.

**"გამოდის, რომ პროკურატურა თავად ითხოვს უმოტივოდ გრიგოლ ხურცილავასთვის 12-წლიან პატიმრობას. თუკი მოტივი დაუდგენელია, რატომ არ უნდა მიესაჯოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს უფრო ნაკლები სასჯელი? გაუგებარია, რა ჩაიფიქრა პროკურატურამ,"** - აცხადებს დავით დადიანი.

მოკლედ, გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის ახლიდან გამოძიების საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივრის გაანალიზებისთვის ერთკვირიანი ვადა მოითხოვა. თუკი სანაიას საქმის ხელახალი გამოძიება გადაწყდება, კანონის მიხედვით, სასამართლომ გრიგოლ ხურცილავა პატიმრობიდან უნდა გაათავისუფლოს. ამის წინააღმდეგი არც თავად დაზარალებულია. როგორც ხათუნა ჩხაიძე აცხადებს, მისთვის მთავარია, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და არა გრიგოლ ხურცილავას 12-წლიანი პატიმრობა.

# ფართომასშტაბიანი შეწყალება არ შედგა

*რევოლუციის წლისთავზეც პატიმრები მოტყუებულები დარჩნენ. გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ფართომასშტაბიანი შეწყალება არ შედგა. ასზე მეტი პატიმარი, რომელიც ორმაგი დღესასწაულის სახლში ზეიმისთვის ემზადებოდა, კვლავ ციხეშია და ისევ საქართველოს პრეზიდენტის გულმოწყალებას ელოდება.*

თამარ კაციტაძე

ფართომასშტაბიანად შეფასებულ შეწყალების დღეს, რომელმაც პრეზიდენტის მოუცლელობის გამო ორშაბათის ნაცვლად სამშაბათისთვის გადაინაცვლა, ქართული საპყრობილე მხოლოდ ოთხმა მსჯავრდებულმა ქალმა დატოვა. მდედრობითი სქესის 30 პატიმარს კი სასჯელი მხოლოდ ერთი წლით შეუმსუბუქდა.

რა მოხდა შეწყალებასთან დაკავშირებით და რატომ არ მიიღეს მსჯავრდებულებმა დაპირებული თავისუფლება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია.

**"შეწყალების კომისიამ პრეზიდენტს საბოლოოდ 116 შესაწყალებელი პატიმრის სია მიაწოდა. რა მოხდა ბოლოს, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მე არ შემიძლია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ.

თავდაპირველი ვერსიით, ფართომასშტაბიანი შეწყალება, ძირითადად, არასრულწლოვან, ხანდაზმულ, მძიმე ავადმყოფ და სოციალურად დაუცველ იმ პატიმრებს უნდა შეხებოდათ, რომლებიც პირველად არიან ნასამართლევი და რომლებსაც მსჯავრი ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის აქვთ დადებული. ამასთან, პრეზიდენტს მიეწოდა 85 პატიმრის სიაც, რომელთა საქმეებიც შეწყალების კომისიამ ჩვეულებრივი წესით განიხილა და რომლებზეც განსაკუთრებული მიდგომა არ ვრცელდება.

თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა. ფართომასშტაბიანი შეწყალება ეტაპობრივ შეწყალებაში გადავიდა. ელენე თევდორაძის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი პატიმრებს ეტაპობრივად შეიწყალებს. მაგრამ რამდენად სამართლიანად განხორციელდება აღნიშნული ჰუმანური აქტი, უკვე ძნელი სათქმელია. გავრცელებული ინფორმაციით, შესაწყალებელთა სიაში მხოლოდ ისეთი პატიმრები მოხვდნენ, რომლებსაც თავისუფლება კანონით ისედაც ეკუთვნით.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია " ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე აცხადებს, პრეზიდენტი იმ ხალხის შეწყალებას აპირებს, რომლებიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო "აქტირებით" უნდა გათავისუფლებულიყვნენ.

**"შეწყალება უნდა შეხებოდა არა ავადმყოფებს, რომელთაც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების გამო, გათავისუფლება მაინც ეხებათ, არამედ იმ პატიმრებს, რომლებიც რეალურად იმსახურებენ შეწყალებას,"** - ამბობს ნანა კაკაბაძე.

არადა, იმის გამო, რომ საქართველოში პატიმრის ჯანმრთელობის გაუარესების გამო გათავისუფლების კანონის დახვეწა დღემდე ვერ მოხერხდა, მძიმე ავადმყოფი მსჯავრდებულებისთვისაც გათავისუფლების ერთადერთ იმედად ისევ შეწყალება რჩება. პრეზიდენტი კი ამ კატეგორიის პატიმრების შეწყალებაზე ხელის მოწერასაც აგვიანებს.

**"ჩემი ინფორმაციით, უკვე ორი მსჯავრდებული გარდაიცვალა, სწორედ ამის გამო მინდოდა დაჩქარებულიყო ამნისტიაზე ხელის მოწერა, თუმცა პრეზიდენტმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო. გარდაცვლილთა ვინაობა ვიცი, მაგრამ არ დავასახელებ, მგონია, რომ ახლა მათი ოჯახებისთვის ეს ძნელი მოსასმენი იქნება,"** - განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ასე დასრულდა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი შეწყალება. დაიწყება თუ არა საახალწლო ფართომასშტაბიანი შეწყალებისთვის მზადება, რომელიც დაგეგმილი იყო და რომელსაც გიორგობის შეწყალების დროს დაშვებული შეცდომები უნდა გამოესწორებინა, უკვე არავინ იცის. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, პატიმრები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტი შეწყალებას მომავალშიც იმ დოზით გააგრძელებს, რამდენიც მას საკუთარი პიარისთვის დასჭირდება.

## მიტოვებულ ბავშვს გიორგი დაარქვეს

ავლაბრის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაგავსაყრელში მოქალაქე როდან ვართანოვმა ახალშობილი იპოვა. უპატრონოდ მიტოვებული, მამრობითი სქესის ბავშვი, შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა პირველ ექსპერიმენტულ სამშობიაროში ჩააბარეს, სადაც მას სახელად გიორგი დაარქვეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მაშინვე დაიწყო, თუმცა ამ ეტაპისთვის კვლავ უცნობია ახალშობილის მშობლების ვინაობა და მიზეზი, რის გამოც იგი ნაგავსაყრელზე აღმოჩნდა.

მიტოვებულ ბავშვს სამედიცინო გამოკვლევა სამშობიარო სახლში მიყვანისთანავე ჩაუტარდა. როგორც ექიმები ირწმუნებიან, მას თავის არეში სისხლჩაქცევები აღენიშნება და დაწყებული აქვს სეფსისი. "იმის გამო, რომ უცნობია დედის სისხლის ჯგუფი, შესაძლებელია, მკურნალობა გართულდეს. ამის გამო, ამ ეტაპზე ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საბოლოო დასკვნის გაკეთება გვიჭირს," - ამბობს მკურნალი ექიმი.

*24 საათი*

## სპირტის აფიორა გაიშიფრა

ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილებამ თაღლითობის მორიგი ფაქტი გამოავლინა. 2004 წლის 8 აგვისტოს მოქალაქეებმა მიხეილ ბეგაშვილმა, ზურაბ ოთარაშვილმა და ბეჟან მანუკიანმა ფოთში გაიცნეს ვინმე ციცო ძოძუაშვილი, რომელიც დიდი რაოდენობის სპირტის შესყიდვით იყო დაინტერესებული.

ბეგაშვილი, ოთარაშვილი და მანუკიანი ციცო ძოძუაშვილს საქონლის ფასსა და რეალიზაციის პირობებზე შეუთანხმდნენ. გარიგება რამდენიმე დღეში ქუთაისში უნდა მომხდარიყო.

საქონლის მფლობელებმა 7.800 ლიტრი სპირტი დანიშნულ დროს ღვინის ქარხანა "იმერეთში" მიიტანეს. ძოძუაშვილმა, ნდობის მოპოვების მიზნით, სპირტის რეალიზატორები სადილზე დაპატიჟა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ თანხის გადაცემაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ბანკები უკვე დაკეტილი იქნებოდა და თანხის გამოტანას ვერ შეძლებდა. ამის შემდეგ ბეგაშვილმა, ოთარაშვილმა და მანუკიანმა თავიანთ საქონელს მიაკითხეს , მაგრამ სპირტი ცისტერნიდან უკვე ჩამოცლილი და ქარხნის ტერიტორიიდან გატანილი იყო. რეალიზატორებმა თავიანთი ძალისხმევით მოძებნეს გატანილი სპირტის ნაწილი, მაგრამ ამ დროს ციცო ძოძუაშვილი 11.900 ლარის ღირებულების სპირტთან ერთად უკვე მიმალული იყო. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ფინანსურ პოლიციაში ციცო ძოძუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით არის აღძრული, რაც დამნაშავის მიმართ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 10 წლამდე. ციცო ძოძუაშვილი ამჟამად მიმალვაშია და არ არის გამორიცხული, რომ მასზე ძებნა გამოცხადდეს.

*24 საათი*

## აჭარაში ყალბი ვალუტის რეალიზატორები დააკავეს

გუშინ საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და აჭარის უშიშროების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ყალბი ვალუტის რეალიზების ფაქტზე ორი პიროვნება დააკავეს. სამართალდამცავებმა ნუგზარ ელიაშვილი და ლევან სურმანიძე იმ დროს დააკავეს, როცა ისინი 50 და 100-დოლარიანი ყალბი ვალუტის გადაცვლას ცდილობდნენ.

ყალბი ვალუტის რეალიზაციაში ეჭმიტანილების ბინებში სამართალდამცავებმა ჩხრეკა ჩაატარეს, სადაც გადამალული ყალბი 50 ათასი დოლარი აღმოაჩინეს.

როგორც უშიშროების სამსახურის თანამშრომლები აცხადებენ, ამჟამად დასადგენია ყალბი კუპიურების შემოტანის გზები, რადგან არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომ დაკავებულების გარდა, არის სხვა ჯგუფიც, რომელიც მსგავს საქმიანობას ეწევა. რაც შეეხება ნუგზარ ელიაშვილს და ლევან სურმანიძეს, სავარაუდოდ, მათ 7-დან 12-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

*24 საათი*




საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის

პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა"

გზამკვლევი უფასოა

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge

IRIS პროექტის ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით


# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ნუგზარ შენგელია**

ითვლება თუ არა იურისტ-კონსულის თანამდებობაზე ნამუშევარი პერიოდი იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟში.

ბატონო ნუგზარ,

სამწუხაროდ თქვენ არ დაგიკონკრეტებიათ, რომელ უწყებაში მუშაობდით ამ თანამდებობაზე. ზოგადად კი, შრომითი სტაჟი აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირი დადებს შრომით ხელშეკრულებას საწარმოს, დაწესებულების ანდა ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან და გაუხსნიან შრომის წიგნაკს.

**მანანა გაჩეჩილაძე**

რა უფლებით სარგებლობს დედის მეუღლე იმ ბინაზე, რომელიც დედამ ანდერძით დაუტოვა შვილს. მეუღლე, რომელიც იგნორირებას უკეთებს ამ ანდერძს. რა უფლებებით სარგებლობენ ცალ-ცალკე ეს ორი პირი. მეუღლე, რომელიც სახლში არ უშვებს შვილს.

ქალბატონო მანანა,

სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად ითვლება ის ქონება, რომელიც შეძენილია ქორწინების პერიოდში. (მუხლი 1158) შესაბამისად, თუ ეს სახლი, რომელიც სადავოდ არის ქცეული, ნაყიდია მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, მაშინ ამ სახლის ნახევარი ეკუთვნის დედათქვენის მეუღლეს, ხოლო ნახევარი არის თქვენი. თუკი ქონება მხოლოდ დედათქვენის საკუთრება იყო, მაშინ ბინა არის თქვენი. მამინაცვალს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ სავალდებულო წილი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით შემდეგნაირად არის განსაზღვრული: მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). თუ ამ მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ თქვენ შეგიძლიათ, მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ გამოსახლების პროცესის დაწყება.

**თინათინ ფრიდონიშვილი**

ბინა, სადაც მე ვცხოვრობ, არის პრივატიზირებული. ვიხდი სახლმმართველობაში ნაგვისა და წყლის ფულს. სახლმმართველობა მთხოვს, რომ გადავუხადოპ ფართის ფული კვ.მ-ზე ხუთი თეთრი თვეში. ჩემი ბინა არის 17 კვ.მ გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ან თუნდაც წერილობით მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა ფართის გადასახადი, ან სახლმმართველობაში რა და რა სახის გადასახადი უნდა გადაიხადოს პრივატიზირებული სახლის პატრონმა.

ქალბატონო თინათინ,

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 ივლისის დადგენილებით N 11.08.206 მოხდა ქ.თბილისის რაიონების შპს "საბინაო-კომუნალური გაერთიანების" რეორგანიზაცია და შპს "მოსახლეობის მომსახურების სერვისული ცენტრების" დაფუძნება. მოსახლეობა თავისი სურვილის მიხედვით დებს ხელშეკრულებას ამ ორგანიზაციებთან და იხდის მომსახურების თანხას. თუ ხელშეკრულება დადებული არ არის, მაშინ თანხის გადახდა არ გევალებათ.

**ვაჟა ხიდაშელი**

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. "ნოტარიატის შესახებ" კანონის მე-19 მუხლით ნოტარიუსს იგივე ქმედებისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის.

დელიქტით გამოწვეული ზიანის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით, ხოლო ნოტარიუსის მიერ იგივე ქმედებისათვის ზიანის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა კანონში არ არის მითითებული. გთხოვთ, განმიმარტოთ, მე-19 მუხლით გათვალისწინებული ზიანის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის რომელი ნორმები გამოიყენება და ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი საიდან უნდა დაიწყოს.

ბატონო ვაჟა,

მოგახსენებთ, რომ გამომდიანრე იქიდან, რომ ნოტარიუსი ახორციელებს მომსახურების ხელშეკრულებას, მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე და დარღვევებზე ვრცელდება სამოქალაქო კანომდებლობით განსაზღვრული სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა, რომელიც განსაზღვრულია 3 წლის ვადით. მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

**ვაჟა ხიდაშელი**

დელიქტური ვალდებულება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობით და ამით გამოწვეული ზიანი განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით არ არის განზრახული. ბრალის ეს ფორმები განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლით. ნოტარიუსს კი პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, ამიტომ ნოტარიუსს ყოველგვარი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამდენად სსკ 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ნორმა არ შეიძლება, გამოვიყენოთ ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის. მაშინ ხანდაზმულობის რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული?

ბატონო ვაჟა,

ნოტარიუსის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის მას პასუხი ეკისრება სხვადასხვა კანონებით. გამომდინარე იქიდან, რო მ იგი არის საჯარო მოხელე, მას პასუხი მოეთხოვება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლით

მუხლი 79. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით - არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა;

ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა-არა უმეტეს ერთი წლისა;

ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

როგორც კერძო პირს, მას პასუხი მოეთხოვება პირდაპირი ანდა არაპირდაპირი ზიანისათვის.

ხოლო კლიენტთან დადებული ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი.

# ყველაზე დიდი რესურსი

სოფიო თოდუა

ამბობენ, ვინც პეკინში სახელმწიფოსაგან დაუკითხავად ერთ ბავშვზე მეტს აჩენს, გობის უდაბნოში ასახლებენ. ბევრნი არიან და რა ქნან. ევროპაში კიდევ პირიქითაა, ველარ მრავლდებიან და მრავალშვილიან ოჯახებს, რომ არ დაგვესიზმრება, ისეთ შეღავათებს უწესებენ. ამ სხვაობის მიუხედავად, დედამიწის მოსახლეობა კლებულობს და ერთ მშვენიერ დღეს ჩინეთიც იმ პრობლემის წინაშე დადგება, ჩვენ რომ კარგა ხანია დაგვიდგა. დემოგრაფების პროგნოზი ასეთია: გარკვეული დროის შემდეგ ამქვეყნად აღარ იქნება მილიარდზე მეტი ჩინელი და ოთხ მილიონზე მეტი ქართველი. სულ ესაა და ეს. დემოგრაფიულ მდგომარეობაზე არც სხვაგან, მით უფრო საქართველოში, მრავალშვილიანი ოჯახები გავლენას ვერ ახდენენ, რადგან ასეთი ოჯახები ყველგან ცოტაა. ჩვენთან დაახლოებით 6 პროცენტია, ისიც იმიტომ, რომ სამი შვილიც მარვალშვილიანობად ითვლება. საქმე ისაა, ვინ როგორ უყურებს დემოგრაფების პროგნოზს. პესიმისტი ბედს შეეგუება და ბევრი შვილის გაჩენით თავს არ აიტკივებს. ოპტიმისტი აუცილებლად გაიბრძოლებს და მეტ შვილს მაშინაც იყოლიებს, როცა მატერიალური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევს. რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, იქ, როგორც ჩანს, კოლექტიური პესიმიზმის სინდრომი აწუხებთ და მრავალშვილიან დედებს მაინცდამაინც მოწყალე თვალით არ უყურებენ და შეღავათებსაც ისე, თავის გასამართლებლად უწესებენ. საგრძნობლად განსხვავებული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ საარსებო მინიმუმის განსაზღვრა არც ისე იოლია და ისევ მრავალშვილიან პრემიერ-მინისტრს უნდა ვენდოთ. ჟვანიების ოჯახს ორი ათასი დოლარი, ჯერჯერობით, ჰყოფნის, დანარჩენმა მრავალშვილიანებმა კი თითო ბავშვზე 5 ლარი უნდა იმყოფინონ. თბილისის მთავრობა სხვებზე სულგრძელი აღმოჩნდა და ხუთლარიან კუპიურებს უფასო 40 კუბური მეტრი ბუნებრივი აირიც დაუმატა და წყლისა თუ ნარჩენების გატანის გადასახადისაგანაც გაათავისუფლა. რაც მთავარია, მეოთხე შვილზე ეგრევე 200 ლარს გიფეშქაშებენ, ამის ზემოთ კი ხუთას ლარს იძლევიან, იმისდა მიუხედავად, მეხუთე შვილს აჩენ, მეექვსეს, მეშვიდეს თუ მეთერთმეტეს. იმ იშვიათი გამონკლისების გარდა, როცა ესა თუ ის სამედიცინო დაწესებულება (მაგალითად, დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი) სახელმწიფო პროგრამაშია ჩართული, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შეღავათები გათვალისწინებული არ არის. ასე მაგალითად, მრავალშვილიან დედას ერთი ბავშვი ავად თუ უხდება და შემწეც არავინა ჰყავს, მძიმე არჩევანის წინაშე დგება: ან უპატრონოდ დატოვოს დანარჩენი შვილები და, უფასო კონსულტაციას დახარბებულმა, სიცხიანი ბავშვი პოლიკლინიკაში გააქანოს, ან ექიმი ბინაზე გამოიძახოს და ის 5 ლარი დახარჯოს, მთელი თვე რომ უნდა იმყოფინოს. ოთხი წლიდან ბავშვს ორთოპედი, სტომატოლოგი ან ქირურგი თუ დასჭირდება, ისე როგორც სხვებმა, მრავალშვილიანმა ოჯახებმაც ჯიბეზე უნდა გაიკრან ხელი, რადგან ამ პროფილის ექიმების კონსულტაციას სახელმწიფო აღარ აფინანსებს. მართალიცაა, აბა, სად გაგონილა, ბავშვმა ან ხელი მოიტეხოს, ან მუხლი გადაიყვლოფოს, მით უფრო - კბილი აიტკიოს. ყველა დაბრკოლების მიუხედავად, ზოგი მშობელი ჯიუტი ოპტიმისტია (ოპტიმისტსაც შეუძლია გაჯიქება) და სახელმწიფოს ჯიბრზე შვილებს მაინც აჩენს.

**როცა პური ენატრებათ, მწვადზე არ ბაასობენ**

დაახლოებით 15 წლის წინათ ჩემი დისშვილის კლასში საჩვენებელ გაკვეთილზე რევაზ ინანიშვილი მიიწვიეს. ბავშვები მასთან შესახვედრად საგულდაგულოდ მოამზადეს და ამ არაჩვეულებრივი პროზაიკოსის ბევრი მოთხრობაც დააზუთხინეს. ბოლოს ჯერი ბატონ რეზოზე მიდგა. ბავშვების რა მოგახსენოთ, მაგრამ მშობლები აშკარად მოელოდნენ, რომ ცოცხალი კლასიკოსი რაღაც განსაკუთრებულს იტყოდა და შვილებს თუ არა, მათ ხომ მთელი სიცოცხლე ემახსოვრებოდათ მწერლის სიტყვები. იმ დღეს ბატონმა რეზომ მართლაც არაჩვეულებრივი რამ თქვა, თუმცა უფროსები, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარი ჩანდნენ. რევაზ ინანიშვილი კი ადგა და პატარები ასე დამოძღვრა: შვილებო, რაც შეიძლება კარგად ჭამეთ და მშობლებს ნუ გააბრაზებთ, თქვენ არ იცით, რა ძვირად უჯდებათ თქვენი გამოკვებაო.

გლდანის მესამე მიკრორაიონის ერთოთახიან ბინაში შვიდსულიანი ოჯახი ცხოვრობს, აქედან სამი - ტყუპისცალია. აქვე შეიძლებოდა წერტილის დასმა, ისედაც ყველაფერი ნათელია, მით უფრო, რომ ცინდელიანებზე თავის დროზე დაიწერა კიდეც და ახალნამშობიარები დედაც ბევრჯერ გამოჩნდა ტელეეკრანზე. როგორც ხდება ხოლმე ჩვენთან, მეორე დღეს ეს ოჯახი აღარავის გახსენებია. არადა, პრობლემები ცინდელიანებს, სადაც ტყუპების გაჩენამდე არაჩვეულებრივი ბიჭი და გოგო იზრდებოდნენ, მეორე დღესვე შეექმნათ. ალბათ არც ჩემი წერილი აუჩუყებს ვინმეს გულს, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ და ამის საფუძველიც მაქვს. ბოლო დროს რესპონდენტები დელიკატურად მახსენებდნენ, "24 საათი" სამთავრობო გაზეთიაო და ... ამ დროს წარბი უნდა შეიჭმუხნო და ასეც ვიქცევი ხოლმე, თუმცა ამჯერად ეს ფაქტი ძალზე მახარებს. თუ მართლა ხელისუფლებასთან გვაიგივებენ, იმედს ვიტოვებ, იგივე ხელისუფლების ყურამდეც მივიდოდა და დროდადრო მაინც კითხულობენ ჩვენს გაზეთს. ამ წერილსაც თუ შეავლებენ თვალს, იქნებ სიტყვაზე გვენდონ: ცინდელიანების ოჯახი არც ერთადერთია და არც ყველაზე გაჭირვებული, სხვებსაც არანაკლებ უჭირთ, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახები საქართველოში არც ისე ბევრია და, სხვათა შორის, არც ქართველები ვართ იმდენი, ასეთი ოჯახები მხოლოდ არჩევნების დროს რომ გავიხსენოთ.

დედა - ნანა ცინდელიანი, პროფესიით ინჟინერია, ამჟამად დეკრეტულ შვებულებაში იმყოფება და ... სახელმწიფოსგან ერთ თეთრსაც არ იღებს. სანამ ტყუპები გაუჩნდებოდა, შინაგან ჯარში მუშაობდა პროგრამისტად. შინაგანი ჯარი კი, შეიტყობდით ალბათ, აღარ არსებობს, ასე რომ, ქალბატონი ნანა ქუჩაში თუ დარჩება, ამას სტრუქტურის რეორგანიზაცია დაერქმევა.

მამა - გოჩა ცინდელიანი, ასევე ინჟინერია და როგორც საშუალო ასაკის ქართველი მამაკაცების დიდი ნაწილი, დროებით უმუშევარია. "დროებით უმუშევრობა" ჩვენში უმუშევრობის ისეთ ფორმას ჰქვია, როცა გაქვს პროფესია, მუშაობასაც არ თაკილობ, მაგრამ არ გყავს გავლენიანი ნათესაობა, სამსახურს ნორმალური ანაზღაურებით ვერ შოულობ და შემთხვევითი შემოსავლით ირჩენ თავს.

ბავშვები - თხუთმეტი წლის თამთა, თოთხმეტი წლის უჩა და ორწლინახევრის გიორგი, დაჩი და საბა. ამ ოჯახის არც ერთი წარმომადგენელი არ შეუნიშნავთ მრავალშვილიანი დედების მიტინგებზე. მიზეზი მარტივია: ისინი ბავშვებს



ლიკა ბოკერია შვილებთან ერთად.

მარტოკა ზრდიან და აქციებზე დასწრების არც საშუალება და არც სურვილი არა აქვთ. არადა, სულ ტყუილად, იქნებ ესენიც გამოჩენილიყვნენ მერიასთან ჯერ ზოდელავას ჩასაქოლად, მერე იმავე პერსონის დასაცავად - მღებრიშვილის პანღურების შემდეგ დღეში ათ ლარს მაინც გამორჩებოდნენ.

ბავშვი ბავშვია, განურჩევლად იმისა, მოვლილია ის, თუ არა, მაგრამ ყველა დედ-მამა ერთნაირი არ არის. ამ ოჯახში კი მშობლებს არც წიგნის კითხვა უკვირთ და არც შვილების აღზრდა-განათლება ესწავლებათ. ამიტომაც გაისმის ერთიორად მძაფრად დედის წუხილი: ყოველი დღე იმაზე ფიქრით იწყება, რა ვაჭამოთ ბავშვებს? ერთ დროს ცინდელიანები ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ქართული ბიზნესი, მოგეხსენებათ, ბიზნესის განსაკუთრებულ კანონებს ემორჩილება და ხუთი ოთახიდან მხოლოდ ერთიღა შერჩათ. ორი წამოჩიტული შვილის შემდეგ ისევ გოგო უნდოდათ, მაგრამ ქვეყანას ორი და სამასი, ორი და ოთხასი და ორი და ექვსასი გიორგი, დაჩი და საბა მოევლინენ. სამივე ფიზიოლოგიური მშობიარობით გაჩნდა, მაგრამ სამშობიაროშივე შეეყარათ ყივანახველა და სამი თვე საავადმყოფოში გაატარეს (მკითხველი შეცდომაში რომ არ შევიყვანო, დავძენ: ინფექცია ბავშვებს სწორედ ჩემმა კოლეგებმა თუ სულაც ცნობისმოყვარე ადამიანებმა შეჰყარეს, ექიმების პროტესტის მიუხედავად, პირველ დღეებში ნანა ცინდელიანსა და მის ბავშვებს პალატაში რომ უვარდებოდნენ). როგორც ყველა მრავალშვილიან ოჯახში, აქაც ასეა: უფროსებს კოვზებით დასდევდნენ, კერძებს ურჩევდნენ, ოღონდაც ეჭამათ და რით აღარ იქცევდნენ, ტყუპებს კი ხვეწნა-მუდარა არ სჭირდებათ. ეგაა, საჭმლის დრო როცა დგება, დედას სათითაოდ გაჰყავს სამზარეულოში, თუ არადა, მოგეცა ლხენა - სამივეს ერთდროულად ჭმევას განსაკუთრებული მოთმინება სჭირდება.

მიტინგების რა გითხრათ, მაგრამ ქალბატონი ნანა მერიაში მაინც მივიდა. მაგრამ ქალაქის თავს, თურმე ნუ იტყვი, სოციალური პრობლემები არ ეხება - ვის ეხება, ეს ხუთი შვილის დედას არავინ განუმარტა. გლდანი-ნაძალადევის გამგებელსაც ეახლა. იქ მას ასეთი გარიგება შესთავაზეს: ჩააბარეთ ერთოთახიანი ბინა და ოროთახიანს მოგცემთო. არა, ორი ოთახი ერთს აშკარად სჯობს, მაგრამ ხუთი შვილიც ხომ სჯობს ერთსა და ორს. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გამგეობაში განცხადებაც არ ჩაიბარეს. წვრილ-წვრილი შეღავათები მაინც იყო, ოღონდ ისინი ისევე გაქრა, როგორც ავეჯი ცინდელიანების ოჯახიდან. ბანკმა "რესპუბლიკა" ყოველთვიური 120 ლარი ამ მრავალშვილიან ოჯახს მხოლოდ ორი წლით გამოუყო. ერთი წლის წინ დენზე დაწესებული შეღავათი (40 ლარი მთელი წლის განმავლობაში) დიდ ხანია, ამოიწურა. სადღაც გაქრა საპატრიარქოს დახმარებაც - 60 ლარის პროდუქტები მთელი წლის განმავლობაში, ისიც - ნაცნობობით გახერხებული.

მევალეების შიშით შეიძლება ერთოთახიანი ბინაც გაიყიდოს, ვალები კი ოჯახს სწორედ ბავშვების გამოსაკვებად უგროვდება. მათი თვიური შემოსავალი ხან 100 ლარია, ხან - 200. არადა, ხუთი შვილის გამოკვებას სულ მცირე 500 ლარი მაინც სჭირდება, ისიც ძალიან თუ შემოიჭერ ქამარს. აღარაფერს ვამბობ სწავლა-განათლებაზე და ცინდელიანების ორ მოზრდილ შვილზე. ისინი კარგად სწავლობენ და როგორც ყველა თანამედროვე ბავშვს, მათთვისაც აუცილებელია ინგლისურისა თუ კომპიუტერის ცოდნა, უნდათ კინოც, თეატრიც, დისკოთეკაც. ამ არაჩვეულებრივი ბავშვებისთვის დღეს სახელმძღვანელოების შეძენაც პრობლემაა. ზაფხულობით მხოლოდ ერთი კვირით თუ ახერხებენ თბილისიდან გასვლას. სხვათა შორის, სოფელიც აქვთ და იქ ბებია-ბაბუაც ეგულებათ, მაგრამ მათაც არანაკლებ უჭირთ. სოფელში იმიტომაც გადასახლდნენ, რომ ბინის გაყიდვის შემდეგ ერთოთახიანი ბინა ცხრა სულს ველარ იტევდა და ბაბუაც, თბილისის ერთ-ერთი უნივერსიტეტის დოცენტი, ლექციების წასაკითხად სოფლიდან დადის.

განსაკუთრებით მძიმეა უშუქო საღამოები - უფრო ხშირად გადაუხდელობის გამო ჩაბნელებული ბინა, როცა უფროსი ბიჭი ხმამაღლა სწავლობს გაკვეთილებს, უფროს გოგოს კი ხელი ეშლება. ტყუპები, ჯერჯერობით, პატარები არიან - მათთვის შუქის მოსვლა ტელეეკრანზე ლიპუცების გამოჩენას ნიშნავს. ტელელიპუცებს ბასტი და ბუბუ ცვლის და ძილის დროც დგება. უფროსი უჩა ორსართულიანი საწოლის მეორე სართულზე იძინებს, ქვემოთ ორი ტყუპისცალი თავსდება, საბა - დედიკოსთან და მამიკოსთან ნებივრობს, თამთას კი სამზარეულოში მიუჩინეს ადგილი.

37 წლის ნანა ცინდელიანს თავადაც უკვირს, კომუნისტების დროს რომ მისტირის. მე კი სხვა რამ მაოცებს: მაშინდელი შეღავათების გათვალისწინებით, მაინც, რა ღმერთი გვიწყრებოდა და ცოტა ბავშვებს რატომ ვაჩენდით? სამაგიეროდ არ მიკვირს, ხუთი შვილის დედა დღეს სხვა ქვეყანაში წასვლაზე რომ ფიქრობს. კონკრეტულად სად, არ დაუზუსტებია, მაგრამ ის კი მითხრა, რომ აზერბაიჯანში, სადაც დემოგრაფიული მდგომარეობა ჩვენზე ბევრად უკეთესია, მრავალშვილიან ოჯახებს მხოლოდ ხუთი მანათით არ ეხმარებიან. არადა, მეზობელ ქვეყანაშიც არ ულხინთ. რაც შეეხება დასავლეთს, იქ მრავალშვილიან ოჯახებზე, განსაკუთრებით ისეთებზე, სადაც ტყუპები იზრდებიან, დოკუმენტურ კინოებს იღებენ. ერთი ასეთი ფილმი მეც მაქვს ნანახი "დისქავერზე". გადამღები ჯგუფი ლამის ბავშვების სრულწლოვანობამდე აკვირდებოდა ოჯახს და შესაშური გულმოდგინებით აღწერდა ყველა იმ პრობლემას, რაც ტყუპების აღზრდას ახლავს ხოლმე. ოღონდ ეგაა, იქ სულ სხვა ტიპის დაბრკოლებებზე იყო ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში, პამპერსზე, ჰუმანაზე ან მედიკამენტებზე სიტყვაც არ თქმულა.

**ნახევრად დაცული ტერიტორია**

როცა შემოსავალი ათას დოლარამდე გაქვს, ალბათ არ უნდა გიჭირდეს, თუმცა ოჯახსაც გააჩნია. ლიკა ბოკერია და პაატა შანშიაშვილი რვა შვილს ზრდიან. რვა ბავშვის მოვლა-პატრონობა ყველა შემთხვევაში ძნელია, მაშინაც კი, როცა უცხოელები გაფინანსებენ და ხელფასი სტაბილურად გეძლევა. სხებისაგან განსხვავებით, შანშიაშვილებს უმცროსი თაობის გამოკვების საკითხი არ უდგათ. სწორედ ამიტომ მრავალშვილიანი ოჯახების პრობლემას გლობალურად უყურებენ და ამ პრობლემის გადაჭრის გზებიც განსხვავებულად ესახებათ.

24 წლის ანა, 22 წლის გიორგი, 16 წლის მარიამი, 14 წლის გაბრიელი, 12 წლის ნინო, 11 წლის ეკატერინე, 9 წლის ლუკა და 5 წლის ერეკლე. იყო დრო, დედაც მუშაობდა და მამაც, მერე მხოლოდ მამას უხდებოდა მატრიალურ პრობლემებზე ზრუნვა, დღეს შანშიაშვილების ოჯახში მამა და უკვე ორი უფროსი შვილიც მუშაობს. დანარჩენები კი, თუ ნაბოლარა ერეკლეს არ ჩავთვლით, სკოლის მოსწავლეები არიან და როგორც ამ ასაკის ყველა ბავშვს, მათაც თავ-თავიანთი სატკივარი აწუხებთ. პაატა შანშიაშვილზე ორი სიტყვით ვერ იტყვი. განვმარტავ: იგი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის დამაარსებელია და ეს ინფორმაცია არაფერს შეგმატებთ, თუ არ გეცოდინებათ, რომ დაცული ტერიტორიები უნიკალური ნაკრძალებია. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ნაკრძალებში ნადირობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ახლა ასე აღარ არის, მაგრამ ამაზე სხვა დროს. უფროსი ანა ხელოვნებათმცოდნეა და ამჟამად იტალიაში იმყოფება სტაჟირებაზე. გიორგი არქიტექტორია, მარიამი კი სკოლის დამთავრების შემდეგ ტურიზმის მენეჯმენტის დაუფლებას აპირებს. რა გზასაც არ უნდა დაადგნენ შანშიაშვილების მომდევნო შვილები, ისინი აუცილებლად დაეუფლებიან რომელიმე სასარგებლო პროფესიას, რადგან სწავლა-განათლებას ამ ოჯახში განსაკუთრებული ადგილი უკავია. როგორც ჩანს, გენეტიკურად მოსდგამთ - დედის მხრიდან მათი წინაპარი ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე შიო ჩიტაძე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოველი ცისმარე დღე საკვებზე ზრუნვით არ იწყება, ამ ბავშვებსაც ბევრი აკლიათ. უმცროსი თაობიდან ვინ ფლეიტაზე უკრავს, ვინ პიანინოზე, დადიან ცეკვაზე, ფეხბურთზე და ეს ყველაფერი ფული ღირს. ექვს სულზე გადაანგარიშებით, არც ისე ცოტა გამოდის. ოროთახიანი ბინა საბურთალოზე, შეძლებისდაგვარად სამ ოთახად რომაა გადაკეთებული, ქალბატონი ლიკას მშობლებისგან ერგოთ. სივიწროვე ამ ოჯახის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. არქიტექტორ ცოლ-ქმარს ჩვენგან არ სჭირდება იმ დროის შეხსენება, როცა ე.წ. ამხანაგობის სახლებშიც სახელმწიფო ბინების გარკვეულ რაოდენობას ფლობდა და მრავალშვილიან ოჯახებს მთლად ქალაქის ცენტრში თუ არა, გარეუბნებში მაინც უზრუნველყოფდა საცხოვრებელი ფართით. სხვათა შორის, არქიტექტორმა მშობლებმა ისიც კარგად იციან, ვინ და როგორ აშენებს დღეს სახლებს და თუ სახელმწიფოს სურვილი გაუჩნდება, არც დღეს გაჭირდება ასეთი ოჯახების დაკმაყოფილება. ამ ოჯახში მყარად სწამთ, რომ მრავალშვილიანების საკითხი მანამ არ გადაწყდება, სანამ სახელმწიფო ასეთ ოჯახებზე ზრუნვას პრიორიტეტად არ დასახავს.

რას გულისხმობენ? არაფერს განსაკუთრებულს: პირველ რიგში, მარავალშვილიანი ოჯახების გადასახადებისგან ნაწილობრივ განთავისუფლებას მაინც, რომ რვა შვილის მამა სხვების მსგავსად 21 პროცენტით არ დაიბეგროს. მეტიც, ასეთ ოჯახებს სამედიცინო დაწესებულებებშიც უფასოდ მოემსახურონ და კომუნალური გადასახადებითაც არ დაახრჩონ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი სხვებისაგან გამორჩეულები არიან. რასაკვირველია, უხარიათ, თუ მათ შვილებს ცეკვაზე ან ფეხბურთზე გარკვეულ შეღავათებს უკეთებენ, მაგარამ ასე არა კანონის ძალით, არამედ ვიღაცის კეთილი ნებით ხდება. მათ არც დემოგრაფიული პროგნოზების სისწორეში ეპარებათ ეჭვი და არც განვითარებულ ქვეყნებს ედრებიან, მაგრამ გული აშკარად სწყდებათ, როცა სახელმწიფოს მხრიდან მორალურ თანადგომასაც ვერ ხედავენ.

რაც შეეხება იმ 5 ლარს, სახელმწიფომ მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან ბავშვებს რომ დაუწესა, აქაც ქალბატონ ლიკას ვეთანხმები. ის კი ფიქრობს, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუდენტ შვილებსაც სჭირდებათ ხელის გამართვა; რომ დედებს, სახლებში რომ სხედან და ბავშვებს უვლიან, სახელმწიფო პენსიას უნდა უწესებდეს; რომ იმ მინიმალური შეღავათების შესახებ, დღეს რომ მრავალშვილიან ოჯახებს ეკუთვნით, ყურმოკვრით არ უნდა იგებდნენ და მიტინგებსაც არ უნდა მართავდნენ გამგეობებისა თუ სამინისტროების წინ; რომ სახელმწიფო იმათაც უნდა ეხმარებოდეს, ვინც სოციალურად დაუცველია და ამ მიზეზით ერთ შვილსაც ველარ აჩენს... ვინატრებდი, ისეთი ადამიანები, როგორიც ქალბატონი ლიკაა, ჩვენს პარლამენტსაც ამშვენებდეს, იქნებ მერე მაინც აეხილოთ თვალები. სხვათა შორის, ლიკა ბოკერია, როგორც მრავალშვილიანი დედა, რამდენიმე წლის წინათ პარლამენტის რომელიღაცა კომიტეტის რომელიღაცა ქვეკომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს და რაც ჩვენი შეხვედრის დროს ითქვა, იმ შეკრებაზე მაშინ უფრო მძაფრადაც თქმულა. შედეგი ასეთია: ოჯახი, რომელსაც ქართული სტანდარტებით მაღალი ანაზღაურება აქვს, გაურემონტებელ ბინაში ცხოვრობს; ზაფხულში დასვენება მათთვისაც პრობლემაა; აქაც ყოველ ღამით იშლება დივანი, დგას ორსართულიანი საწოლები და იტალიაში წასული ქალიშვილის კუთხეს, კარგა ხანია, უმცროსი და დაეპატრონა.

იმის თქმა არ მინდა, თითქოს ასი ლარი და ათასი დოლარი მრავალშვილიან ოჯახებს ერთნაირად გაუსაძლის პირობებში ამყოფებს. ვისაც პური არ ენატრება, მწვადზე ვერც ის ლაპარაკობს. და თუ მაინც ლაპარაკობს, ასეთ ოჯახში სახელმწიფოს არაფერი ესაქმება.



ჩემი ხატია სამშობლო...

გუშინ: გეგუჩაძე vs პეშეირო
დღეს: დინამო vs სპორტინგი

"წვიმის მუსიკოსები" კიევში გაემგზავრნენ

B2 B4 B8

# შევარდნაძის სკამი

დავით კიკალიშვილი

ერთ-ერთი გერმანული გამომცემლობა რამდენიმე თვეში გადამდგარი თუ გადაყენებული პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ახალ მემუარებს გამოსცემს. ქართულ პრესაში ნაწყვეტებიც კი გამოქვეყნდა, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც თითქოსდა სამუშაო ვარიანტში იყო და წვიმიანი რევოლუციის დღეების ერთ მცირე, თითქმის რამდენიმე სანტიმეტრიან დეტალს ეხება, შესაძლოა, არც კი დაიბეჭდოს. ეს დეტალი კი იმ დიდის ნაწილია, რომელიც ყველას რწმენით დაიმსხვრა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი კითხულობს, თუ რა შეიცვალა რევოლუციის შემდეგ, ეს არტეფაქტი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა და ამის საბაბი სკამია - პრეზიდენტის სკამი.

მემუარების სამუშაო ვარიანტში შევარდნაძე თითქოსდა წერს, რომ რევოლუციის დღეებში ერთ-ერთი ჟურნალისტი, პირდაპირ ეთერში აცხადებდა, რომ ხელში პრეზიდენტის დამსხვრეული სკამის ნაწილი აქვს - შემდეგ კი შენიშვნაა: - სკამი ჩემი კი არა, მდივნისა იყოო. რამდენადაა სტილი დაცული, ვერ გეტყვით, მაგრამ შინაარსი ჩემთვის, ვინც იმ დღეებში პირდაპირ ეთერში ვიდექი და ყველას ხის ნატეხს ვუჩვენებდი, სიმბოლური აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც პარლამენტი აიღეს (უკაცრავად ამ რევოლუციური ტერმინისათვის), აჭარიდან ჩამოყვანილი და მიტოვებული სამარშრუტო ტაქსის სახურავზე ვიდექი და პირდაპირი რეპორტაჟი მიმყავდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა პარლამენტის წინა მოედანზე, სადაც ხალხი გამარჯვების ეიფორიით იყო შეპყრობილი. ვიღაცამ ხის ნატეხი მომაწოდა და მომაძახა: აჰა, შენ სუვენირად შევარდნაძის დამსხვრეული სკამის ნაწილიო. სიმართლე გითხრათ, მაშინ არც დავფიქრებულვარ, გადამემოწმებინა მისი სინამდვილე და ამ ფაქტს იმ წამსვე სატელევიზიო სიცოცხლე მივეცი. გუმანით ვგრძნობდი, ყველას, როგორც რევოლუციური სიმბოლო ვარდი, ისე ძველი რეჟიმის მსხვრევის სიმბოლო გვჭირდებოდა და ეს პატარა ნატეხი ძალზე ხელშესახები იყო. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მხოლოდ მე არ ვფიქრობდი ასე. ცოტა ხანში ხანშიშესული კაცი მომადგა პარკით ხელში - აჰა, ნაცარია, ის სკამი დავწვითო. კი ვიფიქრე, ესეც პირდაპირ ეთერში რევოლუციურ ქარიშხალს ხომ არ გავატანო-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. თურმე შესაძლებელია, სკამი მდივნისა ყოფილიყო.

ამ მოვლენების წლისთავზე გადავწყვიტე, საინფორმაციო სამართლიანობა აღმედგინა და გამერკვია, მართლაც თუ დაიმსხვრა იმ რეჟიმის სკამი და უცაბედად ილუზიების ტყვეობაში ხომ არ ვიმყოფებით, როდესაც ვაცხადებთ, რომ წარსული წარსულს ჩაბარდა, ახლა კი ახალი ეტაპი დადგა, როდესაც სულ სხვა პრობლემები უნდა გადავწყვიტოთ, რომლებიც იმ სკამს არ უკავშირდება. კითხვაც გამიჩნდა, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ნამდვილი სახელისუფლებო საჯდომი ადგილი ვიღაცამ სადმე შემოინახა და ისევე იყენებს, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ?

ამ ამბის გამორკვევა კანცელარიიდან დავიწყე, თანაც ვიხსენებდი, რომ შევარდნაძეს რამდენიმე სკამი უნდა ჰქონოდა. ერთი, ალბათ, საკუთარ კაბინეტში, მეორე - მთავრობის სხდომათა დარბაზში და მესამე - ოფიციალური მიღებების ოთახში. თავს ვიმშვიდებდი, ერთს თუ არა, მეორეს მაინც დაამსხვრევდნენ. ამასთან ერთად, შევარდნაძეს მარტო სკამების სიმრავლის გამო არ ემდუროდნენ და ბოლოს სუპერ-პრეზიდენტსაც კი ეძახდნენ, რადგანაც უფლებები, ფაქტობრივად, შეუზღუდავი ჰქონდა და პატარა სოფლის გამგებლის დანიშვნიდან დაწყებული, სახელმწიფო მინისტრის მოვალეობების დუბლირებით დამთავრებული, ყველაფერს თავად კისრულობდა (როგორ ახერხებდა ამას, სხვა საკითხია). არ გამოგრჩეთ პარლამენტი - სკამი და უმრავლესობაც იქაც ჰქონდა.

როგორც აღმოჩნდა, ეს ამოცანა ისეთი ადვილი არ ყოფილა, როგორც თავიდან ჩანდა. ახალმა პრეზიდენტმა, როგორც კაბინეტი, ასევე მთავრობის სხდომათა დარბაზი, სადაც ახლა მრგვალი მაგიდის გარშემო იკრიბებიან, თავისებურად გადააწყო. მე კი ვეძებდი ისეთ ვეტერანს, რომელიც შემორჩა კანცელარიას ძველი დროიდან და ისეთი საყოფაცხოვრებო დეტალი იცოდა, როგორიც სკამის ბედია. აღმოვაჩინე, რომ ბევრს ამ თემაზე საუბარი არ უნდა, ან უცბად გულმავიწყი გახდა. არადა, ისინი, ვინც ამ სკამის მნიშვნელობას კრიტიკულად აფასებდნენ, დღესაც არ იცვლიან თავის აზრს.

"პრეზიდენტის ძალაუფლება კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა!" - ასე დაიწყო საუბარი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ანა დოლიძესთან, რომელიც დღეისათვის თავმჯდომარის მოალეობების შემსრულებელია, - საკონსტიტუციო ცვლილებებით მას პარლამენტის დათხოვნის საშუალება ეძლევა, პარლამენტს მხოლოდ პრემიერისა და მთავრობის უნდობლობის საკითხით შეუძლია უპასუხოს, ხოლო პრეზიდენტის იმპიჩმენტი ისეთივე გართულებული პროცედურით ხორციელდება, როგორიც ადრე იყო. აქ არაფერი შეცვლილა.

**- პრემიერ-მინისტრს ხომ გადაეცა გარკვეული უფლებამოსილებები?**

- პრემიერის უფლებამოსილებები გაიზარდა, კაბინეტს ის აყალიბებს, მაგრამ ძალოვანი მინისტრები კვლავ პრეზიდენტის კონტროლის ქვეშაა. საერთო ჯამში აღმასრულებელი ხელისუფლება გაძლიერდა და ურთიერთგამაწონასწორებელი ბალანსი პარლამენტთან დაირღვა. კურიოზულ ისტორიასაც მოგიყვებით: მინისტრის გამოცემული აქტები, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგება, სასამართლოს გაუქმების ქვემდებარეა. ახალ კანონში კი ეს უფლება პრეზიდენტსაც მიანიჭეს, ასეთი პარალელიზმი, უბრალოდ, სასაცილოა.

სასაცილო?! არც ანას და არც მე ამ საუბრის ბოლოს არ გაგვცინებია. რევოლუციურ ტალღაზე განხორციელებულ დაჭერებს თუ გავიხსენებთ, შემდეგ მრავალმილიონიან ექსპროპრიაციებს და იმას, თუ როგორ მორჩილად ასრულებდა სასამართლო გამარჯვებული ხალხის სურვილს, ეს, შესაძლოა, სასაცილო არ იყოს. ანას ბევრი აქვს მოსაყოლი წამებებზე პოლიციაში და ბევრ სხვა პრობლემაზე. სამწუხაროდ, სასამართლო, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტო, ჩემს ისტორიაში კი სკამის ერთ-ერთი ფეხი, ნამდვილად მოირყა.

ანა დოლიძესთან ერთად მივიწყებული თვითმმართველობაც გავიხსენეთ. ჩვენ ყველა დაგვაიმედეს, რომ 2005 წელში პრეზიდენტი აღარ დანიშნავს ყველა რაიონის გამგებელს და ა.შ. პრეზიდენტის რწმუნებულების ბედი კვლავ გაურკვეველია. ოდესღაც ოპოზიციის ინტერპრეტაციით ეს თანამდებობა საერთოდ ანტიკონსტიტუციური იყო. ქალაქის მერები კი ახალი პროექტით არა პირდაპირ, არამედ საკრებულოების მეშვეობით უნდა აირჩეს. ასეთი სიფრთხილე ხელისუფლებაში იმით ახსნეს, რომ, ჯერ ერთი, გარდამავალი პერიოდია (ნაცნობი ფრაზა) და მეორე - შესაძლოა, ადგილებზე ძალაუფლება არჩევნების გზით კრიმინალებმა ჩაიგდონ ხელში (არაოფიციალური აქცენტები არასაიმედო რეგიონებში, არასაიმედო პოლიტიკურ დაჯგუფებებზეც კეთდება).

ამა თუ იმ საბაბით კი საქართველო, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს, მრავალნაციონალური მოსახლეობა ჰყავს და თითქოსდა ფედერალიზაციისაკენ მიილტვის, კვლავ ინარჩუნებს ცენტრალიზებულ ვერტიკალს, რომელიც წარსულის გამოცდილებით ძალზე მოუქნელი და არაქმედითუნარიანი იყო.

აქ, ალბათ, თვითკრიტიკაც საჭიროა. იმ სკამს, რომელსაც მე ვეძებდი, მე-4 ფეხიც აქვს. ერთი წლის წინ მე-4 ხელისუფლება რევოლუციურ ტალღაზე გადაერთო, ნოემბრის დაძაბულ დღეებში გაურკვეველ პოზიციას მას არავინ აპატიებდა, მაგრამ შემდგომი ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებაზე მაკონტროლებლის ფუნქციის დაბრუნება ძალზე ძნელი აღმოჩნდა. საზოგადოებაში საერთოდ წაიშალა ოპოზიციური სპექტრი. ასლან აბაშიძის პრობლემამაც თავისი კორექტივები შეიტანა და, ფაქტობრივად, მედიას საგანგებო მდგომარეობაში მოუხდა მუშაობა, როდესაც ის ახალი ხელისუფლების ანუ რევოლუციური შტაბის წევრი აღმოჩნდა. ამ მდგომარეობიდან ზოგმა ვერ ან არ მოინდომა გამოსვლა და სკამის ეს ფეხიც გაიბზარა.




სკამის ძიება კი გაგრძელდა. ჩემსას მივაღწიე და კანცელარიის ერთ-ერთი მოხელე, არაოფიციალურ შეხვედრაზე დამთანხმდა. უკვე წინასწარ მივხვდი, რომ დამსხვრეული და დამწვარი სკამის ისტორია ჩაიხლართა.

**ინკოგნიტო** - კანცელარიაში ძალზე ორგანიზებულად შემოვიდნენ, უფრო მეტიც, მომზადებულებიც კი იყვნენ, ისე სწრაფად ავიდნენ სახურავზე და დროშა გადმოკიდეს, რომ ამას სპორტსმენები თუ შეძლებდნენ. მაგრამ ამ სპორტსმენებმაც კი ვერ შეძლეს პრეზიდენტის კაბინეტში შეღწევა.

**- რატომ?** -

- ბრონირებული კარები ჩაკეტილი იყო. ჯგუფში მთამსვლელებიც იყვნენ, რომლებმაც თოკებზე გადმოკიდებულებმა კაბინეტის ფანჯრების ჩამტვრევა სცადეს, მაგრამ ამაოდ.

**- ესე იგი სკამი, რომელიც გამოიტანეს, მართლაც, შევარდნაძის არ იყო?**

- დაძაბული ვითარება იყო, გარეთ ხალხი იდგა და მათ დაწყნარებას ჭირდებოდა. კაბინეტის შესასვლელთან მდგარი პირველივე სკამი ავიღეთ და გარეთ გადავაგდეთ.

**- ნამდვილი სკამი სადღაა?**

- ვინ იცის, შესაძლოა, ვიღაცას კაბინეტში უდგას ან სადმე სხვაგანაა.

ამ საუბარმა თავდაპირველად ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ნუთუ სინამდვილე მართლა სიმბოლოებით ჩავანაცვლეთ და ახლა მკაცრი რეალობის წინ აღმოვჩდით, როდესაც კეთილი სურვილებისა და სიტყვების უკან საქმე არ ჩანს და ყოველი ჩვენთაგანი იმ პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა, რომ კვლავ მოუწევს იმ წინაღობების გადალახვა და იმ სკამების დამსხვრევა, რომლებიც ერთი წლის წინ თითქოსდა გადაილახა და დაიმტვრა? შემდეგ კი ვიფიქრე, რამდენადაა მნიშვნელოვანი, იყო თუ არა ის სკამი სინამდვილეში პრეზიდენტის სკამი? მნიშვნელოვანი, ალბათ იყო ის სიმბოლო, რომელიც ჩვენ დავამსხვრიეთ იმ დღეებში და დარწმუნებული ვარ, ვინც ამ სკამის შენახვას შეეცდება, იგივე პასუხს მიიღებს, როგორიც 23 ნოემბერს ხმამაღლა და მკაფიოდ გაიგო.

**P.S.** სკამის ნატეხთან ერთად კიდევ ერთი სუვენირი მაქვს შენახული, ტყვიის გულა. სანაპიროზე ვიპოვე, როდესაც პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებულ მეორე ტერაქტზე რეპორტაჟს ვაკეთებდი.

დავიღალე ასეთი სუვენირების შეგროვებით!..







# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ფესტივალი "ოქროს ვარდი"
დას: 18:00 სთ.

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
"წამი გარდასახვამდე"
Green
"სიზმრები იაპონიაზე"
(სამი ერთმოქმედებიანი ბალეტი)
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 3, 7 და 10 ლარი
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე დიუმას 1001 აღმოსავლეთი";
"სარტრისა და ბოვუარის თავგადასავლები კავკასიაში"
რეჟისორი: პატრიკ კაზალსი
დას: 15:00; 18:00 სთ.

"ალექსანდრე"
დას: 22:00 სთ

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ქრისტიანობის 2000 წელიწადი"

**TMS**
ეკა ხუნწარიას, ირმა ხოფერიას, ნინო ყვავილაშვილის, ქეთი ქავთარაძისა და ნინო ხოფერიას (ტექსტილის სამხატვრო სტუდია La Maison Bleue) ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ქართული რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# გაიხსნა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გუშინ პირველი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "ოქროს ვარდი - თბილისი 2004" გაიხსნა.

ფესტივალის ორგანიზატორის, კომპანია "ფაივ ლაინს პროდაქშენის" პი-არ-მენეჯერის, ნინო ტურაშვილის თქმით, - ფესტივალის მონაწილეები ცნობილ ქართულ სიმღერებს მშობლიურ ენაზე, საკუთარი ინტერპრეტაციით შეასრულებენ. გუშინდელი კონცერტი რუმინელმა შემსრულებელმა მიხაილ რომ გახსნა. ფესტივალის მეორე ტურში კი, რომელიც დღეს დაიწყება, მონაწილეები ჟიურის წევრებს საკუთარ რეპერტუარს წარუდგენენ.

სულ ფესტივალში 16 ქვეყნის 17 ახალგაზრდა შემსრულებელი მონაწილეობს. საკონკურსო ტურებისა და კონცერტების გარდა, ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართება.

ფესტივალის ჟიურის წევრთა უმრავლესობა ცნობილი საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზატორები არიან, მათ შორის - "სლავიანსკი ბაზარის" პრეზიდენტი რადიონ ბასი, ინდონეზიის საერთაშორისო ფესტივალის პრეზიდენტი კრის პატიკავა, მალტის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორი ანტონ გრეჩი, ასევე ნიკოლაი ბინევი, ნიკოლაი ტეკელევი (ბულგარეთი), ალან როი სკოტი (აშშ) და ელიუს რომანოვასი (ლიტვა). ჟიურის ქართულ შემადგენლობაში კი ცნობილი ვარსკვლავი ნანი ბრეგვაძე და კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი შედიან.

გამარჯვებულებს შორის პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდება: გრან პრი - 5 ათასი აშშ დოლარი, პირველი ადგილი - 4 ათასი, მეორე - 3 ათასი, მესამე - 2000 აშშ დოლარი.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "ოქროს ვარდი - თბილისი 2004" ხვალ დასრულდება.

# ჩემი ხატია სამშობლო...

## საქართველოს დღეები გერმანიაში

ნინო ცინცაძე
ქალაქ რედას აინშტაინის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე

*ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოების ინიციატივით, მიმდინარე წლის 24 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით გერმანიაში ქართული კულტურის დღეები გაიმართა.*





დარბაზში ბექა ბედიანაშვილი და გიორგი ზეიკიძე გამოჩნდნენ ქართული და გერმანული დროშებით ხელში და ახალი ქართული სახელმწიფო ჰიმნის ფონზე ამაყად გაემართნენ ქალაქ ბილეფელდის უმაღლესი სახალხო სკოლის დიდი დარბაზის სცენისკენ. მათ უკან მოჰყვებოდნენ ქართულ ტრადიციულ და თანამედროვე, მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი ბილეფელდის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლე გოგო-ბიჭები, რომელთა შორისაც მოხდენილ კახურ ტანსაცმელში გამოწკეპილ რამდენიმე მოზარდს გამოარჩევდით. ესენი ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოების მიერ საქართველოს დღეებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული, თელავის კულტურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორულ ანსამბლ "პატარა კახის" მომღერლები იყვნენ. მათ წინ ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბატონი ლევან აბაშიძე მიუძღოდა.

ჩვენმა სტუმრებმა სცენაზე ასვლისთანავე ომახიანი "მრავალჟამიერი" დააგუგუნეს და დარბაზში მსხდომი ორასამდე ქართველი, გერმანელი, ბერძენი თუ სხვა ეროვნების მაყურებლის მქუხარე ტაში დაიმსახურეს.

მას შემდეგ, რაც ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ჯიმშერ ბედიანაშვილი გულთბილად მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სცენაზე ბილეფელდის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეები გამოჩნდნენ. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კესო, ხატია, ნათია, სოფო, მარიამი, გიორგი, ლიკა, მარინა, ბექა, ნინო, სალომე, ნიკა, ლუკა, ზაზა და ქართველი პოეტებისა და კომპოზიტორების ლექსებითა და სიმღერებით უგალობდნენ ბევრი მათგანისთვის თვალით უნახავ თუ მეხსიერებაში სანახევროდ წაშლილ შორეული სამშობლოს მთა-ბარს.

მე და ბექა წამყვანები გახლდით. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობაც სწორედ ჩვენ დაგვეკისრა. განსაკუთრებით მაშინ ვფრთხილობდით, როცა სცენაზე ჩვენი სკოლის ყველაზე პატარა მოსწავლეები იდგნენ, თუმცა, ჩვენი სიფრთხილე ზედმეტი აღმოჩნდა: უმშვენიერესი თეთრი ქართული კაბითა და ფატით დამშვენებულმა ექვსი წლის ნატალი ქაშიბაძემ და შვიდი წლის ეკა გიორგაძემ ლექსებით, ხოლო სკოლის ყველაზე პატარა მოსწავლემ, ოთხი წლის მიშელ ვეგნერმა თავისი წკრიალა ხმით სულ მოაჯადოვეს სულგანაბული დარბაზი. აღფრთოვანებული მაყურებელი მქუხარე ოვაციით და ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა პატარებს. საღამომ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც სცენაზე აჭარულ ტანსაცმლში გამოწყობილი ნატალი ქაშიბაძე და შვიდი წლის ნუკრი ოქრუაშვილი გამოჩნდნენ. მათ მიერ შესრულებულმა აჭარულმა ცეკვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

კონცერტის პირველი ნაწილის დასასრულს სცენაზე ავიდა ქართული მუსიკალური ოჯახის ტრადიციების გამგრძელებლი ლაშა წივწივაძე და თავისი ხავერდოვანი ხმით "ყვავილების ქვეყანა" უმღერა დამსწრე საზოგადოებას. როგორც მისმა მშობლებმა აღნიშნეს: ლაშამ თავისი პირველი, სერიოზული განაცხადი გააკეთა მუსიკალურ სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიების მომზადებაში დიდ წვლილი მიუძღვით საკვირაო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ქალბატონ ლია თავშავაძე-ცინცაძეს, სკოლის მუსიკალურ ხელმძღვანელებს: ქალბატონ ლიკა ჩანადირსა და მის მეუღლეს ბატონ გია წივწივაძეს, ცეკვის მასწავლებლებს ქალბატონ მაია ოქრუაშვილსა და ბატონ გოჩა ერაძეს და, რაღა თქმა უნდა, ბილეფელდის გერმანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარეს, თავისუფალ ჟურნალისტსა და პოეტს, გერმანიის მწერალთა კავშირის წევრს ბატონ ჯიმშერ ბედიანაშვილს.

■ ■ ■

საღამოს მეორე ნაწილი პროფესიონალ მუსიკოსებს დაეთმო. სცენაზე თავდაპირველად გამოჩნდნენ ანსამბლ "პატარა კახის" წევრები და ჯერ კახური, ხოლო შემდეგ გერმანული სიმღერა შემოსძახეს, რითაც საბოლოოდ მოიგეს იქ დამსწრე არა მარტო ქართველი, არამედ გერმანულენოვანი მაყურებლის გულები. ამ კონცერტზე ჩვენმა თელაველი სტუმრებმა მხოლოდ ოთხი სიმღერა შეასრულეს და ქართული სიმღერის ეშხით გაბრუებულ მაყურებელს შეჰპირდნენ, რომ ერთი კვირის შემდეგ იმავე დარბაზში სრული პროგრამით წარდგებოდნენ მათ წინაშე.

ჩვენი სკოლის ბავშვებისა და ანსამბლ "პატარა კახის" წევრების დამეგობრების სიმბოლოდ კი ერთი შემთხვევა იქცა: როდესაც "თბილისოს" ვმღეროდით, მოულოდნელად ანსამბლის წევრები სცენაზე ამოვიდნენ და შემოგვიერთდნენ. ყველაფერი ისე ლამაზად და ბუნებრივად მოხდა, რომ მაყურებელმა ეს პროგრამით გათვალისწინებულ ნომრად ჩათვალა და ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ გადაუარა თითოეულ ჩვენგანს ჯერ გაოცების, შემდეგ კი სიამაყის ტალღამ.

კონცერტი, ტრადიციისამებრ, გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსებმა: ქალბატონმა ლიკა ჩანადირმა და ბატონებმა გია და პაატა წივწივაძეებმა დაასრულეს. როგორც ყოველთვის, დარბაზი კვლავ მქუხარე ტაშითა და "ცუგაბე, ცუგაბეს" ძახილით გაივსო.

■ ■ ■

კონცერტი დასრულდა. ბატონმა ჯიმშერმა ქართული კერძებით დახუნძლული მაგიდებისკენ მიიპატიჟა სტუმრები.

ქეიფის დაწყებიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ დარბაზში ისევ გაისმა ომახიანი ქართული სიმღერა. გერმანიაში მცხოვრებ თანატოლებთან ერთად გალაღებულმა თელაველმა სტუმრებმა ხმამაღლა შემოსძახეს "შავლეგო" და უფროსებიც აიყოლიეს. რაც უფრო მეტი ღვინო ისმებოდა, მით მეტი ლაზათი ემატებოდა სუფრას. ჯერ ქალბატონი ლიკა მიუჯდა პიანინოს და ბატონ გიასთან ერთად სიმღერებით დაატკბო დამსწრე საზოგადოება, შემდეგ ბატონმა პაატამ და ბოლოს ბატონმა ლევან აბაშიძემ შეასრულეს გიორგი ცაბაძისა და სხვა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. მალე მათ ანსამბლ "პატარა კახის" წევრები და ბატონები გია და პაატა წივწივაძეები, შემდეგ კი ჰანოვერელი და ბრემენელი ქართველი სტუდენტები შეუერთდნენ. გერმანიის ამ შორეულ, შემოდგომის ბურუსში გახვეულ ქალაქში პატარა საქართველო მღეროდა.

■ ■ ■

ცეკვითა და სიმღერით დაღლილი, სასიამოვნო ემოციით დამუხტული ვბრუნდებოდი შინ და გულში მადლობას ვუხდიდი ყველა იმ ადამიანს, ვისმა უანგარო და ჭეშმარიტად მამულიშვილურმა დამოკიდებულებამ ქართული საქმისადმი ხელი შეუწყო ქართული საზოგადოებისა და სკოლის გაძლიერებას ბილეფელდში და სულ რაღაც ერთ წელიწადში ეს ქალაქი გერმანიაში ქართული კულტურის ერთ-ერთ კერად აქცია.

■ ■ ■

ბილეფელდში ჩატარებული ამ დაუვიწყარი საღამოს შემდეგ საქართველოს დღეებმა გერმანიის სხვა ქალაქებში გადაინაცვლა. 27 ოქტომბერს ანსამბლმა "პატარა კახმა" დიუსელდორფის უნივერსიტეტის დარბაზში ჩაატარა კონცერტი. 28 ოქტომბერს ქალაქ ბერლინში, "დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობათა" საქველმოქმედო ორგანიზაციის ათი წლის იუბილეზე გამოვიდა საკონცერტო პროგრამით. 29 ოქტომბერს კი ქრთული სიმღერა ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის კედლებშიც გაისმა.

"მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს გერმანიაში ქალბატონ დოქტორ მაია ფანჯიკიძესა და საქართველოს საელჩოს ყველა თანამშრომელს ინფორმაციული მხარდაჭერისთვის. თანადგომისა და თანამშრომლობისთვის მადლობას მოვახსენებ აგრეთვე ქალაქების: ბერლინისა და ბრანდერბურგის ქართული საზოგადოებების თავმჯდომარეებს ბატონ პროფესორ როლფ შრადეს და ბატონ პავლე შპეტიშვილს, აგრეთვე ქალაქ დიუსელდორფის ქართული საზოგადოების გამგეობის ყველა წევრს ქალბატონ თიკო კილურაძის ხელმძღვანელობით", - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბატონმა ჯიმშერმა.

■ ■ ■

29-31 ოქტომბერს ქალაქ გუიტერსლოში გამართულ დიზაინის საერთაშორისო გამოფენაზე ისეთი ცნობილი ფირმების გვერდით, როგორიცაა Jaguar, Ferrari, PIEGA, B&W და სხვა, საქართველოს კუთხე, მართალია, სადად და უბრალოდ გამოიყურებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, კერძო ფირმებისა და დიზაინერების კუთხეებს არათუ არ ჩამოუვარდებოდა, არამედ ბევრ მათგანზე უფრო გემოვნებიანად და მდიდრულადაც კი გამოიყურებოდა. ამაში, უდავოდ, დიდი წვლილი მიუძღოდათ გერმანიაში მცხოვრებ დიზაინერებს მეგი მაჭარაშვილსა და ბილეფელდის ქართული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს ლენა ვეგნერ-კვირიკაშვილს. ქართულ კუთხეს განსაკუთრებული ელფერი შესძინა საქართველოდან მოწვეული მხატვრების ანტონ და ლევან გოგლიძეებისა და დიმიტრი სააკაშვილის ნამუშევრებმა. 31 ოქტომბერს ბილეფელდში გამართული გამოსათხოვარი კონცერტის შემდეგ გამოფენას "პატარა კახის" მომღერლებიც ეწვივნენ და სახელდახელო კონცერტიც გამართეს.

■ ■ ■

12-14 ნოემბერს ქალაქ ბილეფელდში ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. ისევე როგორც გუიტერსლოში, საქართველოს სახელით ამ გამოფენაშიც ბილეფელდის გერმანულ-ქართულმა საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა. საქართველოდან ჩასული ტურისტული ფირმების "ლევონ ტრეველის" წარმომადგენლების რატი გელაშვილისა და მამუკა კელაურიძის მიერ ჩატანილმა თვალსაჩინო მასალამ გერმანელთა ინტერესი გამოიწვია და ბილეფელდის ქართული საზოგადოებაც მოსალოდნელი სირცხვილისგან იხსნა, რადგან საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის მიერ მიცემული შეპირება თვალსაჩინო მასალის გაგზავნის შესახებ შეპირებადვე დარჩა. რაც შეეხება World Internationali-ს წარმომადგენელს, ბატონ ნიკა კვარაცხელიას, ის პირდაპირ ლონდონიდან გადაფრინდა გერმანიაში და საქართველოდან თვალსაჩინო მასალის გადაგზავნას ელოდა, მაგრამ ამაოდ.

"ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: ნუ დაეყრდნობი ოფიციალური პირების დაპირებას, თორემ შერცხვებიო და მართალიც აღმოჩნდა. მე რომ ტურიზმის დეპარტამენტის იმედზე დავრჩენილიყავი, ვინ იცის, რამდენად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებოდით", - აღნიშნა ბატონმა ჯიმშერმა, - "თუმცა, მადლობა ღმერთს, არიან ისეთი ადამიანებიც, როგორიც ქალაქ ბრემენში მცხოვრები ბატონი გიორგი შატბერაშვილია, რადგან სწორედ მის მიერ გამოგზავნილმა საქართველოს ულამაზესმა ფოტოებმა და "ლევონ ტრეველის" მიერ ჩამოტანილმა მასალებმა აქციეს ეს გამოფენა ესოდენ საინტერესოდ." ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ გამოფენაზე საქართველოზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები იყო. სამოცდაოთხ კვადრატულ მეტრზე გაშლილ ქართულ კუთხეს კი, ცოტა არ იყოს, ალმაცერად უყურებდნენ ხუთჯერ უფრო პატარა ფართობზე განთავსებული იაპონიის, ლათინური ამერიკის, უნგრეთის, შვეციისა თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. გაოცებულნი ჩანდნენ დამთვალიერებლებიც. ერთ მხარეს თავად გამოფენა იყო განთავსებული, ხოლო მეორე მხარეს - ქართული სამზარეულო, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო. დამთვალიერებელი თავისთვის ბუტბუტებდა: აქეთაც საქართველო, იქითაც საქართველო. განა რამხელაა ეს ქვეყანა?

# "იქსჩეინჯების" ისტორიები

## გაკვეთილი პირველი: როგორ ვუთხრათ "Hi" ახალ ცხოვრებას

თამარ ბაბუაძე



თავიდან გგონია, რომ მთელი ქვეყანა შენია. ისე ცხვირაწეული დადიხარ, თითქოს, მთელმა თბილისმა უნდა იცოდეს, რომ ACCESL-ის კონკურსში გაიმარჯვე და აშშ-ს უნივერსიტეტში სწავლისთვის საჭირო ერთწლიანი სტიპენდია მოიპოვე. თანაც, ეს ყველაფერი ფულის ჩაუყრელად, ვილაცეების დაუხმარებლად, სულ შენით! თანაც, იმ დროს, როცა "გაცვლითი" სტუდენტობა ჯერაც ახალი ხილია, როცა თბილისში მხოლოდ ზოგიერთები არ "თამაშობენ დახუჭობანას" ინტერნეტში და უცხო საიტებში არ "იკარგებიან"...

ახლაც ხომ ვერაფრით დაგიჯერებია, რომ შენ მხოლოდ შენი ინგლისურით, აზროვნებით თუ კიდევ რა იცი, რით - ჟიური აღაფრთოვანე (როგორც ამას დედაშენი იტყოდა და შენ კი მისი ნათქვამი საშინლად გაგაღიზიანებდა)... მოკლედ, გგონია, რომ ახლა, რახან "გაცვლითი" სტუდენტი გქვია, ყველასგან გამორჩეული და, საერთოდ, ერთადერთი ხარ.

მართალი ხარ - სადაც მთელი ქვეყანა ქრთამის აღებ-მიცემობით ცხოვრობს, შენ მართლა ყოჩაღ. თუმცა, შევარდნაძის სტიპენდიანტობას ან ვახტანგ გორგასლის ჯილდოს ამისთვის ნურავის მოსთხოვ. პირიქით, დაიცადე სანამ გამგზავრების დღე მოვა...

ე.წ. გამოსამშვიდობებელ წვეულებაზე ჯერაც ამაყი ხარ, თავი ჯერაც მთელი მსოფლიოს თინეიჯერებისგან გამორჩეული გგონია.

მაგრამ, რა იცი, შეიძლება არც იყოს ასე - თუ ჩემნაირი დაბნეული ხარ, შეიძლება გამგზავრების დღეც სხვანაირად გაატარო. ვთქვათ, შუა "ფართიზე" გაგახსენდეს, რომ ACCESL-ის ოფისიდან თვითმფრინავის ბილეთები არ გამოგიტანია და შეიძლება, რეისი თბილისი-სტამბული-ნიუ იორკი-ვაშინგტონი უშენოდ გაფრინდეს. მაშინ "ფართიც" თავში ხელის ცემად გექცევა და ჩალაგებულ ჩემოდნებსაც ეჭვით გადახედავ. გასაცილებლად/დასალევად მოსულები კი შენთვის ზოგადსაკაცობრიოდ ქცეულ საკითხზე ჩაფიქრდებიან - რა ვქნათ, სად "ვიშოვოთ" ერიკ ჯონსონი? - ACCESL-ის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელი, კაცი, რომელსაც შენთვის ბილეთების მოცემა შეუძლია. ვაი, და ვერ იპოვოთ? - მერე რა მოუვა შენს გამორჩეულობას, შენს "ცხოვრებაში ერთხელ მოსულ" შანსს - გახდე "იქსჩეინჯი", შანსს, რომლის შესახებაც ძალიან თეორიული და ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენები გაქვს მხოლოდ? მაგრამ - არა, მეგობრები, რომლებმაც შენი დაბნეულობის ამბავი კარგად იციან, დაგეხმარებიან. მერე რა, რომ უკვე შვიდი საათია, ოფისი ხუთზე იკეტება, და, კიდევ უფრო, მერე რა, თუ ერიკ ჯონსონი სადმე რესტორანში საქმიან სადილს ესწრება, ან შინ ბავშვებთან თამაშობს? მთავარია, მოინდომო და "გახვიდე" ვაკელ დეიდა ჟენიაზე, რომელმაც მთელი თბილისის ამბები იცის.

- ვიიინ? ერიკ ჯონსონი? ეგ ვინ არის? ა, ჰო, ACCELS-ი და სიყვარული. ხუთ წუთში დამირეკეთ, - გეტყვის დეიდა ჟენია. ხუთ წუთში ურეკავ ეჭვებით: საიდან, როგორ მიაკვლევს ხუთ წუთში ერიკ ჯონსონს? არა, "ცეერუ" კოსმოსიდან კი ილებდა კრემლთან მოსეირნე კაცის ფოტოებს და მერე ხრუშჩოვს კი აგიჟებდა, მაგრამ ჟენია ხო "ცეერუ" არ არის და არც შენ ხარ ხრუშჩოვი? თუმცა, რა საჭიროა ამდენი ეჭვები? მოკლედ, ურეკავ ხუთ წუთში ამ დეიდა ჟენიას და, როგორც გინდა, ისე გაიგე - გეუბნება არა მხოლოდ ერიკ ჯონსონის სახლის მისამართსა და ტელეფონს, მის თვალის ფერსაც კი: "მაღალი, ცისფერთვალება კაცი როა, ხო?" (თუმცა, ეს უკვე შენ ნაკლებად გაინტერესებს). რა ხდება, მერე? მერე მთელი ინგლისურენოვანი დელეგაცია ახტებით მანქანას, მიდიხართ ერიკ ჯონსონთან სახლში და შინ, შვილებთან ბედნიერად მჯდომ კაცს უცნაურ წინადადებას ეუბნებით - "იცით, როცა დავრეკე ოფისში, მითხრეს, ჯერ არ მოუტანიათ ბილეთებიო და ჩვენ თვითონ დაგირეკავთო. მე ველოდებოდი ზარს და ამასობაში, დამავიწყდა, რომ ხუთი საათი გახდა, რომ ოფისი დაიკეტა, რომ მე არავინ დამირეკა და რომ ე.ი. შეიძლება ამ ღამით თვითმფრინავი უჩემოდ გაფრინდეს".

"მშვენიერი, თანმიმდევრული ლოგიკაა", - იფიქრებს ჯონსონი, მაგრამ, ალბათ, იმასაც მიაყოლებს ზედ, რომ ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება უთხრან და, შესაბამისად, შეემთხვეს - "ო, ამ უუცნაურესი ქართველების..." ამას შეიძლება თავისთვის კი ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა მხოლოდ ილიმება და სასაცილო, დამტვრეული ქართულით ამბობს: "მოვკლავ გოგოებს" - გულისხმობს თავის ასისტენტ გოგონებს, რომელთაც ბილეთი არ მოგაწვდინეს. მერე მანქანის გასაღებს იღებს, ოფისში მიგყვებათ და საგულდაგულოდ ჩაკეტილ-ჩაბნელებულ ოთახში, მაგიდაზე მარტოდმარტო დარჩენილ შენს ბილეთებს გაძლევს...

თუმცა, შენ ნუ ინერვიულებ - ასეთი დაბნეული მხოლოდ მე შეიძლება ვიყო. დარწმუნებული ვარ, სხვას მსგავსი ისტორია არ შეემთხვევა და, ბუნებრივია, არც - შენ. ეს იმიტომ მოგიყევი, რომ გაგამხიარულო და დაგარწმუნო, რომ "იქსჩეინჯების" ცხოვრებაში აბსოლუტურად ყველაფერი მოგვარებადია და არაფერზე არ უნდა იდარდო.

მოკლედ, მსგავსი ისტორიით, თუ მის გარეშე, შენი ფრენა აუცილებლად შედგება. ნახევარი საათის წინ ჩაძინებულს (როგორც იქნა, შენი "გუდბაი ფართი" მაინც გაიმართა) შუაღამის სამ საათზე გაგაღვიძებენ (იმიტომ, რომ სტამბულის რეისი ასეთ დიდებულ დროს მიფრინავს), აეროპორტში გაგაქანებენ, მერე შენ და შენს ასევე "იქსჩეინჯ" და ასევე გამოუცდელ თანამგზავრს ბარგს ჩაგაბარებინებენ, გადაგკოცნიან (ყველა სათითაოდ და ყველა ერთმანეთზე უფრო მაგრად - რათა გაგრძნობინონ, რომ სხვაზე უფრო მეტად სწორედ მას მოენატრები) და ზემოთაც აგიშვებენ, იქ საიდანაც შენ და შენისთანები მთელ ერთ წელს აღარ ბრუნდებით უკან.

და ასე - გაურკვეველი დროა - აღარც ღამე, ჯერ არც დღე. ხარ უძინარი, ნაქეიფარი და დგახარ მოგუგუნე თვითმფრინავის ქვეშ. შენები ბედნიერი სახეებით გიქნევენ ხელს, ადიხარ "ტრაპზე", მიდიხარ ერთი წლით და საშინელ გაურკვევლობას გრძნობ - სიამაყე მეასე პლანზე გადადის და, ძირითადად, შიშისმაგვარი გრძნობა გეუფლება: სად მივდივარ, რომ მივდივარ? რა იქნება წინ?

შენი ფიქრები მხოლოდ მომავალს დასტრიალებს - მხოლოდ შენ და შენს მგზავრობას: ტრაპზე ასვლისას, ნაკლებად ფიქრობ შინ დარჩენილებზე, თბილისურ ამბებზე. უფრო შენი "გაცვლითი" ცხოვრება გაინტერესებს. ეს უკვე კარგის ნიშანია. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა დაბნეული იყო, ამ მგზავრობისთვის მაინც მზად ხარ. სტიუარდესა ღიმილით გეუბნება: "კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს თვითმფრინავში". და შენც, რახან ამ მგზავრობისთვის მზად ხარ, ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც ხვდები: ამ კონკრეტულ შემთხვევაში "კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს თვითმფრინავში", ნიშნავს "კეთილი იყოს თქვენი ფეხი ცხოვრებაში". აი, ეს არის შენი მგზავრობის დასაწყისი.... და ცოტა გეშინია... მაგრამ ეს შიში მალე თვითმფრინავის გუგუნში, სტიუარდესას ლაპარაკში ("მჭიდროდ შეიკარით უსაფრთხოების ქამრები...") იკარგება. ერთის გაფიქრებასღა ასწრებ: "ვა, არა, აშკარად მივფრინავ"... და ემოციებისგან დაღლილი უკვე ითიშები, ოღონდ ეს ერთგვარი დაძაბული თიშია - ბოლომდე მაინც ვერ "ეშვები" - წინ ხომ მთელი ცხოვრება გელის...

# პოპ-მუსიკის ლექსიკონი

**ოქროს და პლატინის დისკები**

აშშ-ში ითვლება, რომ დისკი "ოქროსია", თუ მისი გაყიდვებიდან შემოსული თანხა ერთ მილიონ დოლარს აღწევს, ხოლო "პლატინისად" მიიჩნევა, როცა გაიყიდება ერთი მილიონი ეგზემპლარი (დისკის საშუალო ფასი 5-19 დოლარია).

**ჰიტ-პარადი და პოპულარობის ცხრილები**

ჰიტ-პარადი - ეს არის რადიოს ან ტელევიზიის ყველაზე პოპულარული სიმღერების ყოველკვირეული მიმოხილვა. ჰიტ-პარადი დგება ე.წ. პოპულარობის სიების მიხედვით, რომლებიც ეფუძნება მუსიკალურ მაღაზიებში გაყიდული სინგლების ჯამს ერთი კვირის განმავლობაში.

დიდ ბრიტანეთში სინგლების ჰიტ-პარადს დასაბამი 1952 წლის ნოემბრიდან ყოველკვირეულმა New Musical Express-მა დაუდო. 10 წლის შემდეგ ამავე ალბომების ჰიტ-პარადების გამოქვეყნება დაიწყო.

აშშ-ში სინგლების ჰიტ-პარადი ყოველკვირეულმა "ბილბორდმა", ბრიტანელებზე ადრე, 1940 წლის 20 ივლისს გამოაქვეყნა. ხოლო ანალოგიური სიების გამოქვეყნება ალბომებისთვის "ბილბორდმა" მხოლოდ 1963 წლიდან დაიწყო.

რაოდენობრიობის გარდა, სიებს აგრეთვე ჟანრების მიხედვითაც ადგენენ: პოპი, რიტმ-ენ-ბლუზი, ქანთრი, სოული, როკი, ბლუზი და ა.შ.

**ბაბლ-გამი**

ეს არის კევის სახეობა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია ბავშვებში, რადგან მისგან კარგად იბერება ბურთულები. ასევე დაერქვა პოპ-მუსიკის ერთ-ერთ სტილს, რომელიც 60-ანი წლების შუახანებში გაჩნდა ამერიკაში. თავიდან ამ ტერმინში ტელერეკლამების თანმხლები უაღრესად პრიმიტიული, ადვილად დასამახსოვრებული სიმღერები იგულისხმებოდა, რომელთა ტექსტი ხანდახან მხოლოდ ორი ფრაზით შემოიფარგლებოდა. Buddah Records-ის პროდიუსერებმა, ჯერი კასენტეცმა და ჯეფ კაცმა იგივე პრინციპის შოუ-ბიზნესში გამოყენება გადაწყვიტეს და მათ ეს გამოუვიდათ. როგორც ნებისმიერი მოდა, ამ სტილმაც დიდხანს ვერ გაძლო - მხოლოდ ორიოდე წელი იარსება.

**აკაპელა**

სიმღერის ხელოვნება ინსტრუმენტული თანხლების გარეშე. ეს იტალიური სიტყვა ნიშნავს "სიმღერას ეკლესიურ სტილში" თანამედროვე აკაპელა ასოცირებულია 50-ანი წლების მიწურულის და 60-ანის დასაწყისის დუ-ვუპთან და რიტმ-ენ-ბლუზთან.

**არტ-როკი**

მართალია, ამ ტერმინის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ მისი ყველაზე ზუსტი განმარტება "ინტელექტუალური როკი" იქნება. ჩვეულებრივ ამ ტერმინით აღნიშნავენ როკის იმ მიმართულებას, რომელიც კლასიკური ევროპული მუსიკისთვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებს: ტრადიციულ სუიტასთან მიახლოებული მრავალპლანიანი კომპოზიციები, რთული რიტმული სურათები, პაუზების, როგორც მუსიკის შემადგენელი ნაწილის გამოყენება. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, არტ-როკი იმ კომპოზიტორის აზროვნების საშუალება არის, რომელიც კარგად ერკვევა არა მხოლოდ კლასიკაში, არამედ ჯაზშიც და ფოლკლორშიც.

არტ-როკი გაჩნდა დიდ ბრიტანეთში 60-ანი წლების მიწურულს და ფსიქოდელიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

აშშ-ში არტ-როკის ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინს "პროგრესული როკი".

**A.O.R.**

იშიფრება როგორც Album Oriented Rock ან Adult Oriented Rock, რაც უფროს თაობაზე ორიენტირებულ როკს ნიშნავს. ამ ტერმინით ასევე აღნიშნავენ რადიოსადგურებს, რომლებიც კონსერვატიულ მუსიკას გადასცემენ.

# დილანი პირველია



ბობ დილანის Like A Rolling Stone სათავეში ჩაუდგა თანამედროვეობის 500 საუკეთესო როკ-სიმღერას, რომელიც ჟურნალმა "როლინგ სთოუნმა" შემოგვთავაზა. ამავე ნუსხაში, მეორე ადგილი ერგო "სტოუნზების" Satisfaction-ს, ხოლო მესამე - ლენონის Imagine-ს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მუსიკალური ინდუსტრიის ათობით წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ: ფირმა Motown-ის დამაარსებელი (ბერი გორდი), მუსიკოსი არტ გარფანკელი, ჯონი მიტჩელი, ოზი ოსბორნი, ასევე ჯეიკობ დილანი.

პირველ 50-ეულში თითქმის მხოლოდ 70-იანი წლების ნამუშევრები შევიდა. გამონაკლისის სახით შეხვდებით: "ნირვანას" Smells Like Teen Spirit-ს (მე-9 ადგილი) და U2-ს One-ს (36-ე ადგილი); 80-იანი წლები ამ ნუსხაში ერთადერთი სიმღერითაა წარმოდგენილი. ეს კი The Clash-ის London Calling-ია (მე-15 ადგილი). 50-ეულში "ბითლზის" შვიდი კომპოზიციაა შესული.

ბობ დილანის თაყვანისმცემლებს გაუხარდებათ, ბუტლეგების მათი კოლექცია მალე შეივსება ძველი ნამუშევრების ახალი გამოცემით. უახლოეს მომავალში სიეტლში გაიხსნება გამოფენა, რომელიც დილანის ადრეულ წლებს მიეძღვნება; აქ წარმოდგენილი იქნება დილანის პირველი მუსიკალური და პოეტური მცდელობები.

აქვე წარმოდგენილი იქნება მუსიკოსის 1956 წელს ნიუ იორკში გამართული პირველი კონცერტი. ამ ჩანაწერში შესაძლებელი იქნება დიდი ტამბურინის ჟღერადობა; სწორედ ის იყო მუსიკოსის შთაგონების წყარო ცნობილი სიმღერის - Mr Tambourine Man-ის შექმნისას.

"ბი-ბი-სის" ცნობით, გამოფენა მოიცავს მხოლოდ მუსიკოსის ცხოვრების იმ წლებს, როდესაც დილანი საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავიდა, შეხვდა ფოლკის მომღერალს ვუდი გატრის, გამოუშვა ფოლკის ალბომები. გამოფენის ექსპონატებს შორის იქნება დილანის სკოლის დღიური. გამოფენის ქრონოლოგია მთავრდება მასალებით, რომელიც ეძღვნება 1966 წლის ავტოკატასტროფას. აღსანიშნავია, რომ გამოფენისთვის ექსპონატები მუსიკოსის ახლობლებისა და ოჯახის წევრებთან ერთად, კერძო კოლექციონერებმაც გაიღეს. გამოფენა გაიხსნება ახალ მუსზეუმში, რომელიც "მაიკროსოფტის" ერთ-ერთმა დამაარსებელმა (პოლ ალენი) ააშენა. გაისად, სექტემბრიდან გამოფენა მოძრავი იქნება. როგორც დილანის ოფიციალური ვებ-საიტიდან ხდება ცნობილი, ექსპოზიციის მასალები CD ROM-შიც გაერთიანდება. აღსანიშნავია, რომ ამ ვერსიას დილანის კიდევ ორი ადრეული ნამუშევარი დაემატება. კონკრეტულად რომელ სიმღერებზეა საუბარი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
4 დაბადების თარიღი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
2 მისამართი
5 სკოლა
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
6 კლასი
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

ფეხბურთი

# "მილანმა" გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

"არსენალი" კი უკანასკნელი ტურის მოლოდინშია

| | | |
|---|---|---|
| როზენბორგი - პანათინაიკოსი | 2:2 | |
| ეინდჰოვენი - არსენალი | 1:1 | |

| E | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 6-5 | 7 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| როზენბორგი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-8 | 2 |

| | |
|---|---|
| მილანი - შახტარი | 4:0 |
| ბარსელონა - სელტიკი | 1:1 |

| F | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| სელტიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| შახტარი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი - ვალენსია | 1:2 |
| ვერდერი - ინტერი | 1:1 |

| G | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-3 | 11 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| ვალენსია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-14 | 0 |

| | |
|---|---|
| ცსკა - პორტო | 0:1 |
| ჩელსი - პსჟ | 0:0 |

| H | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-1 | 13 |
| პსჟ | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| პორტო | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| ცსკა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-4 | 4 |





*რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, "არსენალმა" ფრე მაინც გაახერხა.*

ლონდონის "არსენალმა" ვერც გუშინდელ, ბოლოსწინა ტურში შეძლო მერვედფინალის საგზურის მოპოვება, რის გამოც ჯგუფიდან გასვლაზე ზრუნვა "როსენბორგის" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში მოუწევს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ "ეინდჰოვენის" წინააღმდეგ გუშინდელ შეხვედრაში მოპოვებული ფრე ლონდონელთათვის დამაკმაყოფილებელი შედეგია. მასპინძელმა "ეინდჰოვენმა" მატჩი აქტიურად დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა პირველივე ტაიმში შეძლეს გათანაბრება: ტიერი ანრიმ თანაგუნდელ ლიუნგბერგთან "კედელი" გაითამაშა და უაღრესად რთული მდგომარეობიდან გაუტანა "ეინდჰოვენს" - 1:1. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა, "არსენალის" საბედნიეროდ... ეს იმიტომ, რომ მეორე ტაიმში მსაჯმა ლონდონელებს ორი ფეხბურთელი, ლორენი (65 წუთზე) და ვიეირა (78), გაუძევა მოედნიდან. ცხადია, 9 კაცის ამარა დარჩენილი "არსენალისათვის" სტუმრად მიღწეული ფრე დიდი წარმატებაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლონდონელები 7 ქულით ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და მესამე ადგილზე მყოფ "პანათინაიკოსს" ერთი ქულით უსწრებენ, მერვედფინალის საგზურის მოპოვების უკეთესი შანსები სწორედ არსენ ვენგერის გუნდს აქვს.

არადა, "პანათინაიკოსს" რომ ცოტა მეტი იღბალი ჰქონოდა, მეორე ადგილზე სწორედ ის იქნებოდა და "არსენალზე" ბევრად უკეთეს მდგომარეობაშიც აღმოჩნდებოდა. ბერძნები გუშინ "როსენბორგს" სტუმრობდნენ და კონსტანტინიუს გოლის წყალობით, უკვე მე-16 წუთზე დაწინაურდნენ. 68-ე წუთზე ჰელსტადმა წონასწორობა აღადგინა, 71-ე წუთზე "პანათინაიკოსელმა" სკეცალმა ბერძნები ისევ დააწინაურა, თუმცა იმავე ჰელსტადმა ანგარიში კვლავ გაათანაბრა. შედეგად, მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა.

შეიძლება ითქვას, რომ F ჯგუფში ყველაფერი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. გუშინდელ მატჩებში "მილანს" და "ბარსელონას" თითო-თითო ქულაც ჰყოფნიდათ, რათა მერვედფინალის საგზურები მოეპოვებინათ. ორივე ამ გუნდმა თავიანთი ამოცანა შეასრულა, "მილანმა" გადაჭარბებით. არადა, დონეცკის "შახტარის" წინააღმდეგ მატჩში "მილანელები" მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში პასიურობდნენ. თითქოსდა, მართლაც მხოლოდ და მხოლოდ საჭირო ერთი ქულისათვის თამაშობდნენ. მაგრამ, მეორე ტაიმში "მილანმა" შემტევი ფეხბურთის თამაში დაიწყო და მისთვის მეტად უჩვეულო, დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. ბრაზილიელმა კაკამ და არგენტინელმა კრესპომ ორ-ორი გოლი გაუტანეს "შახტარს" და "მილანმა" 4:0 მოიგო.

სამაგიეროდ, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი "ბარსელონა" სწორედ პროგრამა მინიმუმით შემოიფარგლა. არადა, მოგების მცდელობა კატალონიელებს მართლაც ჰქონდათ. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ მასპინძლები უტევდნენ, თუმცა უამრავი საგოლე შანსიდან, მხოლოდ სამუელ ეტო`ომ შეძლო ერთ-ერთის გამოყენება. პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე კი "სელტიკელმა" ჰარტსონმა ეს გოლი მოულოდნელად გაქვითა და ანგარიშიც გათანაბრდა - 1:1. მატჩის მეორე ნახევარში სტუმრები საკმაოდ მოხერხებულად იცავდნენ თავს და ანგარიშის შენარჩუნებაც შეძლეს. შედეგად, "მილანიც" და "ბარსელონაც" უკვე გავიდნენ შემდეგ ეტაპზე, გასარკვევი ისღა დარჩა, თუ რომელი დაიკავებს პირველ ადგილს და რომელი გავა მეორეზე.

აი H ჯგუფში კი პირველადგილოსანის ვინაობა უკვე კარგა ხნის გარკვეულია. ლონდონის "ჩელსი" "პარი სენ ჟერმენის" წინააღმდეგ გუშინდელ მატჩში დამარცხების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებდა პირველ ადგილს. ამ შეხვედრის პირველი ტაიმი საკმაოდ გაწონასწორებული, საგოლე მომენტებით ღარიბი გამოდგა. მეორე ნახევარში კი მასპინძლებმა პარიზელებზე ზეწოლა გააძლიერეს და საკმაოდ სახიფათო მომენტებიც შექმნეს მათ კართან. მიუხედავად ამისა, გოლი ვერ გაიტანეს და მატჩი ფრედ 0:0 დაასრულეს. სტუმრად მიღწეული ფრე "პარი სენ ჟერმენს" შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედს უნარჩუნებს.

მერვედფინალში გაღწევის იმედი დაუბრუნდა "პორტოსაც". გუშინდელ დღემდე, ჯგუფში უკანასკნელ საფეხურზე მყოფმა პორტუგალიელებმა, სამხრეთ აფრიკელი ბენი მაკარტის გოლის წყალობით სტუმრად დაამარცხეს მოსკოვის "აცსკ" და 5 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. თუ ვინ იქნება H ჯგუფის მეორე გამარჯვებული, მომდევნო, უკანაკსნელ ტურში გადაწყდება.

# გუშინ: გეგუჩაძე vs პეშეირო
# დღეს: დინამო vs სპორტინგი

მიხეილ აბაიშვილი

დღეს თბილისის "დინამო" უეფას თასის ჯგუფური ტურნირის მესამე მატჩში ლისაბონის "სპორტინგს" უმასპინძლებს და ბოლო შანსის გამოყენებას შეეცდება. ბოლო შანსის, რადგან, თუ "დინამომ" ვერ გაიმარჯვა, რაც, წინდაწინ ვიტყვი, ძალიან ძნელი იქნება, დასკვნით ჯგუფურ შეხვედრას, პრაქტიკულად, აზრიც დაეკარგება. შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ტურნირში "დინამომ" ორი მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა. პირველი საკუთარ მოედანზე ფრანგულ "სოშოსთან" წააგო (0:2). ასეთივე შედეგი დაფიქსირდა ნიუკასლშიც ადგილობრივ "ნიუკასლ იუნაიტედთან". სატურნირო მდგომარეობა "დინამოსთვის" საგანგაშოა: 0 ქულა და ბოლო ადგილი. ამიტომ დღეს გეგუჩაძის გუნდს ერთგვარად ვაბანკზე მოუწევს წასვლა - იძულებული იქნება, თუნდაც, ზურგის მოშიშვლების ხარჯზე, შეტევას მეტი დრო დაუთმოს.

ეს ძალიან კარგად იცის "სპორტინგის" შტაბმა და მისმა მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე პეშეირომ, რომელმაც გუშინ თავისი გუნდი "ლოკომოტივის" სტადიონზე მსუბუქად ავარჯიშა. მანამდე კი მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა.

მედიის ქართული ნაწილის მიმართ პორტუგალიელმა მწვრთნელმა საკმაოდ დიდი უპატივცემულობა გამოიჩინა. მან შენიშვნაც კი მისცა ქართველ თარჯიმანს, რომელიც მისი სიტყვების თარგმნას ლამობდა. როგორც შემდეგ თარჯიმანმა გვითხრა, მწვრთნელს მისთვის უხეშად უთქვამს, მე და პორტუგალიელ ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს ნუ გვიშლიო. პეშეირო მხოლოდ ქართველი ჟურნალისტების ენერგიული პროტესტის შემდეგ მიხვდა, რომ პრესკონფერენცია მხოლოდ მისი თანამემამულე კორესპოდენტებისთვის არ იმართებოდა და თარჯიმანს ნება დართო, თავისი მოვალეობა შეესრულებინა.

ასეთი არცთუ ზრდილობიანი გამოხდომის შემდეგ "სპორტინგის" თავკაცი ადამიან-კომპლიმენტად იქცა და ძალიან ბევრი კარგი რამ თქვა "დინამოზე".

"მე კარგად ვიცი, თუ რა მაღალი კლასის გუნდია "დინამო". გარდა იმისა, რომ ის საუკეთესოა საქართველოში, მას მდიდარი ტრადიციები აქვს და ძალზე პოპულარულია მთელ ევროპაში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთში. ამ გუნდს ევროსარბიელზეც სერიოზული წარმატებები აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია "დინამოს" წარმატებული თამაში უეფას თასის წლევანდელ საკვალიფიკაციო ტურნირში. ჩვენმა ხვალინდელმა მეტოქემ ძლიერი მეტოქეები გამოთიშა და ღირსეულად მოხვდა უეფას თასის ძირითად ტურნირში", - განაცხადა პეშეირომ.

მიუხედავად იმისა, რომ "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი დღევანდელ თამაშში ფავორიტად თავის გუნდს მიიჩნევს, იმასაც ამბობს, რომ მას გამარჯვება ძალიან გაუჭირდება.

"საყოველთაო მოსაზრებით, "სპორტინგი" ფავორიტია და ამ აზრს მეც ვიზიარებ. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ხვალ ურთულესი თამაში გველის. "დინამომ" ორივე ჯგუფური მატჩი წააგო, მაგრამ ეს მის სისუსტეზე ნამდვილად არ მეტყველებს. მე ვნახე "დინამო"-"სოშოს" მატჩის ვიდეოჩანაწერი, რომელიც ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, მეორე ტაიმში "დინამომ" არაერთი საგოლე მომენტი შექმნა. ამ მომენტების ნახევარი მაინც რომ გამოეყენებინა, თამაში მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა. ის ორი მარცხი ქართულ გუნდს შეტევაში აქტიურ თამაშს ავალდებულებს, რის გამოც, დიდი ყურადღება და სიფრთხილე გვმართებს", - თქვა პორტუგალიელმა სპეციალისტმა.

რაც შეეხება მის გუნდს, პეშეიროს თქმით, "სპორტინგი" თითქმის უდანაკარგოდ, საუკეთესო შემადგენლობით ჩამოვიდა თბილისში, რაც წარმატების მოპოვების დამატებით იმედს უსახავს.

"ჩვენ არც ტრავმების, არც დისკვალიფიკაციის გამო სერიოზული დანაკლისი არ გვაქვს. თბილისში 26 ფეხბურთელი ჩამოვიყვანე. საგანაცხადო შემადგენლობას ხვალ დავასახელებ. ერთიორი ფეხბურთელი კი გვყავს ტრავმირებული, მაგრამ ისინი ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებიან. მართალია, პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერთან "ბეირა მართან" ფრედ, 2:2 ვითამაშეთ, მაგრამ ის მატჩი ჩვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა და ძალა დავზოგეთ. "სპორტინგის" ნამდვილი სახე და შესაძლებლობები ხვალ გამოჩნდება", - გვითხრა პეშეირომ და დაგვემშვიდობა.





გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

*"სპორტინგმა" გუშინ ლოკომოტივზე ივარჯიშა.*

დაახლოებით ერთ საათში "ლოკომოტივის" სტადიონს "დინამოს" ავტობუსი მოადგა. მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ, უეფას ფორმატის შესაბამისად და პორტუგალიელი კოლეგის მსგავსად, ვარჯიშამდე წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართა.

"სპორტინგისგან" განსხვავებით, "დინამოს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს, რაც ჩვენს გუნდს უეფას თასის ტურნირის მთელი სეზონის განმავლობაში თან სდევს.

"სამწუხაროდ, ისევ ტრავმებზე და დისკვალიფიკაციებზე მიხდება საუბარი. გრიგალაშვილის, კაშიას და გონჩაროვის თამაში პრაქტიკულად გამორიცხულია. გიორგი ნემსაძე კი შეუდგა გუნდთან ერთად ვარჯიშს, მაგრამ მხოლოდ ხვალ გადავწყვეტთ, გამოვა თუ არა იგი მინდორზე. რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, უეფას ვერდიქტის გამო, ალადაშვილი საერთაშორისო თამაშებში მომდევნო ექვს თვეს ვერ დაეხმარება გუნდს", - განაცხადა გია გეგუჩაძემ.

რაც შეეხება ალადაშვილს, მასზე ცალკე მოგვცა განმარტება "დინამოს" პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ.

"უეფადან მოსული ოფიციალური შეტყობინების მიხედვით, უკრაინისა და საქართველოს ამხანაგური მატჩის დროს ალადაშვილის მიერ მსაჯის მიმართ გამოვლენილი არაეთიკური საქციელის გამო უეფამ ეს ფეხბურთელი ნახევარწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. დისკვალიფიკაცია ვრცელდება როგორც სანაკრებო, ისე საერთაშორიუსო საკლუბო ტურნირებზე. იმის გამო, რომ დარღვევა ნაკრების მატჩზე მოხდა, აპელაციის შეტანა შეეძლო მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და არა თბილისის "დინამოს". აპელაციის ვადა 18 ნოემბერს ამოიწურა. როგორც ვიცი, ფედერაციას ასეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. შევიტყვეთ, რომ ამ საკითხზე დღეს ფიფაც იმსჯელებს და, შესაძლოა, ალადაშვილს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშიც აუკრძალონ. "დინამო" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ასე არ მოხდეს", - განაცხადა სალუქვაძემ.

თუმცა, დავუბრუნდეთ დღევანდელ თამაშს და პრესკონფერენციას. დანაკლისის მიუხედავად, გეგუჩაძე და მისი გუნდი საბრძოლო განწყობაზე არიან.

"გუნდი ჩვეულებრივ რეჟიმში ემზადება. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებთ. საკმაოდ მაღალი კლასის მეტოქე გვყავს და ნათელია, რომ ძალიან რთული თამაში გველის. "სპორტინგის" რიგებში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც მაღალი კლასის ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ. როშენბაკი, უგოვიანა, დუალა... ყველას ჩამოთვლას აზრი არა აქვს. სერიოზული მეტოქეა, ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული, თამაშობს აგრესიულ, შემტევ ფეხბურთს. მისი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება, თუმცა, არა შეუძლებელი, რის დამტკიცებასაც ხვალ შევეცდებით", - იმედიანად დაგვემშვიდობა "დინამოს" მთავარი მწვრთნელი.

ფეხბურთი

# სტივენ ჯერარდი: "ტრავმებს ვერ ვიტან"

სტივენ ჯერარდი იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დღენიადაგ მინდორზე გასვლას ეშურებიან. ასეთი ფეხბურთელი ბევრი არ არის. "ლივერპულის" ნახევარმცველმა ვერ მოახერხა მატჩის გადარჩენა პრემიერლიგის შეხვედრაში "მიდლსბროს" წინააღმდეგ, თუმცა, "ლივერპულის" გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ ჯერარდის დაბრუნება კლუბის წარმატებათა დასაწყისი იქნება.

24 წლის კაპიტანი იმ ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა, რომელიც მან სექტემბერში "ოლდ ტრაფორდზე" მატჩისას მიიღო. კერძოდ, მან ფეხის ცერი მოიტეხა. უეინ რუნისა არ იყოს, ჯერარდსაც ოპერაცია დასჭირდა, რათა თითში სპეციალური სპიცი ჩაედგათ.

"ზუსტად არ მახსოვს, როგორ მოხდა ყველაფერი, - ამბობს სტივენ ჯერარდი, - მინდოდა, ბურთისკენ შევბრუნებულიყავი და რაღაც უჩვეულო ვიგრძენი. თავიდან მეგონა, რომ ჩემს ბუცს "ეკალი" მოსძვრა. ეს მაშინ მოხდა, როცა სხეულის მთელი სიმძიმე ფეხის ტერფზე გადავიტანე. თუმცა, შემდეგ მივხვდი, რომ ტრავმა მივიღე, რადგან სირბილი არ შემეძლო ისე, როგორც საჭირო იყო".

ასეთი ტრავმის შემდეგ საჭიროა, ვარჯიშის დაწყებამდე სრული რეაბილიტაცია მოახდინო. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ტრავმის გართულების დიდი რისკი. სტივენმა ერთი თვე პრაქტიკულად უმოქმედოდ გაატარა. ის ამ პერიოდს ახასიათებს, როგორც უაღრესად მოსაწყენს. ამის შემდეგ ჯერარდმა ვარჯიში დაიწყო და მცირე დატვირთვებს იღებდა. ის ველოტრენაჟორებით ვარჯიშობდა, აუზში ცურავდა და ბურთთან ინდივიდუალურად მუშაობდა.

"ყველაზე მეტად ტრავმებს ვერ ვიტან, - განაცხადა ფეხბურთელმა, - საშინელებაა, თამაშს ტრიბუნიდან ან ტელევიზორში უყურო. მე ხომ გუნდის ერთი ნაწილი ვარ და მინდა, მინდორზე გავიდე. თუმცა, აცუნდრუკებაც არ შეიძლება. იმედი მაქვს, მაისამდე მაინც არაფერი შემემთხვევა".

ჯერარდი ბავშვობიდან "ლივერპულის" ფანი იყო და შემდეგ ფეხბურთის ანაბანასაც კლუბის საფეხბურთო აკადემიაში დაეუფლა. ახლა სტივენ ჯერარდი "ლივერპულის" ნამდვილი გმირი და ნახევარდაცვაში გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა. ის მზად არის, ნებისმიერ სიტუაციაში დაეხმაროს თავისი გუნდის შეტევას. ფანები კი შეძახილებით ამხნევებენ თავის კერპს.

ყოფილი მწვრთნელის, ფრანგ ჟერარ ულიეს ხელში "ლივერპულმა" 2000-2001 წლების სეზონში უეფას თასი მოიგო. ხოლო კლუბში რაფაელ ბენიტესის მოსვლის შემდეგ ბევრი ამტკიცებდა, რომ ჯერარდი ლონდონის "ჩელსიში" გაიყიდებოდა.

უამრავი გულშემატკივრის გასახარად, მწვრთნელმა ფეხბურთელი დაარწმუნა, გუნდში დარჩენილიყო. თუმცა, ბენიტესმა ვერ მოახერხა, ხელი შეეშალა მაიკლ ოუენის "რეალში" გადასვლისთვის. "ოუენის წასვლის შემდეგ, პრაქტიკულად, მარტოდ ვიგრძენი თავი, - შენიშნა ჯერარდმა, - ძალიან მინდოდა, რომ ის დარჩენილიყო და გუნდს ახალ დონეზე ასვლაში დახმარებოდა. თუმცა, მას მოუვიდა წინადადება, რომელზეც უარი ვერ თქვა".



სტივენ ჯერარდმა ტრავმა მოიშუშა.

ამასობაში ჯერარდი უკვე შეეგუა ახალი მწვრთნელის დარიგებებს. "ვფიქრობ, მწვრთნელს უკვე ესმის, რომ მე, როგორც ფეხბურთელი, უკვე ჩამოვყალიბდი, მაგრამ ზრდის პოტენციალი კიდევ მაქვს. ეს მეც კარგად მესმის, - აღნიშნავს ფეხბურთელი, - ასე რომ, ახლა ის ცდილობს, რამდენადმე გამოასწოროს ჩემი თამაშის სხვადასხვა მხარე".

ჯერარდმა თავისი საუკეთესო თვისებები სწორედ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში უნდა აჩვენოს. თუმცა, არც მისი პარტნიორები კარგავენ საკუთარი ძალების რწმენას. "ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ და გვწამს, რომ ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია, - ამბობს ჯერარდი, - ჩვენი მეტოქეები ჩვენს შეუფასებლობაზე არც კი ფიქრობენ".

"უაღრესად კარგი იყო, რომ სამი წლის წინათ უეფას თასი მოვიგეთ. ეს ძალიან პრესტიჟული ჯილდოა ევროპის მასშტაბით და მას დიდი ხნის ისტორია აქვს, - დაამატა სტივენ ჯერარდმა, - თუმცა, ჩემპიონთა ლიგა მაინც ჩემი უპირველესი ოცნებაა".

# კლასიკური "იუვენტუსი"

მარსელო ზალაიეტას გოლმა ტურინის "იუვენტუსს", რომელსაც C ჯგუფში პირველი ადგილი უკვე განაღდებული ჰქონდა, საშუალება მისცა, ზედიზედ მეხუთე მატჩი მოეგო ერთნაირი ანგარიშით - 1:0. ტურინელებმა ამსტერდამის "აიაქსი" დაამარცხეს და რონალდ კუმანის გუნდს მერვედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი მოუსპეს.

"დელე ალპიზე" მატჩამდე ამსტერდამელები სამი ქულით ჩამორჩებოდნენ მეორე ადგილზე მყოფ მიუნხენის "ბაიერნს". ჰოლანდიელებს როგორმე უნდა დაეძლიათ იტალიელთა სანიმუშო დაცვა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ტურნირზე ჯერ გოლი არ გაუშვია. "იუვენტუსი" კი, თავის მხრივ, ალესანდრო დელ პიეროსა და ფაბიო კანავაროს გარეშე თამაშობდა. ისინი მწვრთნელმა დაასვენა. წინა ოთხ ტურში გამარჯვების წყალობით, "იუვეს" ჯგუფში პირველი ადგილი გარანტირებული ჰქონდა. თუმცა, ტურინელები "აიაქსთან" მატჩს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ.

ფაბიო კანავაროს ადგილი დაცვის ცენტრში ურუგვაელმა პაოლო მონტერომ დაიკავა, ხოლო თავდასხმაში ზლატან იბრაგიმოვიჩს მარსელო ზალაიეტა დაუწყვილდა. ჰოლანდიელთა რიგებში კი თამაშობდნენ ნაკლებად გამოცდილი არგენტინელი მაურო როსალესი და 17 წლის რაიან ბაბელი, რომელსაც გაუჩნდა შანსი, ევროთასებზე დებიუტი ჰქონოდა.

მატჩის მეექვსე წუთზე შვედეთის ნაკრების ფორვარდმა ზლატან იბრაგიმოვიჩმა პირველი სახიფათო მომენტი შექმნა სტუმართა კართან. მან თავით დაუგდო ბურთი ალესიო ტაკინარდის. თუმცა, ნახევარმცველმა ცოტათი მაღლა დაარტყა. მე-15 წუთზე "იუვემ" თავისას მიაღწია. მაურო კამორანეზიმ ბურთი მაქსველს წაართვა, ოდნავ წინ წაიწია და დიაგონალურად გადასცა ზალაიეტას. ურუგვაის ნაკრების ფორვარდმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და ანგარიში გახსნა.

"აიაქსი" შეეცადა, მყისვე გაეთანაბრებინა ანგარიში და კინაღამ მიზანსაც მიაღწია. 25-ე წუთზე მასპინძელთა კარიდან 25 მეტრის მოშორებით დაინიშნა ჯარიმა, რომელიც რაფაელ ვან დერ ვაარტმა დაარტყა. ამას წინათ მან ტრავმა მოიშუშა. ვან დერ ვაარტის დარტყმა ჯანლუიჯი ბუფონმა შესანიშნავი ნახტომით მოიგერია - მარცხენა კუთხიდან ჩამოხსნა ბურთი და საკუთარი გუნდი გოლისგან იხსნა.

კუმანის გუნდი შეეცადა, "იუვეს" დაცვაში როგორმე ვაკუუმი მოეძებნა, მაგრამ ფაბიო კაპელოს ფეხბურთელები თავდაჯერებულად თამაშობდნენ. პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე იტალიელებმა მორიგი კონტრშეტევა განახორციელეს. ნედვედი ტრაბელსს გაექცა და გადასცა ზალაიეტას, რომელმაც, თავის მხრივ, იბრაგიმოვიჩი მოძებნა. შვედმა ძალიან ძლიერად დაარტყა და ბურთი ტრიბუნებისკენ გაუშვა. იქვე პაველ ნედვედმა კინაღამ მეორე გოლი გაიტანა "აიაქსის" კარში, მაგრამ ამჯერად ფორტუნა ჰოლანდიელთა მხარეზე აღმოჩნდა. "იუვემ" მაჟორულ ნოტზე დაასრულა ტაიმი.

შესვენების შემდეგ მასპინძლები აგრძელებდნენ ზეწოლას მეტოქის კარზე. იბრაგიმოვიჩმა და ნედვედმა არაერთი პრობლემა შეუქმნეს ამსტერდამელებს. 50-ე წუთზე ნედვედმა გამჭოლი გადაცემა გააკეთა ფლანგიდან, მაგრამ ემერსონი, რომელიც დასარტყმელ პოზიციაზე იყო, ბურთს ვერ მისწვდა.

"აიაქსს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო. ნურდინ ბუხარიმ გარლვევაზე გაიყვანა ახალგაზრდა ბაბელი, მაგრამ მას გამოცდილება არ ეყო და ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. კუმანი შეეცადა, თამაში გამოეცოცხლებინა და მინდორზე კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რუმინელი ნიკოლაე მიტიუ შეუშვა. ამავე დროს ნედვედმა დასარტყმელ პოზიციაზე კიდევ ერთხელ დატოვა ემერსონი. ბრაზილიელმა ჰავბექმა კარგად დაარტყა, მაგრამ მაქსველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ორივე გუნდის მწვრთნელმა ამის შემდეგ რამდენიმე ცვლილება განახორციელა. "იუვეს" რიგებში კამორანეზისა და იბრაგიმოვიჩის ნაცვლად მინდორზე რუბენ ოლივეირა და ოლივიე კაპო გამოვიდნენ. კუმანმა კი გადაწყვიტა, ბრძოლაში უესლი სნაიდერი ჩაერთო. მან ჰაიჯელ დე იონგი შეცვალა. შედეგად, "აიაქსმა" ზედიზედ მეორედ ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ბარიერის დაძლევა, რადგან მიუნხენის "ბაიერნმა" საკუთარ მინდორზე ისრაელის "მაკაბი" - 5:1 გაანადგურა.

# კაცი მორიელი კოკაინზე ჩავარდა

რენე იგიტას სახელი კარგადაა ცნობილი ფეხბურთის და არა მარტო ფეხბურთის მოყვარულთათვის. ის უჩვეულო თამაშის მანერითა და ასევე უჩვეულო ცხოვრების წესით გამოირჩევა.

ახლახან კოლუმბიელი მეკარე დოპინგ-კომისრებმა ტესტირებაზე იხმეს და... კოკაინიც აღმოუჩინეს. ერთი სიტყვით, ჩავარდა. ტესტირების ჩაგდების გამო იგიტას დისკვალიფიკაცია არ ასცდება. ასე რომ, მის გულშემატკივრებს ტყუილად აქვთ იმედი, რომ ქვეყნის ჩემპიონატში მას კარში ჩამდგარს ნახავენ.

მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არავის უკითხავს: დედა, ეს რა მოსვლიაო. 37 წლის კოლუმბიელისთვის ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ნარკოტიკის მოხმარებისთვის გამოიჭირეს.

დაახლოებით ორი წლის წინათ, როდესაც ასევე დოპინგზე შეამოწმეს, დადებითი შედეგი მიიღეს, თუმცა, ბოლომდე არც დოპინგ-კომისრებს სჯეროდათ, რომ რენე იგიტა კოკაინს ეტანებოდა. უფრო სწორად, ამბობდნენ: ტესტირება, ალბათ, იმიტომ ჩააგდო, რომ უნდოდა, ასე აღენიშნა 36 წელიო.

და მაინც, რატომაა რენე იგიტას სახელი ასე პოპულარული. 1990 წელს, როდესაც იტალიამ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, იგიტა ტიფოზთა ყურადღებას იპყრობდა არა მარტო თავისი იმპოზანტური გარეგნობით, არამედ იმითაც, რომ საკუთარი საჯარიმოს მიღმა ბურთით ექსცენტრულ რეიდებს ასრულებდა. კულმინაცია კი გამოდგა კამერუნისა და კოლუმბიის მატჩი, როდესაც იგიტას ჟონგლიორობამ სამხრეთამერიკელები მსოფლიო თასს მიღმა დატოვა. მხედველობაში გვაქვს ძალზე ცნობილი ეპიზოდი, როდესაც კამერუნელმა როჟე მილამ ბურთი აართვა მეტოქის ნახევრისკენ დაძრულ რენე იგიტას და კოლუმბიის ცარიელ კარში შეაგდო. მართალია, მაშინ კოლუმბიის ნაკრებს იგიტას გამოხდომა აპენინების დატოვებად დაუჯდა, მაგრამ ექსცენტრული კოლუმბიელი თავისას მაინც არ იშლიდა. ამ მხრივ საარაკო გამოდგა ამხანაგური მატჩი ინგლისთან, როდესაც კოლუმბიელმა თავისი საფირმო, "მორიელის" ურთულესი მოძრაობით კარისკენ მქროლავი ბურთი ქუსლებით მოიგერია.

...იგიტას ციხის კარიც შეუღია. ის ადამიანების გატაცებაში იყო ბრალდებული. კოლუმბიელ მაფიოზებთან მის კავშირზე ხომ ზედმეტია საუბარი.



იგიტა მორიგ სკანდალში გაეხვა.

# ეგაა წმინდანი?

გიგა გურასაშვილი

*თუ ინგლისელი ფეხბურთელი რაიმე შარში გაეხვა, როგორც ხშირად ხდება, აურზაურის მიზეზი სასმელია ხოლმე. ახლაც ასეთ სკანდალთან გვაქვს საქმე. სკანდალის გმირია კლუბ "საუთჰემპტონის" ლიდერი ჯეიმს ბიტი, რომელსაც ერთ ჩვეულებრივ ინგლისურ პაბში მეგობრებთან ერთად შეუვლია...*

პაბის მეპატრონემ კლიენტები დაინახა თუ არა, კარი შეუღო ბარისკენ, მიიპატიჟა - რას ინებებთო. სტუმარმასპინძლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე წუთში მასპინძელმა თავში ხელი წაიშინა: ეს ვინ შემოვუშვი, რატომ არ შევამოწმე, ანუ, როგორც ამბობენ, ფეისკონტროლზე არ გავატარეო.

ის იყო, საუთჰემპტონელი და მისი თანამეინახენი ქეიფის ეშხზე მოვიდნენ, რომ კარისკენ მიუთითეს. მაგრამ არა უმიზეზოდ. როგორც ამბობენ, გამომწვევად იქცეოდნენ და პაბის კეთილსინდისიერ სტუმრებს აფრთხობდნენ. როდესაც გადაამლაშეს, ბიტსა და კომპანიას თავაზიანად სთხოვეს: უკაცრავად, მაგრამ აქაურობა დატოვეთო. მაგრამ თურმე სად ბანაობ?! ჩვენ სულ ახლა დავიწყეთ ქეიფი და უკვე გვყრითო? - უკითხავთ გაბრაზებულებს. განსაკუთრებით უკმაყოფილო ბიტი ყოფილა - როგორ მიბედავთო და, მეპატრონისთვის კექსი უსვრია. მასპინძელს უთქვამს: რას აკეთებთ, ასე ხომ ნორმალური ადამიანები არ იქცევიანო. მაგრამ ბიტს მისთვის ყური არ უთხოვებია და ამაყად მიუხლია: "დანარჩენებისგან განსხვავებით, მე შემიძლია, საკუთარ თავს ამის უფლება მივცე, რადგან კვირაში 15 ათას ფუნტს გამოვიმუშავებო".

...როდესაც ბარის მფლობელები მიხვდნენ, რომ ახალგაზრდების დაშოშმინება იოლი არ იქნებოდა და მათზე არც ტკბილი სიტყვა გაჭრიდა, პოლიციას უხმეს - არიქა, ეს გიჟი აქედან მოგვაშორეთო. სანამ პოლიცია მოვიდოდა, ბიტი ხელჩართულ ჩხუბში გადაეშვა და პაბის მმართველს სათვალე დაუმსხვრია.

..."საუთჰემპტონის" მოთამაშე სატუსაღოში არ წაუყვანიათ, თუმცა, საქმე ამით არ დამთავრებულა. ამბობენ, ამ ამბავთან დაკავშირებით რაღაც ზომებს მიიღებს თავად საფეხბურთო კლუბიო. რას - ჯერ უცნობია. ალბათ, დატუქსავენ: თავს რატომ გვჭრიო. აი, პაბის მეპატრონე კი საგონებელშია ჩავარდნილი და არ იცის, რა იღონოს. საერთოდ, ღირს კი, იმ თავქარიანს ვუჩივლოო?

"იმ საღამოს ჯეიმს ბიტი ძალიან საშიში იყო. ახლა არც კი ვიცი, რა ვიღონო", - საგონებელშია მეპატრონე.

საგულისხმოა, რომ "საუთჰემპტონის" მოთამაშეები ინგლისში ოდითგან "წმინდანთა" სახელით იწოდებიან. კლუბი კი 1885 წელს წმინდა მერის ეკლესიის მრევლს დაუარსებია.

ახლა კითხულობენ, ჯეიმს ბიტია წმინდანიო?

## TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 25 ნოემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "INDIANA PACERS" - "DALLAS MAVERICKS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ცსკა - "პორტუ"
14:15 ჩემპიონთა ლიგა. პსვ - "არსენალი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა" - "სელტიკი"
18:20 ჩემპიონთა ლიგა. "ვერდერი" - "ინტერი". შესვენებისას (19:05) - თავისუფალი დარტყმა
20:25 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
22:25 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:05 "FUTBOL MUNDIAL"
23:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:35 თავისუფალი დარტყმა
00:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:40 02:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბილ რასელი
03:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "MILWAUKEE BUCKS" - "NEW YORK KNICKS"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 18:00 პრესცენტრი
10:20, 18:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჰოკეი. ქალები. ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი
11:15 "თოვლიანი სამყარო". ტელეჟურნალი
11:45 "სპორტის აკვატორია"
12:15 "სპორტისიმო"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ლათინოამერიკული პროგრამა
14:45 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour ავსტრიაში. ფინალები. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
18:20 სახვალიო ტელეპროგრამა
18:30 "ჰოკეი-პლუს"
18:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
19:15 "მოტოვებული კვირა"
20:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
20:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "DETROIT LIONS" - "INDIANAPOLIS COLTS". პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
00:20 ახალი ამბები
00:35 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:05 "ჰოკეი-პლუს"
01:20 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
10:30 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი ლატვიაში
11:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ჩილეში
11:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი
13:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
15:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპის სპეციალური მიმოხილვა
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა

# მაინც რა ღირს ჯანმრთელობა

ამირან გამყრელიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*ჯანმრთელობა განისაზღვრება როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა მარტო დაავადებებისა და უძლურების არარსებობა. ჯანმრთელობა, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული კეთილდღეობის ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა პირადი უსაფრთხოება, ადეკვატური შემოსავალი, საცხოვრებელი, სოციალური მხარდაჭერა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და სხვ. ამ ფაქტორებს შორის არსებული ურთიერთობები ძალიან რთულია და მათ უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებიდან უდიდეს ზემოქმედებას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი (48-50%), შემდეგ მოდის გარემო (20-22%) და გენეტიკური (18-20%), მაშინ როდესაც თვითონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის წილი მხოლოდ 12-14%-ია. მნიშვნელოვანია შეფასდეს რა ღირს საზოგადოებას ჯანმრთელობა და როგორია მისი ფასი, რას ნიშნავს ჯანმრთელად ყოფნა, როგორ შეფასდება თავად სიცოცხლე.*

## სამი ჯგუფი

ჯანდაცვის განვითარების დონე, ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორები (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა და სხვ.) და სამედიცინო დახმარებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

შედარებისათვის განხილულ იქნა ქვეყნების სამი ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი: მაღალგანვითარებული (I ჯგუფი), აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური (II ჯგუფი) და ყოფილი საბჭოთა კავშირის (III ჯგუფი) 10-10 ქვეყანა. მსოფლიოს მასშტაბით, ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე გათვლით დაახლოებით 500 აშშ დოლარს შეადგენს.

მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები ყველაზე მაღალია მსოფლიოში და 15155 მილიონიდან (ნორვეგია) 1447936 მილიონამდე (აშშ) მერყეობს. ჯანდაცვაზე ყველაზე მეტს ხარჯავს ამერიკის შეერთებული შტატები (1448 მილიარდი დოლარი), მეორე ადგილზეა იაპონია (318 მილიარდი დოლარი), თუმცა ის 4,5-ჯერ ჩამორჩება ამერიკის დანახარჯებს. შესაბამისად, მაღალია ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის დანახარჯები (2981-დან - 4887 დოლარამდე), აქაც ლიდერობს აშშ. იმისდა მიუხედავად, რომ შვეიცარია ჯანდაცვაზე ხარჯავს 28 მილიარდ დოლარს, ხოლო საფრანგეთი 135 მილიარდს, ამ უკანასკნელის დანახარჯები ერთ სულზე (2109 დოლარი) 1,8-ჯერ ჩამორჩება შვეიცარიის დანახარჯებს (3774 დოლარი). ამ ჯგუფში ყველაზე დაბალი დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე აქვს ავსტრალიას (1741 დოლარი).

აღმოსავლეთ ევროპაში, ქვეყნის განვითარებისდა მიხედვით, ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები სხვადასხვაა - 174 მილიონი აშშ დოლარიდან (ალბანეთი) 11448 მილიონ აშშ დოლარამე (პოლონეთი). მეორე ადგილზე მყოფი ჩეხეთი თითქმის 2-ჯერ ნაკლებს ხარჯავს ვიდრე პოლონეთი. თუმცა, ჯანდაცვის დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალია სლოვენიაში - 821 აშშ დოლარი (ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები 1773 მილიონი აშშ დოლარი), ხოლო პოლონეთში 289 აშშ დოლარს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე ცოტას ამ ჯგუფის ქვეყნებში ხარჯავს ალბანეთი - 48 აშშ დოლარი.

საბჭოთა კავშირში თითქოსდა მატერიალურ-ეკონომიკურად "თანაბარი" განვითარების რესპუბლიკები, სადაც ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები მთლიანი სახელმწიფო დანახარჯების დაახლოებით 10-13%-ს შეადგენდა, ანუ დაახლოებით 120-130 აშშ დოლარის ექვივალენტს, ერთ სულ მოსახლეზე (თუმცა მაშინდელი ციფრების მსყიდველობითი უნარის პირდაპირი ტრანსფორმირება და შესაბამისობაში მოყვანა დღევანდელ რეალობასთან რთულია და საქართველოში 1987, 1988, 1990 წლებში ჯანდაცვაზე დანახარჯები შესაბამისად იყო 360, 389 და 479 მილიონი მანეთი), დამოუკიდებლობიდან 10-15 წლის შემდეგ სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდნენ. ეს განსხვავება კარგად ჩანს ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში, რომელიც დღეს 11 დოლარიდან (აზერბაიჯანი) 226 დოლარის (ესტონეთი) ფარგლებში მერყეობს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, სკანდინავიის ქვეყნების მხრიდან დიდი დახმარებისა და ყურადღების გამო, ჯანდაცვის სისტემები სწრაფად ვითარდება და საგრძნობლად მაღალი დანახარჯებია ამ ჯგუფის სხვა ქვეყნებთან შედარებით (200 დოლარზე მეტი). თვით რუსეთიც კი მხოლოდ 115 დოლარს ხარჯავს. ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები ყველაზე მაღალია რუსეთში (18712 მილიონი აშშ დოლარი), ყველაზე დაბალი კი აზერბაიჯანში (97 მილიონი აშშ დოლარი), მეზობელ სასომხეთში კი იხარჯება 185 მილიონი აშშ დოლარი. საქართველოს დანახარჯები ყოველწლიურად იზრდება და ამჟამად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 120 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, (Tacis-ს მონაცემებით - 350 მილიონ აშშ დოლარი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით - 320 მლნ ლარი ანუ 160 მილიონი აშშ დოლარია), რაც ერთ სულ მოსახლეზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 22 დოლარი, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს გათვლებით 37 აშშ დოლარია (1994 წელს კი სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულზე წელიწადში იყო 0,40-0,81 დოლარი), თუმცა როგორც აღვნიშნეთ აქედან სახელმწიფო დანახარჯი ძალზედ მცირეა და შეადგენს 9 დოლარს.

დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და კანადის სკანდინავიის ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდამდე ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება ხორციელდებოდა სახელმწიფო საერთო შემოსავლებით. კომუნისტური სისტემის რღვევის შედეგად ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ჩეხეთში (1991 წლიდან), ხორვატიაში, ესტონეთში, უნგრეთში (1992 წლიდან), სლოვაკიასა და სლოვენიაში ჯანდაცვის დაფინანსება უპირატესად სავალდებულო სოციალური სამედიცინო დაზღვევის საშუალებით ხორციელდება. ალბანეთში, ყაზახეთში, ლატვიაში, მოლდავეთში, პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთში კი საერთო საგადასახადო შემოსავლებით. სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და ტაჯიკეთში, მიუხედავად სამედიცინო დაზღვევის სქემების (როგორც სავალდებულო ისე ნებაყოფლობითი) თანდათანობითი დანერგვისა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ჯანდაცვის საერთო ხარჯებში დიდი წილი უკავია პაციენტის პირდაპირ გადახდებს, განსაკუთრებით არალეგალურს.

სამივე ჯგუფში ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში სახელმწიფო წილი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჭარბობს კერძო დანახარჯებს. მსოფლიოს მასშტაბით, ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში სახელმწიფო დანახარჯების წილი შეადგენს 55,7%-ს. სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის დაფინანსებაში ყველაზე მაღალია ჩეხეთში (91,4%), ნორვეგიაში (85,5), შვედეთსა (85,2) და ინგლისში (82,2%) [13].

ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში სახელმწიფო და კერძო სექტორის წილი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის მთავარია საზოგადოებაში არსებული ფასეულობები, პრიორიტეტები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე. უმრავლეს ქვეყნებში, რაც უფრო დიდია მშპ, მით მეტია სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში. გარკვეული გამონაკლისია აშშ და შვეიცარია, სადაც კერძო დაფინანსების სისტემა ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ ქვეყნებში მოსახლეობის პირადი შენატანების უმთავრესი ნაწილი კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიებში იყრის თავს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის შემოსავლები დიდია, ჯანდაცვის სისტემა საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპზე ვითარდება და ჯანდაცვის ხარჯების უმეტეს ნაწილს სახელმწიფო იხდის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით ან სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემების საშუალებით.

მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში გამონაკლისს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სახელმწიფო (44,4%) და კერძო დანახარჯების (55,6%) წილი თითქმის თანაბარია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბოსნია (38,3%) და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველო (37,8% ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ანგარიშობს 20-25%-ს) და სასომხეთი (41,2%).

დიდია სახელმწიფო ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე დანახარჯების წილი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. აშშ ხარჯავს - 17,6%-ს, ავსტრალია - 16,8%, გერმანია - 16,6%-ს, ყველაზე ცოტას შვედეთი (13%), რაც დღესდღეობით საქართველოსთვის საოცნებო ციფრია (მათთან შედარებით ჩვენი ქვეყანა ხარჯავს 2-2,5 ჯერ ნაკლებს). მსოფლიოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროცენტულად ყველაზე მეტს ხარჯავს არაბეთის გაერთიანებული ემირატები - 32,3%-ს, რაც ერთ სულ მოსახლეზე 698 დოლარია, ანდორა - 26,3%-ს (ერთ სულ მოსახლეზე 875 დოლარი), არგენტინა - 21,3% (363 დოლარი), მოზამბიკი - 18,9%-ს (32 დოლარი).

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დანახარჯების ზედა და ქვედა ზღვარი თითქმის თანაბარია და შესაბამისად 7,3%-დან (ალბანეთი) - 15,9%-მდე (რუმინეთი) და 6,2%-დან (საქართველო) - 14,2%-მდე (ბელორუსია) მერყეობს, საგრძნობლად განსხვავდება ამ ჯგუფების მიერ ერთ სულ მოსახლეზე გაწეული დანახარჯები: აღმოსავლეთ ევროპაში 31 აშშ დოლარიდან (ბოსნია, ალბანეთი) - 615 დოლარამდე (სლოვენია), ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 9 დოლარიდან (საქართველო, აზერბაიჯანი) - 176 დოლარამდე (ესტონეთი). ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯები 2-ჯერ აღემატება რუსეთის მიერ გაწეულ დანახარჯებს, არაფერს ვამბობთ სამხრეთ კავკასიისა და აზიის რესპუბლიკებზე. სამივე ჯგუფში საქართველო ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე დანახარჯების წილით და ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფო დახარჯებით ბოლო ადგილზეა. თუმცა, ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისა და სამედიცინო დაზღვევის შემოღებასთან ერთად აღინიშნება ჯანმრთელობაზე სახელმწიფო დანახარჯების ყოველწლიური ზრდა, მართალია, უკიდურესად მცირე, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ამ პრობლემისადმი მიდგომის რადიკალური შეცვლა, ძირითადად, პოლიტიკური საკითხია.

## დაფინანსების ზრდა

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება ჯანდაცვის სისტემაზე გაწეული დანახარჯების მკვეთრი ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური აღმავლობის პირობებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, სამედიცინო დაწესებულებების ქსელის გაფართოებით, რამაც ამ ქვეყნებში შედეგად მოიტანა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ძირითადი დაავადებების კონტროლი, სამედიცინო დახმარებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა და ა.შ.

ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში წლების მიხედვით ასეთია (იხ. ცხრილი N1).

მსოფლიოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების უმეტესი წილი სტაციონარულ მომსახურებაზე (საშუალოდ 30%-დან-45%-მდე), ამბულატორიულ მომსახურებასა (საშუალოდ 20%-დან-35%-მდე) და მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე (საშუალოდ 10%-დან-25%-მდე) მოდის. სტაციონარულ მომსახურებაზე დანახარჯი მაღალია როგორც მაღალშემოსავლიან, ისე საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში 1990-2002 წლებში ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში საავადმყოფოების პროცენტული წილი 34,5%-დან 28,1%-მდე შემცირდა. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია სტაციონარულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, რაც ჯერ კიდევ სოციალისტური წყობის ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითისათვის, 1992 წელს ტაჯიკეთი ხარჯავდა 78,8%-ს, რუსეთი - 73,6%-ს, ბულგარეთი 60%-ს. აღინიშნება ქვეყნების უმეტესობაში ამბულატორიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები ჩამორჩება სტაციონარულ მომსახურებაზე გაწეულს. სამკურნალწამლო საშუალებებზე დახარჯული თანხები ყოველწლიურად მიახლოებით 1,4-ჯერ იზრდება. ფარმაცევტული დანახარჯების პროცენტული წილის მიხედვით, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ლიდერობს საქართველო - 45%.

## სამკურნალწამლო საშუალებები

მსოფლიოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯებიდან 15,1% სამკურნალწამლო საშუალებებზე მოდის. გლობალური ფარმაცევტულ ბაზარზე სამკურნალწამლო საშუალებების გაყიდვა 2003 წელს წინა წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა და 466,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჩრდილოეთ ამერიკაში გაყიდვებმა შეადგინა მთლიანი გაყიდვების 49% (229,5 მილიარდი დოლარი), ევროგაერთიანებისამ (15 ქვეყანა) კი - 25% (115,4 მილიარდი დოლარი), 11% (52,4 მილიარდი დოლარი) მოდის იაპონიაზე, ხოლო 12% კი (54,7 მილიარდი დოლარი) აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე.

გაყიდვებში თერაპიული კლასების მიხედვით ლიდერობს ქოლესტეროლისა და ტრიგლიცერიდების დამწევი საშუალებები - (26,1 მილიარდი დოლარი ანუ 6%), წყლულისსაწინააღმდეგო პრეპარატები (24,3 მილიარდი დოლარი ანუ 5%), ანტიდეპრესანტები (19,5 მილიარდი დოლარი ანუ 4%) და ა.შ. 10 წამყვანი პროდუქტის გაყიდვით შემოსულმა თანხამ 48,3 მილიარდი დოლარი შეადგინა, მათ შორის პირველი ადგილზე იყო ლიპიტორი (10,3 მილიარდი დოლარი), ხოლო მას მოსდევდა ზოკორი (6,1 მილიარდი დოლარი).

## ყველაზე ძვირი დაავადებები

მაღალია განვითარებული სახელმწიფოების დანახარჯები დაავადებათა ძირითადი კლასების მკურნალობასა და პრევენციაზე. გულსისხლძარღვთა დაავადებებზე, რომლებიც სიკვდილიანობის 10 წამყვან მიზეზებს შორის პირველია, მთელ მსოფლიოში წელიწადში იხარჯება, დაახლოებით, 640 მილიარდი დოლარამდე, აშშ-ში 330 მილიარდ დოლარამდე (2002), ინგლისში გულის იშემიურ დაავადებებზე იხარჯება 8,08 მილიარდი ფუნტი ანუ 14,5 მილიარდი დოლარი (2002), სამხრეთ აფრიკაში - 350-დან 470 მილიონ დოლარამდე (2003).

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის გათვლებით დიაბეტზე მსოფლიოში იხარჯება მიახლოებით 213 მილიარდი დოლარი, აქედან მარტო ამერიკა ხარჯავს 132 მილიარდს (2002), 2025 წლისათვის ნავარაუდევია, რომ დიაბეტზე დაიხარჯება მსოფლიოს ჯანდაცვის ბიუჯეტის 7%-დან - 13%-მდე, ხოლო მაღალი დაავადებიანობის მქონე ქვეყნებში დახარჯავენ თავიანთი ბიუჯეტების 40%-ს, აშშ დახარჯავს 300 მილიარდ დოლარს. სიმსუქნეზე, რომელიც მე-10 ადგილზეა ავადობის ტვირთის (DALY) მიხედვით 10 ძირითად რისკ-ფაქტორს შორის, ამერიკა ხარჯავს 138 მილიარდს (2002), ევროპა - ჯანდაცვის დანახარჯების 2-7% (1998), კანადა 2,4%-ს, ავსტრალია და საფრანგეთი 2%-ს, ინგლისში იხარჯება 2,6 მილიარდი ფუნტი ანუ 4,7 მილიარდი დოლარი (1998).

ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებებზე, რომელიც მეხუთეა სიკვდილიანობის წამყვან მიზეზებს შორის და 2020 წლისთვის სავარაუდოდ მესამე ადგილზე გადაინაცვლებს, ევროპაში ამერიკაში იხარჯება 70,8 მილიარდი (2002წ) დოლარი, ხოლო ევროპაში 38,7 მილიარდი. ასთმაზე (დაავადებულია მთლიანი პოპულაციის 4-12%) მსოფლიოში იხარჯება 30 მილიარდი ანუ მთლიანი ჯანდაცვითი დანახარჯების 1% (14 მილიარდი დოლარი), ევროპაში - 17,7 მილიარდი, ხოლო ამერიკაში - ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების 1%. ალერგიულ დაავადებებზე, რომელიც აღინიშნება მთლიანი პოპულაციის 35%-ში მსოფლიოში, იხარჯება 23 მილიარდი დოლარი (ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების 0,7%). ევროპა პნევმონიაზე ხარჯავს 10,1 მილიარდს, ხოლო ტუბერკულოზზე - 2,1 მილიარდ დოლარს და ა.შ.

## პრევენციის მნიშვნელობა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მაკროეკონომიკური და ჯანმრთელობის კომისიის რეკომენდაციით მოსახლეობის ჯანმრთელობას დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, ამიტომ ჯანმრთელობაზე გაწეული დანახარჯები წარმოადგენს გაცილებით უფრო შედეგიან ინვესტიციას, ვიდრე სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. ცნობილია, რომ კავშირი კარგ ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის რამდენიმე ურთიერთგადაჯაჭვული მექანიზმით ხორციელდება: ჯანმრთელ მუშახელს აქვს შრომის მაღალი ნაყოფიერება; იმ ადამიანებს შორის, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალია საკუთარი ინვესტიციებისა და დანაზოგების მაჩვენებელიც; ჯანსაღი ბავშვები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ სწავლაში; უმჯობესდება საწარმოთა წარმადობა; იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ვითარდება ტურიზმი. ასევე, მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ცვლილებები, რადგანაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას მივყავართ სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებისკენ. დაბალშემოსავლიანმა ქვეყნებმა მაღალშემოსავლიან ქვეყნებთან პარტნიორობით უნდა გაზარდონ ღარიბი მოსახლეობის აუცილებელი სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა.

ამავე დროს, გათვითცნობიერებულ უნდა იქნეს ისიც, რომ ცუდი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვან ტვირთად აწვება ღარიბ მოსახლეობას და გარდამავალი სიღარიბისკენ უბიძგებს "შეძლებულთა" მნიშვნელოვან ნაწილსაც. რომ ცუდი ჯანმრთელობა და სიღარიბე მიზეზ-შედეგობრივადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფი ადამიანისათვის არსებობს გაღარიბების უფრო მეტი შესაძლებლობა, ხოლო ღარიბები განეკუთვნებიან ავადმყოფობისა და ინვალიდობის მიმართ უფრო მოწყვლად ჯგუფებს. ამიტომ მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ავადობითა და სიკვდილიანობით განპირობებული პირდაპირი და არაპირდაპირი დანაკარგების შემცირება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას.

დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯანმრთელობის ბიუჯეტი არ არის საკმარისი ჯანმრთელობის პრობლემების დასაძლევად. მინიმუმ 30-40 აშშ დოლარია აუცილებელი ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად. ეს მინიმალური და აუცილებელი თანხა უნდა დაიფაროს უმეტესწილად ქვეყნის ბიუჯეტიდან და ნაკლებად - კერძო სექტორიდან, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის თანაბარი და მინიმალური ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებისადმი. დღევანდელი ხარჯები კი, კერძოდ საქართველოში, გაცილებით უფრო დაბალია.

## ხელმისაწვდომობა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში დაწყებული გარდაქმნების შედეგად პრაქტიკულად გადაწყდა სამედიცინო მომსახურებისა და წამლებისადმი ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა, ანუ დღეს საქართველოში ფიზიკურად ხელმისაწვდომია თითქმის ნებისმიერი სამედიცინო დახმარებისა თუ მკურნალობის მეთოდი და სამკურნალწამლო საშუალება. დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დგას ჯანდაცვის სამსახურებისადმი ეკონომიკური ხელმისაწვდომობისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემა. ამის მოსაგვარებლად არცთუ ისე უმტკივნეულო ნაბიჯებია გადასადგმელი, რომელიც გამოიხატება შეზღუდული ფინანსური რესურსების ხარჯთეფექტურობის გაზრდისათვის მათ მაქსიმალურ ფოკუსირებაში და არსებული ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ოპტიმიზაციაში, სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო სქემების მნიშვნელოვან ხელშეწყობაში.

## სიღარიბე

დასამალი არ არის, რომ როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ისე სიღარიბე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვისაც. უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე საქართველოში, ისევე როგორც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, აღინიშნა სიღარიბის მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლიდან სახელმწიფო დანახარჯები დაახლოებით 20-ჯერ გაიზარდა და 2003 წელს ერთ სულ მოსახლეზე 18,93 ლარი შეადგინა, ის მაინც ძალზედ მცირეა და კონსოლიდირებული ბიუჯეტის 6,2%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ს არ აღემატებოდა. 2004 წელს ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები შეადგენს 101,8 მლნ. ლარს (იხ. ცხრილი N2).

## რეალისტური და ოპტიმისტური

2003 წელს დამტკიცებული "საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის" მიხედვით საქართველოს ეკონომიკური განვითარების რეალისტური სცენარით გათვალისწინებულია მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურად საშუალოდ 5%-იანი, ხოლო ოპტიმისტური სცენარით - 8%-იანი ზრდა. რეალისტური სცენარის განხორციელების შემთხვევაში ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები 2005 წელს 157 მლნ. ლარამდე, 2010 წელს - 525 მლნ. ლარამდე, ხოლო 2015 წელს - 930 მლნ. ლარამდე გაიზრდება, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 2005 წელს დაახლოებით 32 ლარის, 2010 წელს - 105 ლარის, ხოლო 2015 წელს - 186 ლარის ტოლი იქნება. ქვეყნის ეკონომიკის ოპტიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯებმა 2005 წელს 171 მლნ. ლარს (ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 35 ლარს), 2010 წელს - 660 მლნ. ლარს (ერთ სულ მოსახლეზე - 132 ლარს), ხოლო 2015 წელს 1380 მლნ. ლარს (ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 276 ლარს) უნდა მიაღწიოს.

თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვეყნის მთავრობის მიერ შემუშავებულ 2005-2007 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, რომელიც გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა, 2005 წელს ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯება 113 მილიონი ლარი, რაც 28%-ით ნაკლებია პროგრამის რეალისტური და 34%-ით ნაკლები ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებულ პარამეტრებზე. 2006 წელს დაიხარჯება 134,5 მილიონი, ხოლო 2007 წელს კი 170,1 მილიონი ლარი, რაც ოპტიმისტური სცენარით 2005 წელს იყო დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ მომავალ წელს მთავრობა ჯანმრთელობის დაცვისათვის 11%-ით მეტის დახარჯვას აპირებს, მოსახლეობა პროგრამით გაანგარიშებული 32 ლარის ნაცვლად ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით ნაკლებს მიიღებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით კი მოსახლეობისათვის მინიმალურად აუცილებელი სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ხარჯები წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე 34 დოლარი ანუ სახელმწიფო დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე, სულ მცირე 70 ლარი მაინც უნდა იყოს.

პროგრამის როგორც რეალისტური, ისე ოპტიმისტური სცენარების თანახმად, ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსება მინიმალურად სასურველ დონეს მხოლოდ 2010 წლის შემდეგ მიაღწევს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად კი ეს საკმაოდ შორი პერსპექტივაა.

მოსახლეობამ რომ იგრძნოს ხელისუფლების ზრუნვა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის რეალური გაუმჯობესების თვალსაზრისით, უნდა დაჩქარდეს ეკონომიკური განვითარების პროცესები და 2005 წელს ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯებმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში სულ მცირე 2,3% მაინც უნდა შეადგინოს, ხოლო ბიუჯეტთან მიმართებაში - 12%, რაც შედარებით გაზრდის ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფო დანახარჯს და იგი 50 ლარს მიაღწევს.

| N1 | 1960 | 1970 | 1980 | 1990 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 93 | | 684 | 1300 | 2379 | 2504 | |
| ავსტრია | 77 | 190 | 762 | 1344 | 2147 | 2174 | 2220 |
| ბელგია | | 147 | 627 | 1340 | 2288 | 2441 | 2515 |
| კანადა | 121 | 289 | 770 | 1714 | 2541 | 2743 | 2931 |
| ჩეხეთი | | | | 553 | 977 | 1083 | 1118 |
| დანია | | | 943 | 1554 | 2351 | 2523 | 2580 |
| ფინეთი | 62 | 190 | 584 | 1414 | 1698 | 1841 | 1943 |
| საფრანგეთი | 69 | 206 | 699 | 1555 | 2416 | 2588 | 2736 |
| გერმანია | | 266 | 955 | 1729 | 2640 | 2735 | 2817 |
| საბერძნეთი | | 171 | 464 | 838 | 1617 | 1670 | 1814 |
| უნგრეთი | | | | | 847 | 961 | 1079 |
| ისლანდია | 57 | 163 | 698 | 1598 | 2559 | 2680 | 2807 |
| ირლანდია | 42 | 117 | 511 | 791 | 1774 | 2059 | 2367 |
| იტალია | | | | 1397 | 2001 | 2107 | 2166 |
| იაპონია | 29 | 144 | 559 | 1105 | 1958 | 2077 | |
| კორეა | | | | 328 | 778 | 931 | |
| ლუქსემბურგი | | 161 | 637 | 1533 | 2682 | 2900 | 3065 |
| მექსიკა | | | | 290 | 493 | 535 | 553 |
| ნიდერლანდები | | | 750 | 1419 | 2196 | 2455 | 2643 |
| ახალი ზელანდია | | 205 | 488 | 987 | 1611 | 1710 | 1857 |
| ნორვეგია | 49 | 143 | 659 | 1385 | 2747 | 2946 | 3083 |
| პოლონეთი | | | | 298 | 578 | 629 | 654 |
| პორტუგალია | | 54 | 283 | 661 | 1570 | 1662 | 1702 |
| სლოვაკეთი | | | | | 591 | 633 | 698 |
| ესპანეთი | 16 | 97 | 363 | 865 | 1493 | 1567 | 1646 |
| შვედეთი | | 305 | 924 | 1566 | 2243 | 2370 | 2517 |
| შვეიცარია | 166 | 350 | 1031 | 2040 | 3111 | 3288 | 3445 |
| თურქეთი | | 24 | 76 | 165 | 446 | | |
| დიდი ბრიტანეთი | 84 | 160 | 472 | 977 | 1839 | 2012 | 2160 |
| აშშ | 144 | 347 | 1055 | 2738 | 4538 | 4869 | 5267 |

### ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა

| N2 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მლნ. ლარი | 11.9 | 34.8 | 49.5 | 31.5 | 52.8 | 56.3 | 73,5 | 80,8 | 82.6 |
| მშპ-ს პროცენტი | 0.32 | 0.90 | 1.08 | 0.63 | 0.93 | 0.94 | 1,11 | 1,11 | 1,00 |
| სახ. ბიუჯეტის პროცენტი | 3.2 | 5.4 | 6.3 | 3.9 | 5.8 | 6.7 | 7.9 | 6.3 | 6.2 |

## სტატისტიკა

2002 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (32,3 ტრილიონი აშშ დოლარი) 80,6% ანუ 25,991 ტრილიონი აშშ დოლარი მაღალშემოსავლიან ქვეყნებში (ერთ სულ მოსახლეზე > $9076) იქმნება; 15,9% ანუ 5,127 ტრილიონი აშშ დოლარი - საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში (ერთ სულ მოსახლეზე $736-$9075), ხოლო 3,5% ანუ 1,13 ტრილიონი აშშ დოლარი - დაბალშემოსავლიან ქვეყნებში (ერთ სულ მოსახლეზე <$735).

32,3 ტრილიონი აშშ დოლარიდან 9,5% ანუ 3,1 ტრილიონი აშშ დოლარი ჯანმრთელობაზე მოდის. 2718 მილიარდს (88,8%) ხარჯავენ მაღალშემოსავლიანი ქვეყნები (აქედან მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები - 1,4 ტრილიონ დოლარს), 292 მილიარდს (9,6%) - საშუალოშემოსავლიანი ქვეყნები, ხოლო 49 მილიარდს - დაბალშემოსავლიანი ქვეყნები (1,6%).

მსოფლიოში ჯანმრთელობაზე გაწეული მთლიანი დანახარჯები 3,2-ჯერ აღემატება შეიარაღებაზე გაწეულ დანახარჯებს (956 მილიარდი აშშ დოლარი), 2-ჯერ აღემატება განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს (1600 მილიარდი აშშ დოლარი).

მაღალშემოსავლიან ქვეყნებში (54 ქვეყანა), რომელთა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 9000 დოლარზე მეტს შეადგენს, ჯანმრთელობაზე იხარჯება საკმაოდ მაღალი თანხები, საშუალოდ ეროვნული შემოსავლების 8%. ამ ქვეყნებში ჯანდაცვაზე ყოველწლიურად ერთ სულ მოსახლეზე იხარჯება 500-დან და 5000-მდე აშშ დოლარი. ჯანდაცვის დაფინანსებაში, პრობლემები მეტწილად დამოკიდებულია დანახარჯების ეფექტურობაზე.

საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში (93 ქვეყანა), რომელთაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 736 დოლარიდან 9075 დოლარამდე მერყეობს, ჯანმრთელობაზე დანახარჯები შეზღუდულია და ნაკლებად ხელმისაწვდომი. ამ რიგის ქვეყნებში ჯანმრთელობაზე იხარჯება ეროვნული შემოსავლების 3%-დან 9%-დე, რაც წლიურად ერთ სულ მოსახლეზე 50-500 დოლარს შეადგენს. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი აზიაში, სახელმწიფო სექტორის მიერ ჯანდაცვაზე გამოიყოფა შედარებით მცირე თანხები და ჯანდაცვის დაფინანსების სისტემა არ იძლევა ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის საშუალებას. სახელმწიფო ან კერძო სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ნაწილს აქვს კარგი დაზღვევა და ნაწილს კი სახელმწიფო უხდის ჯანდაცვის მომსახურებაზე გადასახადს, ამავე დროს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს საკუთარი ჯიბიდან უწევს გადახდა.

მცირეშემოსავლიან ქვეყნებში (61 ქვეყანა), სადაც შემოსავალი ერთ სულზე 736 დოლარზე ნაკლებია, ჯანდაცვაზე იხარჯება ეროვნული შემოსავლის 1-5%, რაც ერთ სულ მოსახლეზე მიზერული თანხაა - 4-დან - 50 დოლარამდე. ასეთმა ქვეყნებმა ჯანმრთელობაზე თავიანთი შემოსავლების 10%-იც რომ დახარჯონ, ეს მაინც მცირე თანხაა და ელემენტარულ სამედიცინო მომსახურებას თუ ეყოფა. ამიტომ ამ ქვეყნებში, რომელთა რიცხვშიც სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით საქართველოც შედის, მოსახლეობას აქვს სერიოზული პრობლემები ჯანდაცვის მომსახურეობისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

# პირველი იტალიელი რაინდი

ეს საპატიო ტიტული ცნობილმა იტალიელმა რეჟისორმა ფრანკო ძეფირელიმ მოიპოვა. ბრიტანეთის მთავრობამ და დედოფალმა ის ბრიტანული ხელოვნების განვითარებაში გაწეული წვლილისთვის დააჯილდოვა. თუმცა, "გარდიანი" წერს, რომ ეს ჯილდო კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობას ტონი ბლერისა და სილვიო ბერლუსკონის კაბინეტებს შორის. ძეფირელი ხომ, გარდა იმისა, რომ ცნობილი ანგლოფილია, ბერლუსკონის პარტიის წევრიც არის. 1996 წლიდან ის იტალიის სენატის წევრიცაა - პრემიერის პარტიიდან "ფორცა იტალია".

81 წლის რეჟისორი მეორე იტალიელია, რომელსაც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პრესტიჟული ინგლისური ჯილდო გადასცეს. თვის დასაწყისში "ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი ჯანფრანკო ძოლაც ბრიტანეთის იმპერიის რაინდი გახდა, მას ყველაზე დაბალი რანგის - MBE-ის (ბრიტანული იმპერიის წევრი) წოდება მიანიჭეს.

ძეფირელი კი უფრო მაღალი რანგის (KBE - Knight Commander of the Order of the British Empire) რაინდი გახდა. მას რომში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე ჯილდო ბრიტანეთის ელჩმა იტალიაში სერ აივორ რობერტსმა გადასცა.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად რაინდის ჯილდოებს დედოფალი გასცემს, ის ყოველთვის მთავრობის რჩევით მოქმედებს. ახლაც ძეფირელის გარაინდებას, ალბათ, ორ მთავრობას შორის დამეგობრების პოლიტიკური ქვეტექსტიც ექნება.

ასეა თუ ისე, 81 წლის რეჟისორი ჯილდოს მინიჭების შემდეგ ძალიან პრივილეგირებულ საზოგადოებაში მოხვდება. ამ ტიპის ტიტულს ხომ, როგორც წესი, პოლიტიკოსებს ანიჭებენ ხოლმე. თუმცა, ძეფირელისთან ერთად, რაინდის წოდებას ასევე სხვა უცხოელებიც ფლობენ: ბობ გელდოფი, ბობ ჰოუპი, სტივენ სპილბერგი, იეჰუდი მენუჰინი და ანდრე პრევინი.

ძეფირელის კავშირები კი ბრიტანეთთან მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან იწყება. რეჟისორი ფლორენციაში ბრიტანელი ემიგრანტების უბანში იზრდებოდა და მაშინდელი შთაბეჭდილებები 1999 წელს გადაღებულ ფილმში "ჩაი მუსოლინისთან ერთად" გადმოსცა. მერე კი, მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანელებს ეხმარებოდა და თარჯიმნობას უწევდა. ომის შემდეგ, იტალიური კინოს აღზევების პერიოდში, მუშაობდა ისეთ დიდ რეჟისორებთან, როგორებიცაა: ვიტორიო დე სიკა, რობერტო როსელინი და ლუკინო ვისკონტი.

1960-იან წლებში ბრიტანეთში შექსპირის თეატრალური დადგმის შემდეგ ძეფირელიმ ჭირვეულის მორჯულება სცადა კინოში ელიზაბეტ ტეილორისა და რიჩარდ ბარტონის დახმარებით. შემდეგ მას მორიგი კინოპროექტი მოჰყვა "რომეო და ჯულიეტას" სახით. ასაკი ძეფირელის არ აბერებს. ბოლო ფილმი მან ორი წლის წინ გამოუშვა და ის თავის ძველ მეგობარს მარია კალასს მიუძღვნა.

## ფოტოგალერეა



ამ ჩემ ფეხებს.

ავტორი: ბესო გულაშვილი

## სკანვორდი




## TV პროგრამა

*25 ნოემბერი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ძმები კარამაზოვები" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "ეინდჰოვენი" - "არსენალი" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ყველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "აუზი". მთ. რ-ში: ალენ დელონი (18)ყ **02.25** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელეტურიზმი. **09.05** იყო ჩეჩნეთი. დოკ. ფილმი. რეჟისორი ნინო კირთაძე.2002. **15.30** გატაცება- კინო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მოზამბიკი. დოკ.ფილმი. **21.05** გადაცემა: თვეში ერთხელ. 23.00. ხელოსნობა. ბურკინა ფასო. დოკ. ფილმი. **24.30** ჰიმალაი, შეფის ბავშვობა. მხ. ფილმი. რეჟისორი ერიკ ვალი. **03.15** გადაცემა: თვეში ერთხელ.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "არასერიოზული კაცი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15, 21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ფორეს რექვიემი" **15.20** მუს. ოქტაგონი **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.30** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე" - პოლონეთი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **19.00** "განათლების პროექტი საქართველოში" **19.40** ბასტი-ბუბუ **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ბერიკაცები" (გ)

### კავკასია

**14.00** მხ. ფილმი "საზღვაო თავგადასავალი" (გ) **16.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" (გ) 1-ლი ს. **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ცამეტი სკამი" (15) (ვიტორიო გასმანი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** მრავალჟამიერ - ფერეიდანი **21.25** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე"-პოლონეთი **21.50** "მიამბეთ თქვენზე" **22.35** მხ. ფილმი "სპირალი" (გ) მე-3ს.

**18.00** მხ. ფილმი "მშვენიერი ჩარიტა" (გ) **20.25** დოკ. ფილმი **21.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "ჯული და ჯიმი" (15)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მტვრის გემო" **12.20, 17.10, 21.45, 03.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.50** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მძიმე ფული" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) - "სპორტინგი" (ლისაბონი) **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-6 ს. **23.15** "პირველი ნახევარი" **23.40** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **00.10** მხ. ფილმი "ფორმულა-1" (15) (ს. ჯეკსონი) **01.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "შენიბლვის ოსტატი" **10.40** ისტორიული ფილმი "დრუიდები" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **12.55** კომედია "ახალდაქორწინებულნი" **14.45** დრამა "ნორტფორკი" **16.30** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** მელოდრამა "სიყვარულის ისტორია" **20.05** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** თრილერი "მაჰოუნის საკუთრება" **22.45** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** "ექსკლუზივი" **00.30** კომედია "ეროვნული ნადირობის თავისებურებანი"

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** “Доброе утро” **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **“ДЕТИ АРБАТА”. 10.30, 19.00** Сериал **“КЛОН”. 11.30** “Звезды эфиры”. Эльдар Рязанов. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00** “Пять вечеров”. Четверг. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** “Человек и закон” **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Сканер. “Еда как наркотик”. **00.40** “Гении и злодеи”. **01.10** Сериал **“ИСЧЕЗНОВЕНИЕ”. 02.40** Сериал **“ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА”. 04.30** Док. сериал “История живописи сестры Венди”. **05.05** Неизвестная планета. “Китайские монастыри”.

### НТВ

**06.00** “Сегодня” **09.05** Сериал **“МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** “Сегодня” **10.20** Криминальная Россия. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **“ТОЛЬКО ТЫ...”. 13.35** Сериал **“ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА”. 14.30** “По ту сторону войны”. Фильм Алексея Поборцева. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу “Принцип домино”. **17.25** Сериал **“РОКИРОВКА”. 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **“ТОЛЬКО ТЫ...”. 20.50** Чрезвычайное происшествие. Расследование. Человек с метлой. **22.00** “Страна и мир” **22.40** “К барьеру!” Ток-шоу **00.15** Моника Беллуччи в фильме **“НЕОБРАТИМОСТЬ”. 02.25** Бильярд. **03.10** Сериал “Дикий мир. Борьба за выживание: самая опасная игра на свете”. **04.10** Сериал **“ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА”. 04.55** Сериал **“МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ”. 05.40** Чрезвычайное происшествие.



აუტო ცაიტუნგი



აუტო მოტორი და სპორტი



აუტო ბილდი

OPEL

"ის ფაქტი, რომ მოდერნულ რუსელსჰაიმის (გერმანია) ქარხანაში დამზადებულმა ახალმა Vectra-მ (Vectra-C) 2003 წლის პრესტიჟული ტიტული "ოქროს საჭე" მოიპოვა მეტყველებს იმაზე, რომ ახალი Vectra წარმატებულად განხორციელებული გერმანული პროექტია"- იუწყებიან ცნობილი საავტომობილო ჟურნალ გაზეთები. უკანასკნელი რამოდენიმე კვირის განმავლობაში Vectra-C მოწინავე გერმანული ჟურნალების: Auto-motor und sport, Auto-Bild, Auto-Zeitung-ის "შლაგერი" ხდება. ჟურნალისტები იუწყებიან, რომ Vectra-C საოცრად გამძლე და უსაფრთხოებით გამორჩეული ავტომანქანაა. მისი ვარიაციები Vectra-notchback (სედანი) და Vectra-hatchback 100.000კმ-იან შეუჩერებლივ ტესტში პირველ ადგილს იკავებენ. ავტომობილის სხვადასხვა კომპონენტები (მექანიკა, ელექტრონიკა) ხარისხის ტესტის საუკეთესო შეფასებებს იმსახურებენ. მაგალითად Auto-Zeitung-ის ცნობილი ჟურნალისტი იურგენ ფოიგტი მკითხველს ამცნობს, რომ ახალი Vectra ცამეტ კონკურენტ მოდელთაგან ტესტ-მარათონში I ადგილზე მოექცა. ის საშუალო ანუ ბიზნეს კლასის ავტომანქანათა შორის საუკეთესოა კომფორტით, შიდა ტევადობით (მოცულობით), სასიამოვნოდ ჩუმი ძრავითა და დინამიურობით (სტაბილურობით). Vectra-C განსხვავდება რა თავისი წინამორბედისაგან (Vectra A 1988-1995წ. ,Vectra B 1995-2003წ.) დიზაინითა და ინოვაციებით იგი ტიპიური გერმანული ხარისხით წარმოებული ავტომანქანაა, რომელმაც ავტომობილის გულშემატკივართა ყურადღების კონცენტრაცია შეძლო-წერს ჟურნალისტი.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ, OPEL-ის ოფიციალურ დილერს საქართველოში შ.პ.ს."აუტოჰაუზს". ტელ: 53-07-14, 53-07-16 ფაქ: 53-07-15**

# "წვიმის მუსიკოსები" კიევში გაემგზავრნენ



პოპულარული ქართული პოპ-ჯგუფები "სოფთ ეჯექთი", "ზუმბა", "ქუჩის ბიჭები", "სეიშენი", მომღერლები ზურაბ დოიჯაშვილი, მამუკა ონაშვილი, პრომოუტერი ვანიკო თარხნიშვილი და სხვები გუშინ დილით კიევში ადგილობრივი ოპოზიციის მხარდასაჭერად გაემგზავრნენ. მომღერლებმა უკრაინაში დემონსტრანტებისთვის კონცერტის გასამართად საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტები წაიღეს.

"გვინდა, იმ ხალხს დავუდგეთ გვერდში, ვინც საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვის. გასული წლის ნოემბერში, როცა ჩვენ თბილისის ქუჩებში ვიყავით გამოსულები, ჩვენი კოლეგები ინგლისიდან ჩამოვიდნენ, რაც დიდი მხარდაჭერა იყო ჩვენთვის", - აღნიშნა ჯგუფ "სოფთ ეჯექთის" ხელმძღვანელმა ვახტანგ ბაბუნაშვილმა.

კიევში გამგზავრების ინიციატორები დარწმუნებულები არიან, რომ 21 ნოემბერს ჩატარებულ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციის ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკომ გაიმარჯვა, ხელისუფლებამ კი არჩევნების შედეგები მოქმედი პრემიერის ვიქტორ იანუკოვიჩის სასარგებლოდ გააყალბა.

უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებულად იანუკოვიჩის გამოცხადების შემდეგ ოპოზიციამ ქვეყნის მასშტაბით უვადო საპროტესტო აქციები დაიწყო.

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

# ნინო ქათამაძე მოსკოვის ჯაზ-ფესტივალზე იმღერებს

ცნობილი ქართველი მუსიკოსი ნინო ქათამაძე, 27 ნოემბერს მოსკოვში ჯაზ-ფესტივალს "ჯაზი ძველ ქალაქში" დახურავს. მუსიკოსის მენეჯერის ირაკლი ნადარეიშვილის თქმით, - ნინო ქათამაძის კონცერტები როგორც მოსკოვში, ასევე მის ფარგლებს გარეთ გაიმართება. ამავე დროს ნინოს მონაწილეობით, იგეგმება საახალწლო გადაღებები.

"ნინო მოსკოველი მაყურებლისთვის საკმაოდ მრავალფეროვან რეპერტუარს ამზადებს. ის შეასრულებს როგორც კარგად ნაცნობ, ასევე ახალ კომპოზიციებს, რომელთაც ქართველი მსმენელი ჯერ არ იცნობს" - აღნიშნა ირაკლი ნადარეიშვილმა.

ნინო ქათამაძე თბილისში დეკემბრის შუა რიცხვებში დაბრუნდება. ***ინტერ-პრესი.***




აფრინდით
ბრიტანეთის ავიახაზებთან
ერთად

$399
-დან
ლონდონი ჰითროუ
ორი გზა

ბილეთის დაჯავშნისთვის და სხვა
ინფორმაციისთვის ეწვიეთ
ინტერნეტ-გვერდს ba.com,
დაგვიკავშირდით: 94 07 19/20
ან მიმართეთ სამოგზაურო სააგენტოებს

BRITISH AIRWAYS

თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბილეთი გაიცემა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED